# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 14 თებერვალი 1998 №21 (556) ფასი 50 თეთრი

# კანდელაკმა იმედი დაკარგა

## დამოუკიდებელი საქართველოს პირველ მსოფლიოს ჩემპიონს უცხოეთში გადასახვეწად მიუდგა საქმე



გიორგი კანდელაკი

არაერთგზის თქმულა და დაწერილა: სავსებით შესაძლოა, მალე საქართველოში ერთი ხეირიანი სპორტსმენიც აღარ გვეყოლოს. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებს ვინღა დაეძებს, ჩვეულებრივ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებას რომ გასწვდნენ, ასეთებიც სანატრელნი გაგვიხდებიან. ყველაფრის თავი და თავი კი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ცრუ დაპირებებია, რომლებითაც რა ხანია კვებავენ შარშანდელ ევროპულ თუ მსოფლიოს სარბიელზე თავნასახელებ ბიჭებს, მათ პირად თუ ნაკრების მწვრთნელებს. არაერთმა სპორტსმენმა დაკარგა საქართველოს სპორტის თავკაცთა ნდობა, ჰგონიათ, რომ ისინი აქ არავის სჭირდება, მხოლოდ მათ მიერ მოგებული მედლები სურთ, ამ გაჭირვებაში უმძიმესი შრომის ფასად მიღწეული წარმატებებისთვის სარგო ჯილდოებს კი უკეთეს შემთხვევაში დრო და დრო და ისიც ნაწილ-ნაწილ იღებენ, არცთუ იშვიათად დანაპირებს უიმედოდ ელიან. გავიხსენოთ ჩვენი საუკეთესო ძიუდოისტები გიორგი ვაზაგაშვილი და გიორგი რევაზიშვილი, რომლებიც კარგა ხანია, საქართველოდან წასვლას ეშურებიან, რადგან შეპირებული პრემიების მიღების მოლოდინმა გატანჯა ისინიც და მათი მწვრთნელებიც. მალე გულაყრილ და იმედდაკარგულ ქართველ სპორტსმენებს, შესაძლოა, ჩვენი სპორტის შარშანდელი ტრიუმფატორი გიორგი კანდელაკიც შეემატოს. ეს სასხვათაშორისოდ ნათქვამი როდია — ჩვენში გამეფებული გულგრილობა სპორტსმენთა პრობლემების მიმართ და მათი სიღუხჭირე სწორედაც რომ დევნის საქართველოდან რეალურ თუ პოტენციურ ჩემპიონებს. არადა, გიორგი კანდელაკი ხომ ის ბიჭია, თავის დროზე ამერიკელთა სარფიან წინადადებებს ხელი რომ ჰკრა და ლას ვეგასში ფუფუნებას მშობლიურ ვარიანში ცხოვრება არჩია.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

# აპრილში ირანში გველიან

მალტის ოთხთა ტურნირი ჩვენი ნაკრების გამარჯვებით დასრულდა და უკვე ისტორიას ჩაბარდა. ეროვნული გუნდის საკადრისად მომზადებისთვის კი უფრო მეტია საჭირო. მოგეხსენებათ, ნაკრების ხელმძღვანელებს ლეგიონერთა შეკრებებზე გამოძახება წელიწადში შვიდჯერ შეუძლიათ. თითო გამოძახებისას ფეხბურთელები მწვრთნელთა განკარგულებაში 6 დღე რჩებიან, მერე ვალდებულებით საკუთარ კლუბებს უნდა მიაშურონ.

მალტის ტურნირში მონაწილეობისას ნაკრებმა სამი მატჩი რომ ჩაატარა, ლეგიონერებს ერთ გამოძახებაში ჩაეთვალათ. ახლაც მსგავსი ვარიანტი გამოჩნდა და ჩვენი ფეხბურთის თავკაცები მის ხელიდან გაშვებას არც აპირებენ. როგორც ნაკრების მწვრთნელის თანაშემწემ ვლადიმერ პანოვმა გვითხრა, 20 აპრილს ეროვნული ნაკრები ირანს ეწვევა. ირანის გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება, ამიტომ იქაურ ფედერაციას მოსამზადებლად ოთხთა ტურნირის ჩატარება გადაუწყვეტია და თბილისში ფაქსიც გამოუგზავნიათ, გთხოვთ, მონაწილეობა მიიღოთო. მასპინძლებს ჩვენს გარდა უნგრეთი და ირლანდია შეუპირებიათ. ყველანაირ ხარჯებს ირანელები კისრულობენ.

— ხელსაყრელი წინადადებაა, ერთი გამოძახების ხარჯზე კიდევ სამ თამაშს გავმართავთ. მაისში კი რუსებიც გვეწვევიან, ხოლო ერთი მატჩის ჩატარება მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგაც შეიძლება — თქვა პანოვმა.

ელგუჯა ბერიშვილი

ნაგანოდან



# ნუ დაგვიწუნებთ!

ოლიმპიურ სოფელში, ჩვენი დელეგაციის ოფისში, ხანდახან საქართველოდანაც რეკავენ. ბოლო ზარი გუდაურიდან იყო.

„ალო, გამარჯობათ, ვანო ვარ, ავსაჯანიშვილი. გერას სთხოვეთ...

— გასულია, ბატონო.

— კარგით, მოგვიანებით დავრეკავ. თუ ვერ გამოვედი, მიულოცეთ ჩემგან ჯიჯიშვილის ოცეული.

— იოლი სამსახურია, მაგრამ ჯიჯიშვილის ამბავი ჯერ ბოლომდე გარკვეული არ არის. საათნახევარში სწრაფდაშვება იწყება და საბოლოო ადგილები ამის მერე განაწილდება. გერაც და დანარჩენებიც მთაზე არიან, მეც იქ გავრბივარ...

— არა უშავს, მაინც მიულოცეთ. ზურა მაგარი ბიჭია, არა მგონია, წაიქცეს. აი, ნახავთ".

ვნახეთ. კაცურად დაეშვა, მე-12 შედეგი აჩვენა, სლალომისა და დაშვების ჯამში 3.35,65 წუთი დაუგროვდა და საბოლოოდ მე-14 ადგილი დაიკავა.

სამთო-სათხილამურო სპორტში მე-14 ადგილი სახუმარო შედეგი არ არის, მით უმეტეს — ოლიმპიურ თამაშებზე, თანაც — კომბინაციაში. უფრო დავაკონკრეტოთ: ზურაბ ჯიჯიშვილმა ნაგანოში 25 მეტოქესაც აჯობა და საკუთარ თავსაც. მან გაცილებით მეტი შეძლო, ვინემ მოსალოდნელი ჩანდა. მესამე ათეულს ვარაუდობდნენ და ლამის პირველში „გაძვრა".

-გუშინ დილიდანვე მზემ გამოანათა და ყველამ შვებით ამოისუნთქა, თუმცა ძლიერი ქარის გამო შეჯიბრება მაინც ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო. თავდაპირველად ორგანიზატორებმა რვა თებერვლიდან „გადადებული" მედლები გაათამაშეს უშუალოდ დაშვებაში (გეხსომებათ: რაკი ავადმყოფობის გამო საკონტროლო ვარჯიში გამოტოვა, ჯიჯიშვილი მონაწილეთა სიიდან ამოიღეს).

ტრასაზე საშინელი ამბები დატრიალდა — ორმოციდან თხუთმეტმა მონაწილემ ფინიშამდე ვერ მიაღწია; სეზონის ლიდერი, ოქროს მედლის მთავარი პრეტენდენტი, ავსტრიელი ჰერმან მაიერი ჰაერში ავარდა, ორჯერ ამოტრიალდა, ზურგით დაეცა და სასწაულად გადაურჩა სერიოზულ ტრავმას; შვეიცარიელმა ბრუნო კერნენმა ფეხი მოიტეხა, იტალიელი ლუკა კატანეო „ავარიის" შემდეგ ფეხზე ვერ წამოდგა და ვერტმფრენით გადაიყვანეს საავადმყოფოში. 31 წლის ფრანგი ჟან-ლიუკ კრეტიე კი ხიფათსაც გადაურჩა და ოქროს მედალიც ჩაიჯიბა. მეორე იყო ლასე ხიუსი (ნორვეგია), მესამე — ჰანს ტრინკლი (ავსტრია).

ერთსაათიანი შესვენების შემდეგ დაშვება კვლავ განახლდა, ამჯერად — სამთო კომბინაციის პროგრამით. ჯიჯიშვილს მეცხრამეტე სასტარტო ნომერი ჰქონდა და ვიდრე ტრასაზე დაეშვებოდა, ცხადია, პრიზიორთა ვინაობა უკვე გარკვეული იყო. ავსტრიელმა მარიო რაიტერმა სლალომში მოპოვებული უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ვერცხლის მედალი აქაც ლასე ხიუსმა მიიღო, ბრინჯაოსი — კრისტიან მაიერმა (ავსტრია).

ჯიჯიშვილის ძირითადი სახეობა სწორედ დაშვებაა, თუმცა ტრასა ისეთი ხიფათიანი გამოდგა, ყველანი გულისფანცქალით ველოდით როდის გადაკვეთდა



ვეტერანი კრეტიე ჩემპიონურად დაეშვა

ფინიშის ხაზს. თავიდან ზურაბს, სრიალის სიმსუბუქის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შებოჭილობა არ ეტყობოდა: „ეგ იყო, ტრასას კარგად არ ვიცნობდი. სხვები ვარჯიშზე 4-5-ჯერ დაეშვნენ, მე კი ეს მხოლოდ ერთხელ მოვახერხე. არადა, შეიძლებოდა უკეთესი დროის ჩვენება და თუნდაც ერთი ადგილით წინ გადანაცვლება. მიუხედავად ამისა, შედეგით, ცხადია კმაყოფილი ვარ. წინა ოლიმპიადაზე, კომბინაციაში, საერთოდ უადგილოდ დავრჩი. ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტისა და უფროსი მწვრთნელის თავგამოდება რომ არა, აქ ნაგანოში საერთოდ უოლიმპიადოდ დავრჩებოდი. იშვიათად ხდება, რომ საკონტროლო ვარჯიში გამოტოვო და სტარტზე გაგიშვან".

გოგი თოფაძე: „სხვა სახეობებში მედლებით განებივრებულმა ჩვენმა გულშემატკივარმა მეთოთხმეტე ადგილი შესაძლოა „დაგვიწუნოს", მაგრამ აქ სამთო-თხილამურობაში, დამერწმუნეთ, ეს დიდ წარმატებად ითვლება. მით უმეტეს, ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის. პროგრესი აშკარაა და ეს ოპტიმისტურად განგვაწყობს. არაერთმა ჩემმა კოლეგამ მომილოცა დღევანდელი წარმატება. ჩვენ უკვე ანგარიშს გვიწევენ, გვალიარებენ და ეს ბევრს ნიშნავს".

დღეს ჯიჯიშვილს კიდევ ერთ სტარტი აქვს, ამჯერად — სუპერგიგანტში.





„ჰერმინატორმა" მაიერმა კი ჭომაგები გააზბილა

# ინტერტოტო დააფასეს

ინტერტოტოს თასის გათამაშებაში, რომელიც მომავალ სეზონში ახალი სისტემით გაიმართება, იტალიის და ესპანეთის გუნდებიც მიიღებენ მონაწილეობას. ეს გუშინ ჟენევაში ითქვა.

უეფამ, ბევრი ქვეყნისგან სრულიად უაზროდ მიჩნეული ინტერტოტოს თასის გათამაშება სამი სეზონის წინ დაიწყო, მაგრამ მაშინ ამ სიახლეს წამყვანმა ქვეყნებმა ზურგი აქციეს, ინგლისმა კი მართალია სამი გუნდი ათამაშა, მაგრამ სათადარიგო შემადგენლობებით. ამის გამო ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია უეფასგან დაისაჯა. წინა ორი გათამაშება ჯგუფური, ხოლო შემდეგ ოლიმპიური სისტემით წარიმართა. ახლა თასი მხოლოდ ოლიმპიური სისტემით გათამაშდება და სამი გამარჯვებულიც უეფას საგზურს მიიღებს. მონაწილეობას უეფაში შემავალი ყველა ქვეყანა დათანხმდა შოტლანდიის, მოლდოვის, ბოსნიის, ანდორას, სან მარინოსა და ლიხტენშტაინის გარდა. გათამაშება ხუთწრიანი იქნება. საწყის სტადიაზე რეიტინგით დაბალი ქვეყნების გუნდები ითამაშებენ, მეორე, ანაც მესამე ეტაპიდან კი ბრძოლაში იტალიის, ესპანეთის და სხვა ამგვარი კიდევ რამდენიმე ქვეყნის გუნდები ჩაერთვებიან.

გათამაშების პირველი წრე 20 და 21 ივნისისთვისაა დანიშნული.

# ყველაფერი ნაკრებისთვის

ეროვნული ნაკრების მიზნები უზენაესია: ყველაფერი ქვეყნის პირველი გუნდის ინტერესებს უნდა დავუქვემდებაროთ — ასეთი პრინციპით ამოქმედდა ფეხბურთის ფედერაცია და მისი ხელმძღვანელობა, თქმა არ უნდა, ამაში ფინანსურ მხარესაც ითვალისწინებენ. თუ საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს წარმატებით დაძლევს და ჯგუფში პირველ ადგილს დაიხევებს, მაშინ ფედერაციის ანგარიშზე უმალ 2 მილიონი დოლარი გადმოირიცხება. რეკლამებიდან და სხვა წყაროებიდან ცალკე შემოვა თანხები. ფედერაციის თავკაცებს სწორედ ნაკრების იმედი აქვთ და რაღა გასაკვირია, გუნდის ნორმალური მომზადებისთვის არაფერს იშურებენ.

სწორედ, ეს აზრი ფიგურირებდა გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში გამართული თასის გათამაშების წილისყრისას. საშეჯიბრო განყოფილების უფროსმა ბადრი ქარქაშაძემ პირველი მატჩების თარიღად 6 მარტი გამოაცხადა, ხოლო განმეორებითი თამაშები 10 მარტს ჩატარდებაო. მან ისიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ საქართველოს, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ რაიმე საშინელი სტიქიური უბედურება არ დაატყდა თავს, თასის თამაშები აუცილებლად დადგენილ დღეს გაიმართება. მონაწილე გუნდების ხელმძღვანელებს დაევალათ, სტადიონების მომზადების საკითხი დროზე მოაგვარონ, მერე რომ საწუწუნო-სადაო არაფერი დარჩეს.

წილისყრაც დაიწყო. ორგანიზატორებმა ადრე ნაცადი პრინციპი ირჩიეს — ყუთში რვა დანომრილი კონვერტი მოთავსდა. პირველი მეორეს ხვდება, მესამე — მეოთხეს, მეხუთე — მეექვსეს, ხოლო მეშვიდე — მერვეს. პირველი მატჩების მასპინძლობის უფლება კენტნომრიან გუნდებს ერგოთ.

წილისყრამ მეტოქეები ასე დააწყვილა:

| | | |
|---|---|---|
| იბერია სამტრედია | - | დინამო თბილისი |
| კოლხეთი ხობი | - | ბათუმი ბათუმი |
| კოლხეთი ფოთი | - | თსუ თბილისი |
| მაღაროელი ჭიათურა | - | დილა გორი |

ყველაფერი სულ რაღაც 20 წუთში მორჩა. ზოგს სახეზე აშკარა სიხარული ემჩნეოდა, ზოგსაც, ეტყობა, მეტოქე არად ეპიტნავა, მაგრამ ბედს აქედანვე შეურიგდა.

წილისყრის გასრულების შემდეგ მონაწილეებს კომენტარი ვთხოვეთ.

ვახტანგ ხაინდრავა, „კოლხეთის" ვიცე-პრეზიდენტი

— ნაღდად გეუბნებით, მერჩივნა, „დინამო" შეგვხვედროდა. 10 მარტსვე ყველაფერს გავარკვევდით და მერე ერთი მიზნისთვისღა ვიბრძოლებდით. ახლა თსუ გვერგო, ამათთან ჩვენი ანგარიშები გვაქვს. მათ პირველ წრეში შინ დაგვამარცხეს და ვეცდებით, თასზე რევანში ავიღოთ.

ნიკა ამირეჯიბი, „იბერიის" მწვრთნელი

— რა მაქვს სათქმელი, ისედაც ხომ ნათელია ყველაფერი. შემდეგ წრეში „დინამო" გავა. ჩვენ კი ვიბრძოლებთ, მაგრამ... ისე, თუ გნებავთ, მე ახლავე მოგახსენებთ ნახევარფინალისტების ვინაობას. ოთხეულს „დინამო", „ბათუმი", „დილა" და თსუ შექმნიან.

— კი მაგრამ, „კოლხეთი"?

— ამჯერად გარკვეული მოსაზრებების გამო მე უპირატესობას თსუ-ს ვანიჭებ.

მერაბ რატიანი, „დინამოს" დირექტორატის წევრი

— ყველას ახსოვს „დინამოს" და „სამტრედიის" ადრინდელი პაექრობა. „იბერიის" სიძლიერეზე ამჟამად ვერას მოგახსენებთ, იგი ხომ მეორე ჯგუფში გამოდის, მაგრამ ერთი რამ მტკიცედ მწამს — სამტრედიელთა გუნდი ახლა დიდ წინააღმდეგობებს ვერ შეგვიქმნის.

ზვიად შერმადინი „დილას" პრეზიდენტი

— მართალია, წილისყრის შედეგით კმაყოფილი ვარ, რადგან მოსალოდნელი იყო, უფრო ძლიერი გუნდები შეგვხვედროდა, მაგრამ იოლ გასეირნებას არც ახლა ველოდებით. „მაღაროელი" საშინაო თამაშებს ძლიერად ატარებს, გვახსოვს, „დინამომაც" რომ ვერ მოუგო ჭიათურაში. ამიტომ საკადრისად მოვემზადებით.

მალხაზ ჩიჩუა, „ბათუმის" ადმინისტრატორი

— ხობელებმა თავიანთი სიძლიერე ადრინდელ ტურებში დაამტკიცეს, თანაც ორი მატჩის მობილიზებით ჩატარება ყველას შეუძლია. ვფიქრობთ, „კოლხეთი" ადვილად დასაძლევი არ იქნება.

მამუკა ქვანტალიანი

# კანადელი გამართლდა და ავსტრიელი დათვრა

**სნოუბორდი**

სპორტის საარბიტრაჟო სამსჯავრომ გუშინ გამოაცხადა, რომ სნოუბორდის პირველ ოლიმპიურ ჩემპიონს, კანადელ როს რებალიატის მისი ოქროს მედალი უნარჩუნდება და არავინ ჩამოართმევს ჩემპიონის ტიტულს. სამი დღით ადრე რებალიატის ტესტირება ჩაუტარდა და სისხლში მარიხუანის კვალი აღმოუჩინეს.

ამან დიდი დავა გამოიწვია, ორი დღის განმავლობაში ვერ იქნა და ვერ დადგინდა, დაესაჯათ თუ არა რებალიატი. კანადის დელეგაციამ ოფიციალურად განაცხადა, რებალიატის ათი თვეა მარიხუანა არ მოუწევია, თუკი რამ აღმოუჩინეს, ალბათ სხვისი გამონასუნთქის ჩასუნთქვის ბრალიაო.



რებალიატიმ, მედალი ჩემიაო

სამსჯავროს წარმომადგენელმა ჟანფილიპ რომამ თქვა: „რებალიატის დასჯის საფუძველი არ არსებობს. თუ თქვენ სკანდალის გაგრძელება გწადიათ, მაშინ ჩვენს წესებში შესაბამისი პუნქტი უნდა შეიტანოთ“.

როცა ბატონი რომა ამას ლაპარაკობდა, თავად რებალიატი ჯერაც არ გამოსულიყო ნაგანოს მეზობლად მდებარე ქალაქ ნაკანოს პოლიციის განყოფილებიდან. ოლიმპიური ჩემპიონის დაკითხვამ ხუთ საათს გასტანა. სპორტის საარბიტრაჟო სამსჯავრო საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან არსებული დამოუკიდებელი ინსტიტუტია, რომელიც სადაო საკითხებს განიხილავს. სამსჯავრომ არად ჩააგდო წინა დღით, ოთხშაბათს მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც რებალიატის მედალს და პატივს ჰყრიდა და კანადელი გაამართლა.

„შოკირებული ვარ“, განაცხადა თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციის უფროსმა ჯან-ფრანკო კასპერმა, „ჩემთვის ეს არაფერს ნიშნავს, მაგრამ სამსჯავროს გადაწყვეტილებას პატივი უნდა მივაგოთ“.

სამსჯავრო კი ღიად აცხადებს: აკრძალული პრეპარატების სიაში მარიხუანა არ წერია, ამიტომ რებალიატი ჩემპიონიაო. კანადელი კი კმაყოფილია, ის ოთხშაბათის ნერვიულობა, მისი ოთახის ჩხრეკა და ჟურნალისტთა ტყეში გზის გაკვალვა ტყუილი გამოდგა. შესუნთქული თრიაქი თეთრი ოლიმპიადის ოქროს დაკარგვის საფუძვლად ვერ იქცა.



შფოთს ბარათი რაში არგია?

აქ კი ცოტა უნდა ითქვას სნოუბორდზე, როგორც არაოლიმპიურ სახეობაზე. როგორც სპორტი, სნოუბორდი მოაგარაკეთა შორის იშვა და თავზეხელაღებული და გულმაგარი ბიჭების გართობად იქცა. სნოუბორდის მოქრიალეთათვის წმინდა სპორტული იდეალები ხშირად უცხოა ხოლმე. ესენი, უბრალოდ, ზამთრის ძველი ბიჭები არიან. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ სნოუბორდმა თავისი რისკიანობით და გიჟმაჟობით გვარიანი მაყურებელი იშოვნა ნაგანოში და ოლიმპიურ სახეობადაც დარჩება.

შერისხვას გადარჩენილი რებალიატი კი აშკარად ხასიათზე მოსულა: „კანადაში რომ დავბრუნდები, ცხოვრების წესი უნდა შევიცვალო. მე თვითონ მარიხუანას არ ვეწევი, მაგრამ მწეველი მეგობრები მყავს. მეგობრებს ხომ ვერ ვუღალატებ? ამიტომ მათთან მისვლისას აირწინაღს გავიკეთებ“, ოხუნჯობს ის.

აი, ავსტრიელ მოქრიალეს მარტინ ფრაინდემეცს კი, რომელიც სლალომში მეშვიდე ადგილზე გავიდა და ხალხს თავი გორილას კოსტუმში გამოწყობით დაახსომა, გუდა-ნაბადი აუკრევინეს. ავსტრიის დელეგაციის უფროსობამ მისი ქცევები თახსირულად მიიჩნია და გუნდიდან მოკვეთა. კინაღამ იყო და გალეშილმა მარტინმა ოთახში ავეჯი და კომპიუტერი წაახდინა. ავსტრიელთა მწვრთნელმა შმულცერმა ეს ამბავი ქვეყანას მოსდო და ფრაინდემეციც დაითხოვეს.

ამან მოქრიალე გაანაწყენა: „რატომ გამაგდეს? ერთი წავიქეიფეთ ჩემს ნომერში და თუ რამე წახდა, ფულს გადავიხდი. ხუმრობით ლუდის ქილებს ვისროდი და ავაცდინე. დიდი საქმე, თუ კომპიუტერის ეკრანს ლუდი შეესხა. აბა, ქეიფი რაღაა?“.

იმ საღამოს მარტინის ნომერში კანადელ, იტალიელ და დანიელ სნოუბორდელებს მოუყრიათ თავი და უქეიფიათ. ასეთები არიან და რა ქნან?

„თავიდან სნოუბორდით ვერთობოდი. ახლა პროფესიონალი ვარ და ჭკუა მომეკითხება. სნოუბორდი დროსტარებაა და ჩვენც მხიარულად ვატარებთ დროს. კიდევ კარგი, რომ რამეები მოვასწარი და მართლაც ჯიგრიანად გავერთეთ“ — თქვა ფრაინდემეცმა, რომელსაც ავსტრიის გუნდი სასტუმროს და კვების ფულს, ოთხ ათას დოლარს სთხოვს, აქაოდა, შენგან ზარალის მეტი არაფერი გვინახავსო.

ამასობაში კი სნოუბორდის შეჯიბრი გრძელდება. ჰავ-პაიპის (ჩაზნექილ ადგილზე ქრიალი და მალაყების ჭიმვა) ოქროს მედალი 21 წლის შვეიცარიელმა ჯან სიმენმა მოიგო, რომელმაც თავისი ტრიალით ყველა მოხიბლა. ეს საერთოდაც პირველი შეჯიბრია, ამ ბიჭს რომ მოუგია. ასე თქვი, ისე თქვი და შეჯიბრს კვლავ ჟრიამული სდევდა. იმ ყინვასა და ძანძახში შიგაკოგენის პარკში ათი ათასი კაცი შეიკრიბა და გვარიანადაც იმხიარულა. ქალთა გამარჯვებული კი 20 წლის გერმანელი ნიკოლა თოშტი იყო.

ასეთია სნოუბორდი, მოკალი და ასეთია.

**ზურაბ ძალათოზიშვილი**

**ციგურაობა**

ნაგანოში რეკორდები მხოლოდ მოციგურავეთა შეჯიბრში მყადება. ამას ორი მიზეზი აქვს: ერთი ისა, რომ რეკორდი სხვა სახეობაში არ აღირიცხება; მეორე კი ის, რომ ამ სპორტმაც აუწყო ფეხი წინსვლის მარშს და თანამედროვე მასალები და ტექნოლიგიები დაინერგა.

# რეკორდები ფიფქებსავით ცვივა

ახლებურ ციგურაზე ნაგანოს გზამკვლევში ვწერდით. მერე ისიც ვახსენეთ, ჰოლანდიელი რომეს 5000-მეტრული რეკორდი კაუჩუკის ტანისამოსის წყალობააო. ეს ამბავი არ მოეწონათ იაპონელ და ნორვეგიელ მწვრთნელებს და ჰოლანდიას უჩივლეს, წესები დაირღვაო, მაგრამ ამ სახეობის ფედერაციის უფროსობამ რეკორდსმენი გაამართლა, რადგან სიახლის დანერგვა სპორტის იმიჯს თურმე ფრიად უხდება.

კაუჩუკისა მთელი სამოსი კი არაა, არამედ მისი ორი ნაწილი. ორივე დაკბილულია, რათა მორბენლის სხეულის მეზობლად ვაკუუმი აღმოფხვრას. მოციგურავეს ერთი ამგვარი სალტე შუბლზე არტყია, კიდევ ორი კი — წვივებზე.



გუნდა კვლავ ჩემპიონია



ოდნეს ჯერიც დამდგარა

მეორე რეკორდი ვაჟმა დაამყარა, ოლონდაც უკვე ნორვეგიელმა. ოდნე სონდრალი დიდხანს იდგა სხვათა ჩრდილში: მას ჯერ მძლეთამძლე თანამემამულე იოჰან-ოლაფ კოსი ჯობდა, მერე კი ორი ჰოლანდიელი — რიტსმა და პოსტმა. ახლა 27 წლის ოდნეს გამარჯვების რიგიც დადგა. ჰოდა, არა მხოლოდ ოლიმპიადა მოიგო, შარშან დეკემბერში ჰერენვეენში (ჰოლანდია) რიტსმას მიერ დამყარებულ რეკორდს ერთი წამიც ჩამოაკლო. სონდრალმა ამას პოსტმას მხარდამხარ 1500 მეტრზე სრიალით მიაღწია.

ოდინდელი ზნე გაიხსენა ბებერმა გდრ-ელმა, 32 წლის დედაკაცმა გუნდამ. იგი ჯერ ცნობილ ძიუდოისტ დეტლეფ ნიმანის ცოლი იყო, ახლა კი მენეჯერ ოლივერ შტირემანთან წევს ოჯახურ ჭაპანს. 1992 წელს, ალბერვილში გუნდამ ორი ოქრო და ერთი ვერცხლი მოიპოვა, ორი წლის შემდეგ ლილეჰამერში კი ოდენ თითო ვერცხლსა და ბრინჯაოს დაჯერდა. ნაგანოში ქალი უპირველეს ფავორიტად არ მიაჩნდათ, მაგრამ ლელო რქებით მაინც გაიტანა. ბოლო წრე რომ დაიწყო, თანაგუნდელ პეხშტაინის მიერ დეკემბერში ჰამარში (ნორვეგია) დამყარებული მსოფლიო რეკორდის გრაფისკაც უსწრებდა, მაგრამ ბოლოს ოქროს მედალი, გერმანიის ალმით ტრიუმფალური წრე და ამჟამინდელი ქმრის საჯარო ამბორიღა იკმარა.

**ირაკლი ნინუა**

# იკოჭაონ, ჭია გაახარონ!

ყინულზე კოჭაობაც საქმე ყოფილა. გონება ჭადრაკსა და ბილიარდსავით ვარჯიშობს, მაგრამ სხეულს ჯაფა ნაკლებად ადგება: გუნდები დღეში ორ-ორ თამაშსა მართავენ, ზოგ მოასპარეზს კი დიაბეტიც ვერაფერს აკლებს. ერთი სიტყვით, კერლინგი რეკრეაციის შესანიშნავი საშუალებაა.

ზამთრის კოჭაობა ზამთრის თამაშების ახალი ხილია. გუშინ კარუიძავას „კაზაკოში პარკში“ წრიული ტურნირები ჩამთავრდა. გამოვლინდნენ ქალთა ნახევარფინალისტები, ვაჟთა შეჯიბრში კი ბოლო გამსვლელი ადგილისთვის მოპაექრე სამმა გუნდმა ტოლად დააგროვა ქულები და ახლა სახელდახელო „ტაიბრეიკის“ გამართვა მოუწევს.



შვედი ქალები მაგრად კოჭაობენ

**რეზო ნემსაძე**

**ქალები: კანადა და შვედეთი 6 მოგება; დანია 5; ბრიტანეთი 4; იაპონია, ნორვეგია და აშშ 2; გერმანია 1. ნახევარფინალი: კანადა — ბრიტანეთი, შვედეთი — დანია**

**ვაჟები: კანადა 6; ნორვეგია და შვეიცარია 5; იაპონია, შვედეთი და აშშ 3; ბრიტანეთი 2; გერმანია 1**

# კვლავ რუსი დაწინაურდა

**ფიგურული სრიალი**

ფიგურულ სრიალში კაცთა შეჯიბრი გახურდა. რუსმა ილია კულიკმა ფრანგი კომპოზიტორის ჟან-მიშელ ჟარის ჰანგ „რევოლუციაზე“ იცეკვა და ხუთი მსაჯისგან მიიღო 5,9-ქულიანი შეფასება. დანარჩენებმა 5,8 დაუწერეს, მაგრამ ეს სრულიად საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ კულიკს ჩამოეტოვებინა კანადელი ელვის სტოიკო და ამერიკელი ტოდ ელდრიჯი. კულიკმა საკუთარ თავს ცეკვის სინატიფე შეუქო, კანადელი კი, რომელსაც იაპონური ფილოსოფია უყვარს და იაპონურ ხალხურ ჰანგზე გამართა ცეკვა, ერთ-ორ უზუსტობაში გამოიჭირეს. თუმცა, კანადელმა მსაჯმა არტისტულობაში სრული ექვსიანი დაუსვა, სხვები კი არ გატყდნენ და 5,7-ს არ ააცილეს.

„ამნაირი ხუმრობა არ მესმის“ — თქვა სტოიკომ, რომელსაც ამდენ სიკეთესთან ერთად კარატეს შავი ქამარიც ჰქონია. მისგან მოგებას ელიან, თუმცა ავი კანადური ტრადიციაც არსებობს: ბოლო სამ ოლიმპიადაზე ბრაიან ორსერი და კურტ ბროულინგი მსოფლიოს ჩემპიონებად მიდიოდნენ, ოქროს კი ვერ იგებდნენ.

ამერიკელი ელდრიჯი კი 1996 წელს გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და იმის მერე გამარჯვების ამბიციით არის სავსე. მან საუცხოოდ შეასრულა მოკლე პროგრამის ილეთები და 18 სამსაჯო ნიშნიდან 13 „5,8“ მიიღო. ასე რომ, ყველაფერი წინ არის, მითუფრო, თუ ელდრიჯი და სტოიკო მსაჯთა გამო წუწუნებენ და ეს გარკვეულ შედეგს გამოიღებს.

ვაჟთა სრიალი. სავალდებულო პროგრამა. 12 თებერვალი

1. ილია კულიკი (რუსეთი) 0,5 ქულა; 2. ელვის სტოიკო (კანადა) 1,0; 3. ტოდ ელდრიჯი (აშშ) 1,5; 4. ალექსეი იაგუდინი (რუსეთი) 2,0; 5. ფილიპ კანდელორო (საფრანგეთი) 2,5; 6. სტივენ კაზინსი (ბრიტანეთი) 3,0; 7. ივან დინევი (ბულგარეთი) 3,5; 8. დმიტრი დმიტრენკო (უკრაინა) 4,0; ... 13. იგორ პაშკევიჩი (აზერბაიჯანი) 6,5

**ქვეყნების მონაგარი**

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო |
|---|---|---|---|
| გერმანია | 5 | 4 | 4 |
| რუსეთი | 4 | 3 | 0 |
| ნორვეგია | 3 | 5 | 3 |
| აშშ | 2 | 1 | 3 |
| ფინეთი | 2 | 1 | 2 |
| იაპონია | 2 | 1 | 0 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 0 |
| ავსტრია | 1 | 2 | 6 |
| ჰოლანდია | 1 | 2 | 0 |
| კანადა | 1 | 1 | 1 |
| შვეიცარია | 1 | 0 | 1 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 0 |
| იტალია | 0 | 3 | 1 |
| ჩეხეთი | 0 | 1 | 1 |
| უკრაინა | 0 | 1 | 0 |
| ბელარუსი | 0 | 0 | 1 |
| ბელგია | 0 | 0 | 1 |

**კვარცხლბეკი**

## მედალოსნები და სხვებიც

### მთის თხილამურობა

ვაჟები. დაშვება. 13 თებერვალი

1. ჟან-ლიუკ კრეტიე (საფრანგეთი)
2. ლასე ხიუსი (ნორვეგია) ჩამორჩა 0,40 წამით
3. ჰანეს ტრინკლი (ავსტრია) 0,52
4. იორგ გრუნენფელდერი (შვეიცარია) 0,53; 5. ედ პოდივინსკი (კანადა) ,60; 6. კრისტიან გედინა (იტალია) ,65; 7. ანდრეას შიფერერი (ავსტრია) ,66; 8. დიდიე კიუშე (შვეიცარია) ,80; 9. კაილ რასმუსენი (აშშ) 0,98; 10. პატრიკ იერბინი (შვედეთი) 1,11; 11. ფრიც შტრობლი (ავსტრია) 1,23; 12. ტომი მოუ (აშშ) 1,32; 13. ხეტილ-ანდრე ომოდტი (ნორვეგია) 1,61; 14. ფრანკო კავენი (შვეიცარია) 1,63; 15. ჯეისონ როზნერი (აშშ) 2,22

ვაჟები. კომბინაცია. 10-13 თებერვალი

1. მარიო რაიტერი (ავსტრია) 3 წთ. 08,06 წმ (დაშვება 1.36,21 - სლალომი 1.31,85)
2. ლასე ხიუსი (ნორვეგია) 3.08,65 (1.34,99 - 1.33,66)
3. კრისტიან მაიერი (ავსტრია) 3.10,11 (1.35,06 - 1.35,05)
4. გიუნთერ მადერი (ავსტრია) 3.10,11; 5. ანჯეი ბახლედა (პოლონეთი) 3.11,53; 6. ალესანდრო ფატორი (იტალია) 3.17,00; ... 14. **ზურაბ ჟიჟიშვილი (საქართველო)** 3.35,65 (1.40,39 - 1.55,26); 15 (ბოლო). პაულ შვარცახერ - პოლ ჯოისი (ირლანდია) 3.39,03

### ბარის თხილამურობა

ვაჟები. 10 კმ კლასიკური სტილით. 12 თებერვალი

1. ბიორნ დელი (ნორვეგია) 27 წთ. 24,5 წმ
2. მარკუს განდლერი (ავსტრია) ჩამორჩა 8,09 წამით
3. მიკა მიულიულა (ფინეთი) 15,6
4. ვლადიმირ სმირნოვი (ყაზახეთი) 20,6; 5. თომას ალსგარდი (ნორვეგია) 23,6; 6. იაკ მაე (ესტონეთი) 31,5; 7. ერლინგ იევნე (ნორვეგია) 34,2; 8. ანდრუს ვეერპალუ (ესტონეთი) 36,2

ქალები. 10 კმ დევნა თავისუფალი სტილით. 12 თებერვალი

1. ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) 46.06,9
2. ოლგა დანილოვა (რუსეთი) ჩამორჩა 6,5-ით
3. კატერინა ნოიმანოვა (ჩეხეთი) 7,3
4. ირინა ტარანენკო-ტერელია (უკრაინა) 10,2; 5. სტეფანია ბელმონდო (იტალია) 12,7; 6. იულია ჩეპალოვა (რუსთეი) 21,5; 7. ნინა გავრილიუკი (რუსეთი) 42,4; 8. ანიტა მოენ-გუიდონი (ნორვეგია) 57,7

### სნოუბორდი

ჰავ-პაიპი. 12 თებერვალი

ქალთა ფინალი

1. ნიკოლა თოშტი (გერმანია) 74,6 ქულა (I ცდა 37,5 - II ცდა 37,1)
2. სტინე ხელდოსი (ნორვეგია) 74,2 (36,7 - 37,5)
3. შენონ დანი (აშშ) 72,8 (38,8 - 34,0)
4. კარა-ბეთ ბერნსაიდი (აშშ) 72,6; 5. მეგი რიკერი (კანადა) 71,1; 6. მინა ჰესო (ფინეთი) 70,8; 7. ჯენი იონსონი (შვედეთი) 65,9; 8. ჯენი ვორა (შვედეთი) 62,7

შესარჩევი: ხელდოსი 37,6 ქულა; ბერნსაიდი 36,7; იონსონი 34,5; რიკერი 34,4; თოშტი 37,4; დანი 36,6 ...

ვაჟთა ფინალი

1. ჯან სიმენი (შვეიცარია) 85,2 ქულა (43,8 - 41,4)
2. დანიელ ფრანკი (ნორვეგია) 82,4 (38,[illegible] - 44,3)
3. როს პაუერსი (აშშ) 82,1 (40,3 - 41,8)
4. ფაბიან რორი (შვეიცარია) 78,7; 5. გიიომ შასტანიოლი (საფრანგეთი) 78,3; 6. იაკობ სოდერკვისტი (შვედეთი) 77,8; 7. სებასტიან კიულბერგი (ფინეთი) 76,6; 8. მაიკლ მიხალჩუკი (კანადა) 76,0; ... 11. იუსი ოკსანენი (ფინეთი) 73,6; ... 13. მარკუს პურმე (ფინეთი) 73,0

შესარჩევი: პურმე 41,1; შასტანიოლი 40,2; ოკსანენი 39,7; ფრანკი 39,6; ... სიმენი 39,8 (მე-11 შედეგი), პაუერსი 39,4 (მე-15)

### ციგურაობა

ქალები. 3000 მ. 11 თებერვალი

1. გუნდა ნიმან-შტირნემანი (გერმანია) 4 წთ. 07,29 წმ
2. კლაუდია პეხშტაინი (გერმანია) 4.08,47
3. ანა ფრიზინგერი (გერმანია) 4.09,44
4. ჯენიფერ როდრიგესი (აშშ) 4.11,64; 5. ემეზე ჰუნიადი (აშშ) .12,01; 6. კრისტინ ჰოლუმი (აშშ) ,24; 7. ლიუდმილა პროკაშევა (ყაზახეთი) .14,23; 8. ანამარი თომასი (ჰოლანდია) ,38

ვაჟები. 1500 მ. 12 თებერვალი

1. ოდნე სონდრალი (ნორვეგია) 1 წთ. 47,87 წმ (მსოფლიო რეკორდი)
2. იდს პოსტმა (ჰოლანდია) 1.48,13
3. რინციე რიტსმა (ჰოლანდია) 1.48,52
4. იან ბოსი (ჰოლანდია) 1.49,75; 5. კეი-სი ბუტიეტი (აშშ) .50,04; 6. მარტინ ჰერშმანი (ჰოლანდია) ,31; 7. ჰიროიუკი ნოაკე (იაპონია) ,49; 8. ტორუ აოიანაგი (იაპონია) ,68

### ციგაობა

ვაჟები. ორადგილა. 13 თებერვალი

1. შტეფან კრაუზე, იან ბერენდტი (გერმანია) 1 წთ. 41,105 წმ
2. კრის თორპი, გორდი შიარი (აშშ) ჩამორჩნენ 0,022 წმ-ით
3. მარკ გრიმეტი, ბრაიან მარტინი (აშშ) 0,112

# დელის მეექვსე ოქრო

## ბარის თხილამურობა

ბიორნ დელიმ ხუთშაბათს ზამთრის თამაშების ისტორიაში მამაკაცთაგან ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია — 10 კილომეტრზე კლასიკური სტილით თხილამურობაში თავისი მეექვსე ოლიმპიური ოქრო მოიპოვა. ერთპიროვნული რეკორდსმენობისთვის ნორვეგიელს ერთი პირველი ადგილი ჭირდება, რათა ქალების ექვსგზის ჩემპიონებს — საბჭოელ მოციგურავე ლიდია სკობლიკოვასა და შა-



ლეგენდარული ბიორნ დელი

რშან დოპინგზე გამოჭერილ რუს ლიუბოვ ეგოროვას გაუსწროს.

ოლიმპიადის პირველი დისციპლინა — 30 კილომეტრი თავისუფალი სტილით ყველა დროის საუკეთესო მოთხილამურედ მიჩნეულმა ნორვეგიელმა ფრიად სუსტად ჩაატარა და ოდენ მეოცე ადგილზე გავიდა, თუმცა ყურები არ ჩამოუყრია და 10-კილომეტრიანი რბოლისთვის გამარჯვებაზე კიდევ უფრო დაგეშილი გავიდა. დელიმ ლიდერობა პირველივე საშუალედო ნიშნულზე იგდო ხელთ და თანდათან უპირატესობაც გაზარდა — თუ 1,8 კილომეტრზე უახლოეს მდევარს ხუთ წამს უგებდა, დისტანციის ორი მესამედის გავლის შემდეგ მეორე ადგილზე მყოფ ყაზახ ვლადიმირ სმირნოვს 25 წამით გაუსწრო.

ნორვეგიელს, ეტყობა, მოგება განაღდებული ეგონა და ამის შემდეგ ტემპს მნიშვნელოვნად უკლო, რის გამოც გვარიანი შიში ჭამა — ავსტრიელმა მარკუს განდლერმა ბოლო კილომეტრებზე ჩამორჩენა შეამცირა და ერთი ხანობა დელის პირველობას წყალი შეუყენა, თუმცა ეს სპურტი მხოლოდ ვერცხლის მედლისთვის აღმოჩნდა საკმარისი: ავსტრიელმა ფინიშის ხაზი დელიზე 8 წამით გვიან გადაკვეთა. „ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ვერცხლის მოპოვება. შემეძლო, თუმცა ბევრს ვვარჯიშობდი და საკუთარი ძალებისაც მჯეროდა“, განაცხადა განდლერმა, რომელსაც ავადმყოფობის გამო დეკემბრის შემდეგ არსად უასპარეზია, მეორე ადგილი მსოფლიო თასების ეტაპებზეც არ უნახავს და წინა ოლიმპიადებზე 28-ე ადგილს ვერ აცილებია.

ბრინჯაო 30-კილომეტრიანი რბოლის გამარჯვებულმა, მიკა მიულულამ მოიპოვა. ძირითადი ფავორიტები — სმირნოვი და ნორვეგიელი ტომას ალსგორდი კი კვლავ უმედლოდ დარჩნენ. ბიორნ დელიმ გამარჯვების შემდეგ ბოლო ადგილზე გასული მოთხილამურის, აფრიკის ობოლი წარმომადგენლის, კენიელი ფილიპ ბოიტის გასამხნევებლადაც გამონახა დრო. ამ მავრმა დიდ ნორვეგიელთან ოც წუთზე მეტი წააგო, მაგრამ აქვე დაიქადნა, ვარჯიშს გავაგრძელებ და ოდესმე მედალს ავიღებო.

„ამ ინდივიდუალური ოქროს მოპოვება ჩემი მთავარი მიზანი იყო“, განაცხადა დელიმ, რომელსაც ჩემპიონობა სამჯერ ალბერვილის ოლიმპიადაზე მოუპოვებია, ორჯერაც ლილეჰამერში. 30 წლის ბიორნი ნორვეგიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტსმენია, თავისუფალ დროს კი ნადირობასა და თევზაობაში ატარებს და ყოფილ კოლეგა ვეგარდ ულვანგთან ერთად სატელევიზიო შოუს უძღვება. დელი ამასთან წვრილშვილის მამაცაა, თუმც ცოლი არასოდეს ჰყოლია.

ავთანდილ სვანიძე

## ანონსი

### დღეს, შაბათს

❄ მთად მოთხილამურე ქალები დაეშვებიან, ვაჟები კი პარასკევიდან გადმოდებულ სუპერ-გიგანტში იასპარეზებენ

❄ ბარად მოთხილამურე ვაჟები 15 კილომეტრზე თავისუფალი სტილით დაედევნებიან ერთმანეთს

❄ ორჭიდელებიც 15-კილომეტრიან დევნას გამართავენ და ჩემპიონს გამოავლენენ

❄ მოციგურავე ქალები მეორედ ირბენენ 500 მეტრზე და ჩემპიონიც გაირკვევა

❄ ვაჟი ფიგურისტები ნებისმიერი პროგრამით წარდგებიან; აქაც გამომჟღავნდება ჩემპიონი

❄ ქალი ჰოკეისტები გამართავენ შესარჩევი სტადიის ბოლო ტურს, ვაჟებთან კი მეორე სტადიის II ტურის ორი მატჩია: აშშ — ბელარუსი, კანადა — შვედეთი

❄ ბობსლეიში ორადგილა მანქანით მოასპარეზენი საწყის ორ ცდას გამართავენ

❄ როგორც ქალთა, ასევე ვაჟთა კერლინგში ნახევარფინალური შებმებია დანიშნული

### ხვალ, კვირას

❄ მთად მოთხილამურე ქალები კომბინაციისეულ დაშვებაში ჩაებმებიან

❄ მხტომელები დიდ ტრამპლინს დააჭაშნიკებენ

❄ მოციგურავე ვაჟები 1000 მეტრზე გაეჯიბრებიან ერთმანეთს

❄ მოცეკვავეები შეასრულებენ ორიგინალურ ნომრებს

❄ ვაჟ ჰოკეისტთა პროგრამაში II ტურის დარჩენილი ორი მატჩია: რუსეთი — ფინეთი, ჩეხეთი — ყაზახეთი

❄ ბობსლეისტები კიდევ ორჯერ დაეშვებიან და ორადგილას ჩემპიონიც გამოვლინდება

❄ ბიათლონში ქალთა სპრინტია 7,5 კილომეტრზე.

❄ კერლინგში ჯერ III ადგილოსნის გამოსავლენი მატჩებია, მერე კი საჩემპიონო ფინალები

### ზეგ, ორშაბათს

❄ ბარის თხილამურობაში ქალთა ამანათრბენია 4X5 კმ

❄ აკრობატულ ფრისტაილში შესარჩევი სტადიაა

❄ მოციგურავე ქალები 1500 მეტრზე ირბენენ

❄ მოცეკვავეები ნებისმიერი პროგრამით წარდგებიან და ჩემპიონს გამოავლენენ

❄ ვაჟთა ჰოკეიში მეორე სტადიის ბოლო ტურია. ერთ ქვეჯგუფში შეებმებიან ჩეხეთი — რუსეთი, ფინეთი — ყაზახეთი; მეორეში კანადა — აშშ, შვედეთი — ბელარუსი. მეოთხედფინალში ყველა გუნდი გადის, მაგრამ სტადიაზე დაკავებული ადგილები არსებითია მეტოქეთა დასაწყვილებლად

# ლაზუტინამ პირველი დუბლი გააკეთა



მოთხილამურე ლარისა ლაზუტინა ნაგანოს ოლიმპიადის პირველი ორგზის ჩემპიონი გახდა. საკუთარ ფედერაციასთან უბრად მყოფმა რუსმა 5 კილომეტრზე მოპოვებულ ოქროს 10 კილომეტრისაც მიუმატა. ლაზუტინამ და ჩეხმა კატერინა ნოიმანოვამ, რომელმაც სტარტი რუსზე ხუთი წამით გვიან აიღო წინა რბოლაში ნაჩვენები შედეგის შესაბამისად, დისტანციის პირველ ნახევარში დიდი ბრძოლა გამართეს. ერთი ხანობა ჩეხი დაწინაურდა კიდეც, მაგრამ ამასობაში ამათ ოლგა დანილოვა წამოეწია და ორი ერთზე რუსები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ: ქარიშხლის გამო თითქმის ცარიელ სტადიონზე ლარისამ მეორე გამარჯვება იზეიმა, დანილოვამ კი ნოიმანოვას 0,8 წამით აჯობა და 15 კილომეტრზე მოპოვებულ ოქროს ვერცხლიც დაუმატა. კვლავ წარუმატებლად იასპარეზეს ნორვეგიელებმა, რომელთაგან საუკეთესომ — ანიტა მოენ-გუიდონმა მხოლოდ მერვე ადგილი დაიკავა.

## ჰოკეი

12 თებერვალი

მატჩი მე-13 ადგილისთვის

**იაპონია 4:3 ავსტრია**

**(1:2, 1:0, 1:1, ბულიტებით იაპონელებმა მოიგეს)**

**შაიბები: ლავუა (0:1), იაპატა (1:1), რესმანი (1:2), სუგისავა (2:2), ლავუა (2:3), ცუცუმი (3:3)**

**გადამწყვეტი ბულიტი: იაპატა**

თუ ავსტრიელთათვის ამ მატჩს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ტურნირის მასპინძლებისთვის ამ შეხვედრაში გამარჯვება და ბოლოსწინა ადგილზე გასვლაც კი პრესტიჟის საქმე იყო. ამიტომაც უფრო მაღალი კლასის მეტოქეს იაპონელები გააფთრებით შეებნენ: სამჯერ გაათანაბრეს ანგარიში, თანაც ყველა გოლი რიცხვმრავლობაში გაიტანეს და საბოლოოდ ბულიტებით იმარჯვეს. ამ მოგებით აზიელთა კანადელმა მწვრთნელმა, გამოცდილმა დეივ კინგმა მეტად გაიხარა (თავის დროზე კინგი კანადის ოლიმპიურ ნაკრებს ხელმძღვანელობდა).

მატჩი მე-11 ადგილისთვის

**იტალია 1:5 საფრანგეთი**

**(0:1, 0:0, 1:4)**

**შაიბები: ბოზონი (0:1), ბოზონი (0:2), ბოზონი (0:3), ბრიანი (0:4), ორლანდო (1:4), პუდრიე (1:5).**

თითქმის თანაბარი კლასის გუნდების ორთაბრძოლაში ყველაფერი ფრანგთა ლიდერის, გამოცდილი ფილიპ ბოზონის (3+1) ოსტატობამ გადაწყვიტა. ვეტერანი თავდამსხმელი, რომელმაც 90-იანი წლების დასაწყისში ოთხი სეზონი ჩაატარა სენტ ლუისში, ჩინებულად გაისარჯა და სამი ულამაზესი გოლით თავის გუნდს მე-11 ადგილი მოუტანა.

მატჩი მე-9 ადგილისთვის

**გერმანია 4:2 სლოვაკეთი**

**(0:1, 1:1, 3:0)**

ეს გუნდები წინასწარი ეტაპის ფავორიტებად ითვლებოდნენ და ამიტომაც გასაგებია, რატომ შემოსწყრნენ მათი მწვრთნელები და ჯგუფური ტურნირის მხოლოდ ბოლო მატჩზე ჩამოსული ნჰლ-ელები ლიგის ხელმძღვანელებს. კერძოდ, გერმანელთა თავკაცი ჯორჯ კინგსტონი ერთობ აღაშფოთა იმან, რომ ნჰლ-ის მესვეურებმა ოლიმპიადის დასაწყისისთვის არ გაათავისუფლეს იქ მოთამაშე მისი თვისტომნი. კინგსტონის თქმით, ლიგას მხოლოდ კომერცია აინტერესებს და ამიტომაცაა, მხოლოდ ექვს წამყვან გუნდს რომ შეუქმნა საუკეთესო პირობები. ასე იყო თუ ისე, ფინალურ რვეულში მოხვედრაზე მეოცნებე ნაკრებებს მე-9 ადგილისთვის ბრძოლამ მოუწიათ. თავიდან სლოვაკები უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ ბოლო პერიოდში გერმანელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და მაკეის გოლის წყალობით იგი ბოლომდე შეინარჩუნეს.

### ფინალური ეტაპი

13 თებერვალს, როგორც იქნა, დაიწყო დიდებული სანახაობა, რომლის გამოც ნჰლ-მა თავისი ჩემპიონატი შეწყვიტა — ფინალური ეტაპი ექვსი „ოცნების გუნდის“ მონაწილეობით.

D ჯგუფი

**აშშ 2:4 შვედეთი**

**(2:1, 0:2, 0:1)**

**შაიბები: ჩელიოსი 1 (1:0), ალფრედსონი 1 (1:1), მოდანო 1 (2:1), ჩიელბერგი 1 (2:2), ალფრედსონი 2 (2:3), სუნდინი 3 (2:4)**

ტურნირის პირველივე მატჩი უსწრაფესად დაიწყო — ორივე კართან წამდაუწუმ იქმნებოდა სახიფათო მომენტები. ახალჩამოსული ნჰლ-ელები ისე ჩაებნენ ბრძოლაში, ვერ იტყოდი, ნამგზავრები არიანო, განსაკუთრებით კი ამერიკელები აქტიურობდნენ. ასე თავგანწირულად მათ მსოფლიოს თასის საუკეთესო მატჩებშიც არ უთამაშიათ. აშშ-ის ნაკრების ყოველი შეტევის სულისჩამდგმელი გერინ (2 პასი) — მოდანო — ტკაჩუკის სამეული იყო, რომლის ძალისხმევითაც 2 გოლი გავიდა. პირველი პერიოდის შემდეგ ანგარიში სრულად არ ასახავდა ამერიკელთა უპირატესობას, მაგრამ სკანდინაველები თანდათან ჩვეულ სტილში ათამაშდნენ, მეტოქე შებოჭეს და მატჩის ტემპი შეანელეს. მალე რენბერგმა და ჩიელბერგმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს, მერე კი ფორსბერგსა (2 პასი) და ალფრედსონის საუცხოო ურთიერთქმედებამ გამოიღო შედეგი. ეს იყო და ეს, დანარჩენ დროში აშშ-ის ნაკრებმა თავი არ დაზოგა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. მატჩის მიწურულს შვედების ერთ-ერთმა ლიდერმა მატს სუნდინმა თავისი დაბადების დღე შაიბით აღნიშნა და საბოლოოდ დაასამარა ამერიკელთა იმედი.

# ამას ველოდით

**კანადა 5:0 ბელარუსი**

**(2:0, 2:0, 1:0)**

**შაიბები: ფლერი 1 (1:0), ბურკი 1 (2:0), მაკინისი 1 (3:0), ლინდროსი 1 (4:0), ლინდროსი 2 (5:0)**

ბელარუსმა ჰოკეისტებმა ამ ტურნირზე უკვე შეასრულეს პროგრამა-მაქსიმუმი და მათ დიდი ანგარიშით წაგებაც არ ჩაეთვლებოდათ სირცხვილად. თუმცა, ყოფილმა საბჭოელებმა უბრძოლველად არაფერი დაუთმეს მეტოქეს და მიუხედავად იმისა, რომ თავად ვერ დალაშქრეს პატრიკ რუას (18 მოგერიება) კარი, რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს. ამიტომაც კანადელებმა, ანგარიშში სოლიდური სხვაობისთვის რომ მიეღწიათ, ოფლი გვარიანად ღვარეს. ფავორიტთაგან განსაკუთრებით აქტიურობდა ფილადელფიელი ერიკ ლინდროსი, რომელმაც 2 გოლი გაიტანა და ჩინებულადაც გაუძღვა თავის გუნდს, ხოლო მისმა თანაკლუბელმა როდ ბრინდამორმა 2 პასი მიითვალა. კანადელთა პირველი შაიბა კი ტურნირისა და ნჰლ-ის ყველაზე ტანმორჩილმა ჰოკეისტმა, კალგარელმა ტეო ფლერიმ (166 სმ) შეაგდო უმცირესობაში. რაც შეეხება ძალისმიერი სტილის მიმდევარ ლინდროსს, მან არც ახლა უღალატა ჩვეულ მანერას და ერთ-ერთი ბელარუსი ლამის გაჭყლიტა. ოლიმპიადის ყველაზე სახელოვანმა დებიუტანტმა უეინ გრეცკიმ 1 პასი იკმარა.

**რუსეთი 9:2 ყაზახეთი**

**(2:1, 5:0, 2:1)**

**შაიბები: ფიოდოროვი 1 (1:0), საგიმბაევი 1 (1:1), იაშინი 1 (2:1), იაშინი 2 (3:1), პ. ბურე 1 (4:1), პ. ბურე 2 (5:1), კოვალენკო 1 (6:1), ტიტოვი 1 (7:1), კოვალენკო 2 (8:1), ზელეპუკინი 1 (9:1), ე. კორეშკოვი 2 (9:2)**

ყაზახეთის ნაკრებმა მხოლოდ ერთი პერიოდის განმავლობაში გაუწია წინააღმდეგობა მეტოქეს, მერე კი ყინულზე რუსები გაბატონდნენ. უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით რუსეთის ნაკრები ძალზე კარგად გამოიყურება, ტრადიციულად სწრაფ და ლამაზ ჰოკეის თამაშობს, ზოგიერთ ეპიზოდში კი სპორტსმენებმა დიდი ოსტატობაც აჩვენეს. თუმცა, ვნახოთ, როგორ შეებრძოლებიან რუსები გაცილებით სერიოზულ მეტოქეებს. მათგან ყველაზე დიდ ყურადღებას დეტროიტელი სერგეი ფიოდოროვი იქცევდა და აღსანიშნავია, რომ შეიდთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ თავდამსხმელს არ დაუკარგავს ჩვეული ფორმა. სწორედ მან გახსნა ლამაზი სოლო რეიდით ანგარიში, მეორე გოლიც მისი პასის შემდეგ გავიდა, საერთოდ კი, კოვალენკო — იაშინ — ფიოდოროვის სამეულმა 5 შაიბა მიითვალა.

სამველ ლარიბიანი



კანადელთა მეკარე მანონ რეომს ვერც ახლა გაუტანეს

**ჩეხეთი 3:0 ფინეთი**

**(0:0, 1:0, 2:0)**

**შაიბები: პატერა 1 (1:0), რაიხელი 1 (2:0), რუჟიჩკა 1 (3:0)**

აშშ-ისა და შვედეთის მატჩისგან განსხვავებით, ამ შეხვედრამ მეტად მშვიდ ვითარებაში ჩაიარა და მაინცდამაინც არც მეკარეები შეწუხებულან. მეტოქეებმა ძალა აშკარად დაზოგეს, მით უმეტეს, ჯგუფური ტურნირის ყველა მონაწილე მეოთხედფინალებშიც იასპარეზებს. თუმცა, ჩეხები უფრო აქტიურობდნენ და მათთვის უჩვეულოდ დიდხანს იყვნენ მოწინააღმდეგის ზონაში. რაც შეეხებათ ფინელებს, მათ მეტად უფერულად ითამაშეს. ისინი მას შემდეგაც არ გამოცოცხლებულან, რაც მეტოქე წინ გაუშვეს. ფაქტობრივად, მხოლოდ სელიანესა და კოივუს წამყვანმა დუეტმა გამწვავა რამდენჯერმე მდგომარეობა ჰაშეკის კართან და, ცხადია, ბუფალოს სუპერვარსკვლავსაც არაფერი გასჭირვებია. ჩეხთაგან გამოირჩეოდა იარომირ იაგრი — სწორედ მისი ლამაზი გარღვევისა და ზუსტი პასის შემდეგ დააფიქსირა საბოლოო ანგარიში ნაკრების ვეტერანმა, 1985 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა რუჟიჩკამ. გადამწყვეტი გოლი კი ჩეხეთის გუნდის ნახევარი შემადგენლობის დარად ევროპაში მოთამაშე პაველ პატერამ შეაგდო.

# ქალური ლოგიკა

12 თებერვალი

**ჩინეთი — შვედეთი 3:1, კანადა — ფინეთი 4:2, აშშ — იაპონია 10:0**

ქალთა ჯგუფური ტურნირის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ფინალისტები გამოვლინდნენ. ფინეთის ნაკრებს ოქროს მედლის მოპოვების შანსი რომ შეენარჩუნებინა, კანადელები უნდა დაემარცხებინა, მაგრამ მსოფლიოს უძლიერესი ჰოკეისტი ქალები უპრობლემოდ გაუსწორდნენ მეტოქეს. მათ ფინელთა მეკარე სნეკიც დაეხმარა, რომელმაც სამი შორეული შაიბა გაუშვა, ხოლო როცა სკანდინაველებმა ერთი გოლი გაქვითეს და გარკვეული იმედი ჩაესახათ, კანადელთა საუკეთესო სნაიპერმა გოიეტმა მათ უმალ ცივი წყალი გადაასხა.

ამერიკელებმა მასპინძლები გაანადგურეს (კინგმა ჰეთ-თრიქი მიითვალა), ხოლო ჩინელებმა საკმაოდ მოულოდნელად მოუგეს შვედებს. მათგან ამჯერადაც ჯანგი და ჟანგი (თითო-თითო გოლი) გამოირჩნენ.

ფინალში კანადისა და აშშ-ის ნაკრებები შეხვდებიან ერთმანეთს, მე-3 ადგილისთვის კი ჩინეთისა და ფინეთის გუნდები იასპარეზებენ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 4 | 0 | 0 | 26:3 | 8 |
| კანადა | 4 | 0 | 0 | 24:5 | 8 |
| ფინეთი | 2 | 0 | 2 | 21:9 | 4 |
| ჩინეთი | 2 | 0 | 2 | 9:9 | 4 |
| შვედეთი | 0 | 0 | 4 | 5:21 | 0 |
| იაპონია | 0 | 0 | 4 | 2:40 | 0 |

# რუსები ძმურად არიან

პაველ ბურემ რუსთა ნაკრებს „ძმების გუნდი“ უწოდა და არცთუ ტყუილად — რუსებს ხომ ბურეებისა და მირონოვების ორი წყვილი ჰყავთ. ჟურნალისტებმაც უმალ აიტაცეს ეს მეტსახელი და ყოფილ საბჭოელებს ახლა მხოლოდ ასე იხსენიებენ. თუმცა, იმასაც აღნიშნავენ, რომ ნაკრებში ნამდვილად მშვიდი და მეგობრული ატმოსფერო სუფევს, რაც წინა ტურნირებზე არ შეიმჩნეოდა.

# კარიამ სისხლი ვერ აყივლა

სამწუხაროდ, კანადის ნაკრების წამყვანი თავდამსხმელის, ანაჰაიმელი პოლ კარიას ტრავმა იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ იგი იძულებული გახდა, ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარი ეთქვა. არადა, წარმოშობით იაპონელი ჰოკეისტის ასპარეზობა ერთობ გაზრდიდა ამ ტურნირისადმი ინტერესს. კარიას ადგილი კანადის ნაკრებში მონრეალის ფორვარდმა მარკ რექიმ დაიკავა.

# ნორვეგია გვიცნობს, მაგრამ... არ გვიცნობს

ქონგრეთულეიშენ, ქონგრეთულეიშენ, იუ ჰევ ვერი გუდ თიმ — ეს სიტყვები იმ ნორვეგიელ მზვერავს ეკუთვნის, რომ ვწერდი, მოულოდნელად გაუჩინარდა-მეთქი. ამ ქერა მამაკაცს სწორედ მაშინ მოვკარი თვალი ტრიბუნაზე, მალტელებთან მატჩი რომ დამთავრდა. აბა, შემთხვევას ხელიდან როგორღა გავუშვებდი... ნორვეგიელი აღფრთოვანებული იყო ქართველი ფეხბურთელების თამაშით და ამას ვერ მალავდა. გავისაუბრეთ, დამშვიდობებისას კი ნილს სემბამ გოგვე გაიმეორა — გოლოცავთ, გოლოცავთ, თქვენ ძალიან კარგი ნაკრები გყავთო. სასიამოვნო კომპლიმენტია, არა? რა თქმა უნდა, ასეა. მალტაზე ყოფნისას, ხუთი დღის განმავლობაში, ბევრ იქაურ ფეხბურთის ქომაგთან მომიხდა ურთიერთობა. თითქმის ყველა ანალოგიური აზრისა იყო ჩვენების ნაკრებზე. ვერ გეტყვით, მათი აღტაცება „როტმანსის“ ტურნირში მონაწილე გუნდებთან შედარებით გახლდათ გამოწვეული, თუ... ერთი რამ ფაქტია — მალტელებმა და სხვა გუნდების წარმომადგენლებმაც საქართველოს ნაკრები უკვე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილე გუნდად შერაცხეს. ყოველივეს ნაკრების თამაშებიდან გამომდინარე ამბობდნენ. ჩვენებურთ აშკარად ეტყობოდათ გუცაევის ხელი. როგორც ჩანს, გუნდის მწვრთნელმა ამთავითვე დაიჭირა თადარიგი და ყურადღებას ფეხბურთის ისეთ კომპონენტებზე ამახვილებს, რაც ქართველებს ოდითგანვე ნაკლად გვაჩნდა. თქვა კიდეც ინტერვიუში, სხვა სტილის ფეხბურთის მიმდევარი ვარო. ეს სხვა კი ბრძოლისუნარიანობა, კოლექტიურად ბურთის ართმევა, მთელი გუნდით შეტევა და ასევე მთელი გუნდით თავდაცვა, ტექნიკა და გონივრული ტაქტიკაა, იმპროვიზაციასთან ერთად. არა, ნამდვილად ვერ დავიჩემებ საქართველოს ეროვნული გუნდი ყველა ზემოთჩამოთვლილ ხერხებს იყენებდა მალტელ მეტოქეებთან თამაშისას-მეთქი, მაგრამ, ეჭვგარეშეა, საამისო საფუძველი უკვე შექმნილია. ევროპის შესარჩევების დაწყებამდე ქართველებს რუსებთან და ირანელებთან ამხანაგური თამაშები აქვთ დაგეგმილი, კვიპროსელებთან და უკრაინელებთან კი მოლაპარაკება მიმდინარეობს. ჰოდა, ნელ-ნელა, შრომითა და მონდომებით, ვინძლო მართლაც ისეთი გუნდი ვიხილოთ, ის ბედნიერი დილა გაგვითენდეს, ბელგია-ჰოლანდიისკენ მიმავალ გრძელ გზას რომ გაგვინათებს. უკლებლივ ყველა ფეხბურთელიც ამას ფიქრობს. საშუალება და სურვილი ერთმანეთს ემთხვევა, სწორედ ეგაა მთავარი, ვირწმუნოთ ქართველების შესაძლებლობა, ვუქომაგოთ, ამჟამინდელ დროებას ადრინდელთან ნუ გავაიგივებთ, ჩვენც, უცხოელებივით, ხელის გულზე ვატაროთ ნაკრების წევრები, საპასუხოდ კი ის სიხარულიც გვეწვევა ევროპის ჩემპიონატზე თამაში რომ ჰქვია.

პათეტიკად ნუ ჩამითვლით, იმას ვწერ, რასაც ვგრძნობ და რისიც მჯერა. ტკბილი სიტყვა და გამხნევება კი ნაკრებს ძალიან სჭირდება. მალტაზე ჩატარებული სამი თამაშის შემდეგ გუცაევის ახალმა ნაკრებმა ეს დაიმსახურა. იქნებ ვინმემ იფიქროს, რა მოხდა, რა დიდი საქმეა ლატვიას, მალტას და ალბანელებს თუ მოუგესო. ვინც ასე იფიქრებს, ნამდვილად შეცდება, მალტის ტურნირზე მსგავსი რამ არ ითქმის, რადგან მართალია სამივე გუნდი ჩვენებზე სუსტია, ყველაფერში დავჯაბნეთ, დავჯაბნეთ ჩვენივე კარგი თამაშით, მაგრამ დღეს ხომ უკვე აქსიომაა, რომ ხელწამოსაკრავი მეტოქე არსადაა, წაგება ყველასთან შეიძლება, მეტ-ნაკლები ალბათობით ყველა მოგიგებს, ჩვენ კი უნდა გვიხაროდეს ისეთი წარმატების მიღწევა, რომლის შემდეგაც სადღაც შორს, ერთ კინკილა კუნძულზე ამდენი ქათინაური მოვისმინეთ ლამაზი თამაშისათვის... ქართველებზე საუბარს აქ დავასრულებ და ჩემს მოკრძალებულ აზრს მოგახსენებთ მეტოქეებზე — ჰაფაზისა და ძოძუაშვილის გუნდებზე.

ალბანელებს, ამას წინათ თურქები სტუმრად სამარცხვინოდ რომ დაამარცხეს, მალტაზე ისე ჰქონდათ ცხვირი აბზუებული, გეგონებოდათ, მათი მომგები გუნდი არ არსებობდა, ყველანი ქედმაღლურად გამოიყურებოდნენ. ჩვენებთან თამაშის წინაც ასეთი განწყობით გამოვიდნენ, მოთელვაზე ბურთს სხვათა შორის აგორებდნენ, თავმომწონედ უყურებდნენ ტრიბუნებს, ეგონათ, ქართველებს გადაუვლიდნენ. პირიქით კი მოხდა. კარგი გუნდიაო, ნამდვილად არ ეთქმის, ერთი ჩვეულებრივი, ბევრი ნაკლის მქონე ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული არწივთა ნაკრები. ტექნიკურები არიან, შეტევის ორგანიზებას ძირითადად მოედნის შუა ნაწილიდან ცდილობენ, მოკლე პასებით კედელს გაათამაშებენ ხოლმე და ასე სწადიათ ფონს გასვლა. იშვიათად ფლანგურ ჩაწოდებებსაც იყენებენ. აყლაყუდა, ლამის ორმეტრიანი იგლი ტარე ჰყავთ, რომელიც ძალიან უჭკუო, მაგრამ ათლეტურია, თავით თამაშისას სიმაღლე უწობს ხელს. თუ გამოზომილად ჩაუწოდეს, კაციშვილი არაა მის სიმაღლეზე ამხტომი. კარგი ფეხბურთელია რაკლი და ლატვიელთა გამამწარებელი კოლა. დაცვაში კაპიტანი რუდი ვატა დარბის, მწვრთნელი ხან განაპირას ათამაშებს, ხანაც შუაში — სტოპერად. სხვა გამოსარჩევი არავინა ჰყავთ. უნდათ, რომ კოლექტიური ფეხბურთი ითამაშონ, არ გამოსდით, შემდეგ კი ინდივიდუალიზმზე გადადიან. ტარეს გარდა ათლეტური ფეხბურთელი თითქმის არავინაა, გამძლეობითაც ვერ დაიტრაბახებენ, ფსიქოლოგიურადაც სწრაფად ტყდებიან. უხეშობით მაინცდამაინც არ უხეშობენ, მაგრამ წაგებისას გული მოსდით, მსაჯებს ეკამათებიან, მათზე უნდათ გავლენის მოხდენა. ისე, ასტრიტ ჰაფაზი გონიერი კაცი ჩანს, დღევანდელი ალბანეთი ერთი შეხედვით უფრო ძლიერია, ვიდრე ნეპტუნ ბაიკოს თავკაცობისას. ლოგიკურად, ორივე თამაშის მოგება შეგვიძლია, ეგაა ტირანადან იქნება სამი ქულის წამოღება ოდნავ პრობლემური საქმე. თბილისში კი, შესაძლოა, უსასტიკესად დავამარცხოთ. მე თუ მკითხავთ, ესენი მალტაზე მოთამაშე დანარჩენ ორ გუნდზე ძლიერები არიან. მწვრთნელი უპირატესობას სამი მცველით თამაშს ანიჭებს. როგორც წესი, ასეთ დროს ფლანგებს თითო-თითო სწრაფი ფეხბურთელი უნდა აკონტროლებდეს, რასაც ალბანელებზე ვერ იტყვი. აშკარა გახლდათ, ფლანგების გასაკონტროლებლად ჰაფაზს სწრაფები ვერ შეურჩევია. ამიტომაც ხშირად ექმნებოდათ თავისუფალი ზონები. ჩვენებმაც გამოიყენეს და სამივე გოლიც ფლანგებიდან შეტევისას შეუგდეს. ვნახოთ, ყოველ შემთხვევაში, მალტაზე ალბანელებმა ისეთი შთაბეჭდილება დატოვეს, ნაღდია — უნდა მოვუგოთ.

ლატვიამ ძალიან დიდ პროგრესს მიაღწია, ნორვეგიელმა დამკვირვებელმაც ეგ აღნიშნა. რაღაც-რაღაცეები კი იციან, მაგრამ შემსრულებლები არ ჰყავთ, რის გამოც მეტოქე მცველთა დაშვებული შეცდომებითა და, იშვიათად, თავიანთივე გამჭრიახობის შედეგად შექმნილ მომენტებს ქარს ატანენ. ძოძუაშვილმა იქნებ შეგნებულად გააკეთა — გუნდმა ყველა თამაშში დაცვითი ფეხბურთი აჩვენა, ცდილობდნენ, სწრაფი კონტრშეტევებით ეხეირათ, რაც იშვიათად გამოსდიოდათ. მალტური ტურნირიდან პირველყოვლისა პახარსა და მეკარე ლაიზანსს აღვნიშნავდი. როგორც მიხიჩამ მითხრა, პახარს თურმე საერთოდ არ უპირებს ძირითადში დაყენებას, ლაიზანის თამაშით კი თავადაც კმაყოფილია. ლატვიელებს კუნძულზე ბევრი ფეხბურთელი აკლდათ, მათ შორის თავდამსხმელი მიხოლაპი. ძოძუაშვილმა თქვა, არაფრისგან შეუძლია გოლის გატანა, დარწმუნებული ვარ, ბევრ გუნდს გაამწარებსო. ლატვიელთა მწვრთნელს დაეჯერება, მაგრამ ბოლომდე არა. ძოძუაშვილმა სტადიონზე დამსწრეთ თითქმის ყველაფერი დაუმალა, რისი დამალვაც შეიძლებოდა, ხოლო მერე და მერე ამბობდა, რა ვქნა, სულ ესენი ვართ, რაც შეგვიძლია, აგერ ჩანსო. ღმერთმა იცის, ლატვიელებს მართლაც ამაზე მეტი შეუძლიათ, თუ არა. არ შეუძლიათ და თავადვე იკითხონ, ჩვენც ეს გვინდა, თუმცა ძლიერ საეჭვოა, ბალტიისპირელებმა ველარ მოუმატონ. ქართველმა მწვრთნელმა ისიც კი მითხრა, აი, ნახავ, ალბანელებს თუ ვერ მოვუგებთო, შესარჩევ თამაშებს გულისხმობდა. ესე იგი, თავისი გუნდის იმედი აქვს. ტაქტიკაზე ბევრი რა გითხრათ, მთელი ნაკრები დაცვაში ზის, წინ გადააგდებენ ბურთს და წყალივით მოძრავი თავდამსხმელის წყალობით ცდილობენ საგოლე სიტუაციის შექმნას. გახსნა ეხერხებათ, პასების ზუსტი მიმართულებით გადაცემა კი, ნურას უკაცრავად, არ იციან. მალტაზე ლატვიელთა დელეგაციაში 1964 წლის საჩემპიონო მატჩის მსაჯი მიკენის რუბენისიც იყო. ორი სიტყვა მასაც ვათქმევინე თავისიანებზე — ძოძუაშვილი ძლიერი მწვრთნელია, მაგრამ ფეხბურთელები არ ვარგანან. ახლა ცდილობს, სხვები გამოცადოს, იქნებ რომელიმე სამომავლოდ გამოადგეს. დარწმუნებული ვარ, ორ-სამ თამაშს თქვენებური მწვრთნელი მაინც მოგვაგებინებსო. ვერ გეტყვით, იმ ორ-სამ თამაშში რუბენისი ჩვენ გვგულისხმობდა, თუ — არა. ისე, არა მგონია, ლატვიელებმა რაიმე დაგვაკლონ, ჩვენ თუ სრული მობილიზაციით ვითამაშებთ და არა ისე, როგორც „ტა ქალიზე“ ბურთაობისას. ჩვენი მცველები იმდენ უხეშ შეცდომას უშვებდნენ, სრულიად შესაძლებელი გახლდათ, ლატვიელებს ბევრჯერ დავესაჯეთ.

ერთი სიტყვით, ასეთები არიან ჩვენი მომავალი მეტოქეები, დანარჩენს მათთან უშუალო თამაში გამოაჩენს. მალტაზე დიდი ვერაფრით დაამახსოვრეს ხალხს თავი, აი, ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლემა, „ტა ქალიზე“ მეტოქეთა მზვერავად მოვლენილმა ნილს სემბამ კი თავისი პერსონა ისე წარმოაჩინა, თითქოს, საერთოდ ჭურში იჯდა და ქართველები მხოლოდ მალტელებთან თამაშში ეხილა. არადა, ალბანელებთან მატჩის შემდეგ ხომ გაუწყეთ, გული დამწყდა, ნორვეგიელთან საუბარი რომ ვერ მოვახერხე-მეთქი. ეგ კაცი ქართველთა სამივე თამაშის თვითმხილველია, ხელი არ გაუჩერებია, გამუდმებით რაღაცას ინიშნავდა. ვკითხე, გეტყობათ, თაბახის ფურცლები ბლომად ჩამოგიტანიათ, სამივე მეტოქეზე დაგავალეს ინფორმაციის შეგროვება-მეთქი და აი, რა მიპასუხა:

— აბა როგორ, ამ სიშორეზე მარტო თამაშების საცქერლად ხომ არ ჩამოვიდოდი. ფეხბურთის ფედერაციაში ვმუშაობ და რატომღაც მე დამავალეს კუნძულზე წამოსვლა. ალბათ, ჩემი იმედი აქვთ, ვცდილობ, მეტოქეებზე დაწვრილებითი ინფორმაცია მოვიპოვო, რადგან მენდნენ, არ დავაღალატებ. განსაკუთრებით ბევრი აი აქ მიწერია, — ნორვეგიელმა ჩანთა გახსნა და საკმაოდ სქელი საქაღალდე ამოიღო, თავფურცელზე დიდი ასოებით წაეწერა GEORGIA. გადაფურცლა, რაღაც თავის ენაზე ჩაილაპარაკა და ისევ მე მომიბრუნდა, — ხომ ხედავ, რამდენი ფურცელია. ქართველთა ნაკრებში ვინც ითამაშა, ვის რისი თავი აქვს, აქ ჩავინიშნე. ახლა სამშობლოში დავბრუნდები, ეგილ ოლსენს ჩავურაკრაკებ თქვენს ამბავს.



ნილს სემბა (მარცხნივ) ცდილობდა არაფერი გამორჩენოდა

**— რაო, რას ეტყვით?**

— მისთვის სათქმელი თუ თქვენ გითხარით, რაღა გამოვიდა? როცა ერთმანეთს შევხვდებით, მაშინ ნახავთ, რაც ჩამიტანია ნორვეგიაში. თუ მოგიგეთ, ესე იგი სწორი მინიშნებები გამიკეთებია, თუ არა, ჩემგან მზვერავი აღარ გამოვა.

**— იუჰანსონმა ნორვეგიას ქართველებთან რომ მიუჩინა ადგილი, თქვენთან რა იფიქრეს?**

— ერთი მხრივ, გვესიამოვნა, თუმცა, გვერჩია, ქართველთა ნაცვლად სხვა გუნდი შეგვხვედროდა. მესამე კალათაში თქვენზე ბევრად სუსტი გუნდებიც იყვნენ.

**— აქამდე რაიმე თუ იცოდით საქართველოს შესახებ?**

— თქვენ რა, წყალწაღებულები გგონივართ? ვიცოდით, რა თქმა უნდა. საქართველოს ნაკრების თითქმის ყველა თამაშის ვიდეოფირი ხელთ ჩავიგდეთ, რომლებიც გასულ შესარჩევ ციკლში ჩაატარეთ. თუმცა, ვგრძნობ, ეგ ფირები შეიძლება აღარ დაგვჭირდეს...

**— რატომ? ნუთუ მალტაზე თამაშებით უკვე საკმაო წარმოდგენა შეგექმნათ ჩვენებზე?**

— რატომ და ახლავე გეტყვით. თქვენებმა მწვრთნელი გამოიცვალეს და ახლა უკვე სხვა ფეხბურთს თამაშობენ. იმასთან შედარებაც არ შეიძლება, რაც ტელევიზორიდან ჩანს. მნიშვნელოვნად გაძლიერებულხართ, ფიზიკურად მოღონიერებულები ჩანან ფეხბურთელები, გონივრულ კომბინაციებსაც ხშირად აწყობენ, ტექნიკაზე ლაპარაკი კი საერთოდ ზედმეტად მიმაჩნია.

**— სერიოზულ ძალად წარმოგიდგენივართ...**

— ასეა. აქ წამოსვლამდე ეგილ ოლსენს ვესაუბრე, მითხრა, ჯგუფში ყველაზე ძლიერი მეტოქე საქართველოაო. ცოტა არ იყოს, შეშინებულები ვართ, ის თამაშიც გვახსოვს, ბოლო წუთებზე პენალტით რომ მოგიგეთ. სიმართლეს გეტყვით, ალალი იქნებოდა, მაშინდელი შეხვედრა დიდი ანგარიშითაც წაგვეგო, ბედი გვწყალობდა. ახლა ყველაფერს გავითვალისწინებთ. ღმერთმა არ ქნას, მომავალი თამაშებიც ისეთივე გამოდგეს ჩვენთვის, როგორც ოსლოში. აი, ანგარიში კი განმეორდეს.

**— ანგარიში რომ შეტრიალდეს უფრო აჯობებს.**

— არა, არა, რას ამბობთ. ნორვეგიაშიც თუ მოგვიგეთ, აღარ ყოფილა საშველი, მაშინ ევროპის ჩემპიონატზე ველარ გავალთ. ჯობს ჩვენ მოგიგოთ. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, თორემ ვინც უკეთ ითამაშებს, გამარჯვებაც მისი იყოს.

**— დანარჩენ მეტოქეებზე რა აზრის ბრძანდებით?**

— ყველა საშიში გუნდია. ფავორიტებად კი მიმაჩნია ჩვენები, საქართველო და საბერძნეთი, მაგრამ ჯგუფში ისეთი ნაკრებები დაგვიპირისპირდებიან, სავსებით მოსალოდნელია, ქულები სამივემ დავკარგოთ. ლატვიელებს დიდი პროგრესისთვის მოუღწევიათ, ქართველი მწვრთნელის ხელში ცოტათი ოსტატობაც აუმაღლებიათ. სლოვენებზეც იგივეს ვიტყვი. ტექნიკური გუნდი ყველასთვის საშიშია, ისინიც, როგორც თქვენ, ტექნიკურები არიან და მათგან სიურპრიზი გასაკვირი როდი იქნება. ალბანელებიდან რაკლი მომწონს, გუნდის ლიდერია, თამაში თუ წაუვიდა, პარტნიორებსაც აიყოლიებს. მეტოქეთა განერვიულება ალბანელებს სხვაზე ნაკლებად არ შეუძლიათ.

**— ქართველებიდან ვინ დაგამახსოვრდათ?**

— ქინქლაძესა და შოთა არველაძეს ვიცნობდი, მათი ბევრი თამაში მინახავს. მოხიბლული დავრჩი, ძალიან კარგი ფეხბურთელები არიან. მალტაზე კი ის თავხოტორა, რა გვარია? ხო, ქეცბადზე (ქეცბაიას გულისხმობდა) იყო საუკეთესო. ახლა შევიტყვე, „ნიუკასლში“ რომ თამაშობს, ეტყობა, ჭკვიანია. მალტასთან მატჩში ყველაშვილიც ძოძუწობა, ჩასაფრებულია და გოლის გატანაც ნებისმიერი ადგილიდან უნდა ეხერხებოდეს — ამის შემდეგ სემბამ ის სიტყვები წარმოთქვა, რითაც ამ სტატიის წერა დავიწყე. ბოლოს, ჩვენთან მოგება როგორი თამაშით შეგეძლებათ-მეთქი, ვკითხე და დავემშვიდობე — ახლა ძნელი სათქმელია, როგორ უნდა მოგიგოთ. ასე უცბად ვერ გეტყვით, რას დაგიპირისპირებთ. ჩავალ, მწვრთნელებთან ერთად გავაანალიზებთ შეგროვილ მასალებს და ამის მიხედვით მოვემზადებით. რთული თამაში რომ გველის, თქმაც არ უნდაო, მიპასუხა ნორვეგიელმა მზვერავმა. წავიდა და უმალ მისივე სიტყვებმა გამიარა გონებაში — ნეტავ, მართლაც უნიჭო მზვერავი გამოდგეს ნილს სემბა. თუმცა, მეტოქის წინასწარ დაწვერვას იმხელა მნიშვნელობა აღარა აქვს, როგორიც უწინ, ამხანაგური თამაშებით მოწინააღმდეგეზე გარკვეულ წარმოდგენას კი შეიქმნის კაცი, მაგრამ მაინც ყველაფერი მწვრთნელის გამჭრიახობაზე და ფეხბურთელთა მომზადებაზეა დამოკიდებული. ჩვენებს მწვრთნელიც გამჭრიახი ჰყავთ, ფეხბურთელებიც ნელ-ნელა ფორმაში შედიან, კალენდარიც ზეგ შედგება. მერე კი ჩვენ, ვიცით...

**ძოგა ინასარიძე**

**ლა ვალეტა — თბილისი**




## ღამის ზარების ამბავი

იცით, რაშია საქმე?

ქართული ფეხბურთის ქომაგთა მრავალათასიანი არმია დაიღალა. მას აღარ აინტერესებს ლაპარაკი სავარძლების, გავლენის სფეროების, ფეხბურთელების ლოთობა-არლოთობის შესახებ. მას ფეხბურთი აინტერესებს.

ამას რატომ ვამბობ?

საქართველოს ნაკრებმა მალტის ტურნირი მოიგო. ეს სანაკრებო ისტორიაში პირველი მოგებული ტურნირია. მიუხედავად ამისა, ეს არ არის ისტორიული მოვლენა. ეს ჩვეულებრივი სამუშაო ამბავია. ნაკრების ახალმა უფროსობამ ზედიზედ სამი გამარჯვებით დაიწყო, რაც ასევე არ მომხდარა ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში. და მაინც, ეს ჩვეულებრივი სამუშაო ამბავია. გუცაევი დიდი საქმისთვის ემზადება და პატარა საქმეს კარგად შეეჭიდა. თქვენ რომ მალტის ტურნირის დღეებში „სარბიელის“ რედაქციაში ყოფილიყავით, გაგაოცებდათ გულშემატკივართა ზარების სიმრავლე. ქომაგები არათუ შედეგებს ითხოვდნენ ნაშუაღამევს, არამედ შემადგენლობებსაც კი. სატელეფონო ხაზის მეორე ბოლოში ხალხი სჯა-ბაასის ხასიათზე იყო.

ეს ჩემთვის აღმოჩენა გახლდათ. ბოლო თვეები ხომ ქართულ ფეხბურთში ისეთი იყო, რომ უშუალოდ ფეხბურთზე სალაპარაკოდ კაცი ვერც მოიცლიდა. ყველაფერზე ვლაპარაკობდით: თანამდებობებზე, ინტრიგებზე, ტრანსფერებზე, „მერსედესებზე“ და თქვენ წარმოიდგინეთ, მორალსა და ფინანსებზეც კი. ბატონი ფეხბურთი კი, ჩვენი ახალი ნაკრები განზე დაგვირჩა.

მე მეგონა, რომ როგორც ფეხბურთზე მწერალი ხალხი გადავეშვით ამ უაზრო მორევში და ცხელ-ცხელი სათაურები ვაცხვეთ, სხვებიც ასე იქნებოდნენ. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ხალხი ასე არ ყოფილა, ხალხს ფეხბურთი უნდა და ნაკრების გამო ბევრს ფიქრობს. ამ ზარებიდან შეიტყობდით, რომ გულშემატკივრებს გუცაევის და მისი გუნდის იმედი აქვთ. ხოლო თუ რატომ, ამას დიდი ახსნა არ სჭირდება: შარშან გუცაევმა სავსებით დაიმსახურა საიმედო, მშვიდი და ფიქრიანი მწვრთნელის სახელი.

ამიტომაც, ქომაგები მის ყოველ ნაბიჯს აკვირდებიან. ხომ გეუბნებით, ლატვია — საქართველოს ამხანაგური თამაში სადღაც, კუნძულზე არ უნდა იყოს ისეთი რამ, კაცმა რომ დილამდე ვერ მოითმინო. მაგრამ ყოფილა. მეხუთე წელიწადია მაყურებელი ელის. ელის და ფიქრობს. როდესაც ჰორიზონტზე გუცაევის კანდიდატურა გამოჩნდა, გულშემატკივრები ერთხმად გაიძახოდნენ, დანიშნონ, დანიშნონო. ცხადია, ამას ჰაერზე და ლამაზი თვალებისთვის არავინ ისურვებს. მით უმეტეს, არც წარსული დიდებისთვის.

საქართველოს ნაკრების სამივე მწვრთნელი ქართული ფეხბურთის ვარსკვლავია. თავის დროზე მათი ერთობა ქმნიდა „დინამოს“ წარმატების საფუძველს. ნაკრების მწვრთნელთა სავარძელში ისინი ერთმანეთს ცვლიდნენ. გუცაევი რიგით მესამეა, მაგრამ ის პირველია, ვისაც ამ თანამდებობაზე მოსვლისას ერთგვარი საერთაშორისო წარმატება ჰქონდა ზურგსუკან. ამიტომ, მისმა სახელმა სხვაგვარად გაიჟღერა. მისგან სხვაგვარად ელიან, თორემ, მალტის ტურნირი რომ სამუშაო საქმეა, ამას ყველა ხვდება.

ბედნიერებაა, როცა გულშემატკივარი ვერ ითმენს და რეკავს არა „მერიდა“ — „კომპოსტელას“ ანგარიშის გასაგებად, არამედ იმის გამო, რომ შეიტყონ, როგორ ეთამაშა საქართველო მალტას. ასეთ დროს ხვდები, რომ სალი გულშემატკივრები გვავს და რა სჯობია, როცა სალი ქომაგი გვავს?

ნაკრები — იმედია. ორი აზრი არ არსებობს. ამ მძიმე და კრიზისულ წლებში მოწინავე ქართველი ფეხბურთელები ნაღდ პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ. ისინი ბრძოლებში გამოიწრთნენ და რთულ საფეხბურთო სივრცეებში იმკვიდრებენ ადგილებს. ეს ძალიან დიდი შეღავათია. უფრო სწორად, ეს საქმეს უადვილებს ნაკრების უფროსობას. თუნდაც ორი-სამი წლის წინ ფეხბურთელებს არც ასეთი გამოცდილება ჰქონდათ და არც ფსიქოლოგია. საბრძოლო სული აშკარად ამაღლებულია.

და ამას ჩვენ გწერთ აქა და ქომაგმა აღარ იცის? ჩვენც ხომ ქომაგთა რიგიდან გახლავართ. ყველაფერი თუ ერთმანეთს დაედო და, რატომ არ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ შევაბიჯოთ დიდ საფეხბურთო სპექტაკლში? ბრმა გასროლების დრო წავიდა. წავიდა ის დრო, როცა მწვრთნელები ლაპარაკობენ პირველი გოლის ფაქტორსა და ფეხბურთის დონეზე. ფეხბურთი ყველაზე დემოკრატიული თამაშია: იამაიკა ბრაზილიას აწამებს, ჩილე ინგლისს ანგრევს უემბლიზე. ჩვენ იტალიის გატანჯვა შევძელით...

ამიტომაც ვერავინ ითმენს.

ამიტომაც რეკავენ ღამის ორ საათზე: რა ვქენით?

## იტალია

# სალასის გზაც რომში მივიდა

### XX ტური

### ნაპოლი 2:0 ვიჩენცა

ნაპოლი: ტალიალატელა, აიალა (მალაფრონტე 90), კრასონი, ფ. ბალდინი, გორეტი, როსიტო, ლონგო, ალტომარე, სკარლატო (პანარელი 83), ტურინი, სტოიაკი (ასანოვიჩი 74)
ვიჩენცა: ბრივიო, მენდესი, ბელოტი, დიჩარა (სტოვინი 52), მ. კონტე, სკენარდი, დი კარლო, ამბროზინი, ამბროზეტი (მასპერო 46), ლუიზო, დი ნაპოლი (ოტერო 46)
1:0 ტურინი (43პ), 2:0 სტოიაკი (48)
გაფრთხილება: აიალა, გორეტი, მენდესი

### ლაციო 3:1 ემპოლი

ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ნესტა, ნეგრო, შამოტი, ფუზერი, ვენტურინი, იუგოვიჩი (მარკოლინი 90), ნედვედი, კაზირაგი (გოტარდი 89), მანჩინი (ბოკშიჩი 46)
ემპოლი: როკატი, ფუსკო, რ. ბალდინი (მატრუსკელო 74), ბიანკონი, ამეტრანო (კრიზარი 72), პანე, ფიჩინი, კ. ბონომი, ტონეტო, კაპელინი, კ. ესპოზიტო (ფლორიანჩიჩი 70)
1:0 ნედვედი (16), 1:1 კაპელინი (34), 2:1 ნეგრო (55), 3:1 გოტარდი (90)
გაფრთხილება: ნედვედი, პანე, ტონეტო

### სამპდორია 2:0 ატალანტა

სამპდორია: ფერონი, ბალერი (ვერგასოლა 86), დიენგი, მიხაილოვიჩი, კასტელინი, ლაილე, ბოლოსიანი, ვერონი, ფრანჩესკეტი (სკარკილი 88), მონტელა (ბიიკი 86), სინიორი
ატალანტა: პინატო, ბონაჩინა, სოტილი (ბოზელი 67), კარერა (ფოლიო 67), რუსტიკო, მირკოვიჩი, სგრო, კარბონე, კაპიოლი (ენგლარო 47), ლუკარელი, კაჩა
1:0 მიხაილოვიჩი (65), 2:0 ბოლოსიანი (78)
გაფრთხილება: მიხაილოვიჩი, სინიორი, მირკოვიჩი, კარბონე, ლუკარელი

### ფიორენტინა 1:1 ინტერი

ფიორენტინა: ტოლდო, ფალკონე, პადალინო, სერენა, კანჩელსკისი, ფირიკანო, რუი კოშტა, შვარცი, მორფეო, ბატისტუტა, ოლივეირა (რობიატი 80)
ინტერი: პალიუკა, კოლონეზე, ბერგომი, ვესტი, მილანეზე (ძანეტი 76), კოე, სიმონე, ვინტერი, ფრეზი, რონალდო, ჯორკაეფი (კანუ 85)
0:1 რონალდო (26), 1:1 ბატისტუტა (42)
გაფრთხილება: ფალკონე, სერენა, რუი კოშტა, მორფეო, ვესტი, კოე, ჯორკაეფი

### ბოლონია 4:3 ბარი

ბოლონია: სტერკელე, პაგანინი, ტორიზი, მანგონე, კრისტალინი, მაგონი, მაროკი, პარამატი, რ. ბაჯო (ნერვო 84), ანდერსონი, კოლივანოვი (პავონე 90)
ბარი: ფ. მანჩინი, დეროზა, სალა, ნეგროუზი, მანიგეტი, ბრესანი, ვოლპი (მარკოლინი 83), ინგესონი, ძამბროტა (ოლივარესი 76), ალბაკი (გერერო 46), დოლი
1:0 კოლივანოვი (17), 2:0 რ. ბაჯო (37პ), 2:1 მანგონე (40ს.კ.), 2:2 ვოლპი (59), 3:2 რ. ბაჯო (78), 4:2 კოლივანოვი (82), 4:3 ბრესანი (90)
გაფრთხილება: მაროკი, სალა, მანიგეტი, დოლი

### ბრეშა 1:1 იუვენტუსი

ბრეშა: ჩერვონე, ა. ფილიპინი, სავინო, ბია, ადანი, კოზმინსკი, ე. ფილიპინი, დიანა (ბონაცოლი 70), იავორჩიჩი, უბნერი, ნერი (დე პაოლა 81)
იუვენტუსი: რამპულა, ბირინდელი, იულიანო, მონტერო, ტორიჩელი, დეშამპი (ტაკინარდი 79), დევიდსი, დი ლივიო, ზიდანი, ინძაგი, დელ პიერო
0:1 ინძაგი (52), 1:1 სავინო (72)
გაფრთხილება: სავინო, კოზმინსკი, იავორჩიჩი, დეშამპი, დევიდსი

### მილანი 0:0 უდინეზე

მილანი: ს. როსი, კარდონე, დესაი, კოსტაკურტა, მალდინი (სმოიე 70), ბა, ალბერტინი, ბობანი, ლეონარდო (მაინი 46), კლუივერტი, მანიერო (განცი 65)
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, ჰელვეგი, ჯანიკედა, ვალამი (სტატუტო 84), იორგენსენი, ლოკატელი (აპია 91), ბირჰოფი, პოჯი (ნავასი 63)
გაფრთხილება: კარდონე, ბობანი, ბერტოტო, კალორი, ლოკატელი

### ლეჩე 1:3 რომა

ლეჩე: ლორიერი (აიარდი 88), კიპრიენი, საკიჩი, ბელუჩი, როსინი, ატელკინი (დე ფრანჩესკო 90), პიანგერელი, ჯანინი, კონტიკიო, გოვედარიცა (კასალე 48), პალმიერი
რომა: კონსელი, კაფუ, ძაგო, ალდაირი, კანდელა, ტომაზი, დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო (სკაპოლო 88), პაულუ სერჟიო (გაუტიერი 71), ბალბო (დელ ვეკიო 88), ტოტი
0:1 ბალბო (44პ), 0:2 დი ბიაჯო (47), 1:2 ატელკინი (78), 1:3 გაუტიერი (84)
გაფრთხილება: კონტიკიო, ძაგო, ალდაირი, დი ბიაჯო

### პარმა 1:1 პიაჩენცა

პარმა: ბუფონი, მუსი, აპოლონი, კანავარო, ბენარივო, ბლომკვისტი (ასპრილია 59), ჯუნტი, სენსინი, კრიპა (სტანიჩი 69), კიეზა (ადაილტონი 69), კრესპო
პიაჩენცა: სერენი, მ. როსი, დელი კარი, ვერხოვოდი, ტრამეცანი, ბუზო (რასტელი 68), ბორდინი, პიოვანელი, ვალოტი (შიენძა 68), მურჯიტა, პიოვანი
1:0 კრესპო (14 პ), 1:1 ბუზო (27)
გაფრთხილება: მუსი, ბენარივო, კრიპა, ბუზო, მურჯიტა
გაძევება: აპოლონი (84)

„იუვენტუსმა“ და „ინტერმა“ თითოგოლიანი უპირატესობა ხელიდან გაუშვეს, გაუშვეს საპასუხო გოლები და თითო უქლა აიმატეს. შესაბამისად მათ ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა, ოთხქულიანი სხვაობა შენარჩუნდა. უბრალოდ ახლა ჩემპიონატის დასასრული ერთი ტურით უფრო ახლოსაა.

ორივე სტუმრად თამაშობდა, „იუვენტუსი“ ბრეშაში, ხოლო „ინტერი“ ფლორენციაში.

ტურინელებმა მეორე ტაიმის დაწყებიდან ექვს წუთში გახსნეს ანგარიში. გოლი ფილიპო ინძაგიმ გაიტანა. ყველას ეგონა „იუვენტუსი“ მორიგ შეხვედრაში გაიმარჯვებდა. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად თამაშობდა, მისი მეტოქე მხოლოდ და მხოლოდ გავარდნის ჯოჯოსთან მებრძოლი გუნდი გახლდათ, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, მეორე ნახევრის დასაწყისში ჩამორჩა „სკუდეტოსთვის“ მებრძოლ მრისხანე ლიდერს. მიუხედავად ამისა, ინძაგის გოლიდან 19 წუთის შემდეგ გაუტეხელ მასპინძელთა მცველმა ალბერტო სავინომ თაური დარტყმით არა მარტო გაქვითა ანგარიში, არამედ სერია A-ში თავისი პირველი გოლიც გაიტანა.

— „ბრეშა“ წაგებას არ იმსახურებდა, მან საკმაოდ გვაწვალა — თქვა „იუვენტუსის“ მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ.

ფლორენციაში, „ინტერმა“ რონალდოს გოლით მოიპოვა უპირატესობა. ყბადაღებული ბრაზილიელი, როგორც ჩანს, საშობაო არდადეგებზე დაკარგულ ფორმას იბრუნებს. 26-ე წუთი იყო, როდესაც თავხოტორამ საჯარიმო მოედნის კიდესთან დანიშნული საჯარიმო დარტყმის შესრულება ითავა და ბურთი „ფიორენტინას“ გოლკიპერის, ფრანჩესკო ტოლდოს მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგდო. ის ჯარიმა „ინტერის“ ფრანგი ნახევარმცველის ბენიოტ კოეს წაქცევისთვის გახლდათ დანიშნული.

„ფიორენტინა“ „ბრეშა“ არ გახლავთ. გუნდი მეხუთე ადგილზეა და დღეისათვის იმავე „ინტერს“ 7 ქულით ჩამორჩება. 7 ქულა ორქულიანობისას იყო ბევრი, თორემ დღეს გამარჯვებისთვის 3 ქულა რომ ირიცხება, არც ისე ბევრია, თუმცა, ბუნებრივია, ცოტაც არ გახლავთ. ფლორენციელებს მილანელებთან შეხვედრის წინ ზურგს ზედიზედ სამი გამარჯვებაც უმაგრებდათ.

მათ მეორე ტაიმს არ დაუწყეს ცდა. შესვენების მაუწყებელ სასტვენს ორი წუთი აკლდა, როდესაც არგენტინელმა ფორვარდმა გაბრიელ ბატისტუტამ ანგარიში გაათანაბრა. სტუმართა მცველებს ყურადღების წამიერი მოდუნება იმად დაუჯდათ, რომ ბატისტუტამ ბელგიელი თანაგუნდელისგან, ლუის ოლივეირასგან პასი მიიღო და ბურთი ჯანლუკა პალიუკას მიღმა კარის ბადეში შეაგდო. ეს გოლი სამხრეთ ამერიკელისთვის მიმდინარე პირველობაზე მეთხუთმეტე გამოდგა.

სანამ სხვა თამაშებზე ვიტყოდეთ ორიოდ სიტყვას, „ინტერთან“ დაკავშირებულ იმ ცნობას მივუბრუნდეთ, წინა „სარბიელში“ რომ გვეწერა: ესპანური პრესის ცნობით მილანელებს მადრიდის „ატლეტიკოსთვის“ რონალდოს კრისტიან ვიერიში გაცვლა სურთო. ვიერი „იუვენტუსის“ მიერ ვარსკვლავად ქცეული იტალიელი თავდამსხმელია. ის მართლაც კარგი ფორვარდი გახლავთ, მაგრამ დაგვეთანხმებით, მისი რონალდოში გაცვლის სურვილი ცოტა დაუჯერებელია. ამასთან დაკავშირებით „ატლეტიკომ“, ორიოდ დღის წინ, ოფიციალური განცხადება გაავრცელა. განცხადებაში წერია, რომ კლუბი არაფრის დიდებით შეელევა ვიერის, თუნდ მის სანაცვლოდ თვით რონალდო შესთავაზონ.

— ჩვენ ვიერის ერთ კი არა, 700 ათას რონალდოშიც არ გავცვლით — ბრძანა მადრიდელთა გენერალურმა დირექტორმა მიგელ ანხელ ხილმა — იგი დღეისათვის ჩვენს გუნდს მეტისმეტად სჭირდება და ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც ასევე დასჭირდება.

მიგელ ანხელ ხილი „ატლეტიკოს“ პრეზიდენტის ხესუს ხილი ხილის ვაჟია და მისი ნათქვამი შეგვიძლია მამამისის პოზიციადაც მივიღოთ. საკუთრივ ვიერიმ განაცხადა:

— სეზონის ბოლოს ვნახოთ, პრეზიდენტს დაველაპარაკები.

„ინტერზე“ კიდევ იმას ვიტყვით, რომ მის რიგებში ფეხბურთს დაუბრუნდა ნიგერიელი გულით ავადმყოფი ნვანკვო კანუ. „ფიორენტინასთან“ მატჩში იგი შემცვლელად შევიდა მოედანზე. გეხსომებათ, რომ კანუმ 1996 წლის ნოემბერში ამერიკის ერთერთ კლინიკაში მძიმე ოპერაცია გადაიტანა.

ოთხშაბათის ტურის წინ „უდინეზე“ მესამე ადგილზე იყო, ახლა, „მილანთან“ უგოლო ფრეს შემდეგ მეოთხეზე გადავიდა. ამ 0:0-მა ალმავლობის გზაზე შემდგარი რომაული „ლაციო“ ალაზევა მესამე ადგილზე. „ლაციომ“ მშობლიურ „ოლიმპიურ სტადიონზე“ „ემპოლის“ 3:1 მოუგო.

რომაელთა სამი გოლიდან ორი ჩეხმა ნახევარმცველმა პაველ ნედვედმა გაიტანა. აღსანიშნავია, რომ „ლაციომ“ საბოლოოდ მოაგვარა ჩილელი მარსელო სალასის გადაბირების საქმე. იტალიელებმა ამ ფეხბურთელში 18 მილიონი დოლარი გადაიხადეს და გუშინ სამედიცინო შემოწმებაც ჩაუტარეს. რა ხელფასი დაენიშნება მოთამაშეს, მხარეების გადაწყვეტილებით საიდუმლოდ დარჩა.

— სალასი საუცხოო შენაძენია, რომელსაც დიდი მოსავლის მოწევა სძალუძს. ის სამხრეთ ამერიკაში დღეისათვის საუკეთესოა და ვგონებ ევროპაშიც დიდ სახელს დაიგდებს — თქვა „ლაციოს“ გენერალურმა მენეჯერმა, წარსულის უდიდესმა ვარსკვლავმა-მეკარემ დინო ძოფმა, რომელმაც დასძინა — მე სალასი უკვე გავაფრთხილე, რომ აქ, იტალიაში შეუდარებლად ძნელია თამაში, ვიდრე იმ ქვეყნებში სადაც მას თავი გამოუცდია.

შევახსენებთ, რომ სალასი რომაულ კლუბში არგენტინული „რივერ პლეიტიდან“ გადავიდა.

იტალიის დედაქალაქის ერთერთ სასტუმროში გამართულ პრეს-კონფერენციაზე, აღფრთოვანებული ქომაგებისგან თავდაღწეულმა სალასმა თქვა: — ვიცი ჩემგან ბევრს ელიან და მწამს გავამართლებ კიდეც. ამბობენ სერია A-ში თამაში ძნელიაო, მაგრამ ახალი თანაგუნდელების დახმარებით ყველაფერს გავწვდები. ნებისმიერ ტაქტიკურ სქემას იოლად ვეგუები, ბურთისთვის თავგამოდებით ვიბრძვი და არც თუ უტექნიკო ვარ.

დღეისათვის „ლაციოს“ ჩემპიონატისა და თასის 12 შეხვედრაში დამარცხება არ აქვს.

ორი გოლი გაიტანა „ბოლონიაში“ ვადაბარგებულმა რობერტო ბაჯომაც. მისმა გუნდმა „ბარის“ 4:3 მოუგო და გასავარდნთა სახიფათო ზონას გვარიანად გასცილდა. იტალიის ნაკრების ყოფილმა ლიდერმა 35-ე წუთზე პენალტი დაარტყა ზუსტად, თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე კი მარჯვენა ფეხით ჩინებულად მიაღწია მიზანს.

„პარმაში“, განშორების შემდეგ დაბრუნებულმა კოლუმბიელმა ფაუსტინო ასპრილიამ პირველი შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ საყვარელ გუნდს სამი ქულა ვერ მოუნადირა — ამბიციურმა პარმელებმა ბოლოდან მეოთხე ადგილზე მყოფ „პიაჩენცას“ შინიდან ქულა გაატანეს. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა თამაში უმცირესობაში დაასრულეს, რადგან საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე გუნდის ვეტერანი ლუიჯი აპოლონი მოწინააღმდეგის ნახევარმცველ რობერტო მურჯიტაზე თავდასხმისთვის მოედნიდან გააძევეს.

ამრიგად, „პარმა“, რომელიც სეზონის დასაწყისში „იუვენტუსს“ და „ინტერს“ ლიდერობას ეცილებოდა, მეექვსე ადგილზეა და „ფიორენტინასა“ და „სამპდორიას“ მსგავსად 34 ქულა აქვს.

სერია A-ს ცხრილის ძირში სამარცხვინოდ ჩაფლულმა „ნაპოლიმ“ სეზონში მეოთხე მწვრთნელის დანიშვნა „ვიჩენცასთან“ 2:0 გამარჯვებით აღნიშნა. ვინჩენცო მონტეფუსკომ შეძლო ის, რაც მისმა წინამორბედებმა 150 დღის განმავლობაში ვერ მოახერხეს — წინა გამარჯვებას ნეაპოლელებმა 14 სექტემბერს „ემპოლისთან“ მიაღწიეს, ეს იყო და ეს.

**ბაჩუნა ძიძია**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ოლივერ ბირჰოფი (უდინეზე) | 16 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 15 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 14 |
| მონტელა (სამპდორია) | 14 |
| აბელ ბალბო (რომა) | 13 |
| რობერტო ბაჯო (ბოლონია) | 12 |
| რონალდო (ინეტერი) | 11 |
| დარიო უბნერი (ბრეშა) | 11 |
| ფილიპო ინძაგი (იუვენტუსი) | 10 |




ორი წლის წინ გულიტმა ვიალი თავად მიიწვია „ჩელსიში“

# გულიტი გადადგა. გაუმარჯოს ვიალის!

ერთ დროს ისინი მეტოქეებიც იყვნენ. სხვადასხვა კლუბებში ერთი მიზნისთვის იბრძოდნენ, მაგრამ შემდეგ ისე მოხდა, ორივე ერთ გუნდში აღმოჩნდა — ერთი მწვრთნელად, მეორე — ფეხბურთელად.

გულიტი ინგლისში სათამაშოდ ვიალიზე ადრე გაემგზავრა. იტალიაში გატარებული შვიდი ბრწყინვალე სეზონის შემდეგ ჰოლანდიის საქმეები „მილანში“ მაინცდამაინც კარგად ვერ აეწყო და მანაც აპენინელებთან განშორება არჩია. მალე ევროპის 1987 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ლონდონური კლუბის მწვრთნელად დანიშნეს. ჰოლანდიელის საქმეები შესანიშნავად მიდიოდა, „ჩელსიც“ სრულიად საფუძვლიანად ითვლებოდა ჩემპიონობის რეალურ კანდიდატად, მაგრამ მოულოდნელად კლუბმა მწვრთნელი გაუშვა. გულიტს და „ჩელსის“ დღეიდან მხოლოდ მოგონებები აკავშირებთ. ხუთშაბათს „ჩელსის“ დირექტორმა კოლინ ატკინსონმა რუდ გულიტის გადადგომას ოფიციალური სახე მისცა: — „ჩელსის“ მწვრთნელი რუდ გულიტი აღარაა. მას ამ თანამდებობაზე იტალიელი ჯანლუკა ვიალი შეცვლის. ყველაფერი გუშინ გადაწყდა.

ასეთი იყო კლუბის ხელმძღვანელობის კომენტარი ხუთშაბათს. ცოტა უცნაურია, როცა ძლიერად მოთამაშე გუნდი მწვრთნელს იცვლის. „ჩელსი“ თასების თასისთვის აგრძელებს ბრძოლას, არც ლიგის თასის, ანაც ჩემპიონატის მოგებაა მოუწვდენელი ოცნება. სრულიად შესაძლებელია, შარშან მოგებულ თასს „ჩელსიმ“ სეზონის ბოლოს სხვა რომელიმე არანაკლებ ძვირფასი ჯილდო დაურთოს. ამ დროს კი მწვრთნელი მიდის. რაშია საქმე?

— დილას რომ გავიგე ჩემი „ჩელსიდან“ წასვლის შესახებ, თავზარი დამეცა. არ მეგონა, გუნდი, რომლისთვისაც ამდენი რამ გამიკეთებია, ასე ადვილად თუ გამწირავდა. რატომ გამათავისუფლეს, ჯერ ვერ ვხვდები. იმედია, თავად ამიხსნიან ამის მიზეზს ან მიზეზებს — განაცხადა გულმოკლულმა გულიტმა.

მაინც რატომ გაუშვეს გულიტი გუნდიდან? ბევრმა მისი გათავისუფლების უმთავრეს მიზეზად ფეხბურთელებთან ურთიერთობების გართულება დაასახელა, ბევრმა ის, რომ მწვრთნელი როცა მოეპრიანებოდა და ვინც მოუნდებოდა იმას ათამაშებდა. მიზეზებს რა დალევს, ათასი ეჭვიც გამოითქვა, თუმცა მომხდარის თაობაზე სიმართლის თქმა „ჩელსის“ დირექტორმა კოლინ ატკინსონმა ითავა: — რუდ გულიტი „ჩელსიმ“ გაათავისუფლა, ის კლუბიდან თავის ნებით არ წასულა. გულიტის ჩვენგან წასვლა არც ფეხბურთელებთან კონფლიქტს გამოუწვევია და არც სხვა რაიმე გაუგებრობას. უბრალოდ, მწვრთნელმა იმაზე გაცილებით მეტი მოითხოვა, რაც ეკუთვნოდა. ეტყობა, ფულმა დახარბება იცის.

ბულვარული პრესა თითქოს იმას ელოდაო, უმალვე ათასგვარი თანხები დაასახელეს. იწერებოდა, გულიტმა ორ სეზონში 11 მილიონი დოლარი მოინდომაო. დამეთანხმებით, ეს მწვრთნელისთვის ძალზე დიდი ჯამაგირია.

— მე მას ორიოდ დღის წინ შევხვდი და კონტრაქტის განახლებაზე ჩამოვუგდე სიტყვა. გულიტმა სიტუაცია აწონდაწონა, კარგად მოვიფიქრებ და პასუხს შემდეგ გეტყვიო, მითხრა. ხუთშაბათს საღამოს მან კონტაქტის ორი წლით გახანგრძლივებაზე თანხმობა კი განაცხადა, მაგრამ სამაგიეროდ ფანტასტიკური თანხა დაასახელა. შეთავაზებული კონტრაქტით იგი ისედაც პრემიერლიგის ყველაზე ძვირადღირებული მწვრთნელი ხდებოდა, მაგრამ ეტყობა თანხა ეცოტავა — ბრძანა ატკინსონმა. მანვე შოკირებულ ფეხბურთელებს და „ჩელსის“ გულშემატკივრებს ახალი მწვრთნელიც წარუდგინა — ჯანლუკა ვიალი.

...თავხოტორა იტალიელი „ჩელსიში“ 1996-97 წლების სეზონის დაწყების წინ გადაბარგდა. თავდაპირველად ხშირად კი თამაშობდა, მაგრამ მერე ძირითადში მოხვედრა კი არა, საერთოდ თამაშიც სანატრელი გაუხდა. მართალია, იტალიელი არც ისე ხშირად თამაშობდა, მაგრამ მწვრთნელზე ძვირი არასდროს დასცდენია, ყოველთვის თავშეკავებულად მსჯელობდა.

და მაინც, ვიალის „ჩელსის“ მწვრთნელად დანიშვნა ბევრისთვის მოულოდნელი იყო.

როცა გულიტის გადაყენების ამბავი გავრცელდა, „ჩელსის“ გულშემატკივრები „სტემფორდ ბრიჯზე“ შეიკრიბნენ, კლუბის ოფისიდან ახალ ამბებს ელოდნენ, გულიტის წასვლა არ სჯეროდათ. მათდა სამწუხაროდ, ყველაფერი მართალი აღმოჩნდა.

გუშინ გვიან საღამოს მწვრთნელყოფილმა პრესკონფერენციაც მოაწყო.

— გუნდის ხელმძღვანელობამ გული მატკინა. ასე არ უნდა მოქცეულიყვნენ. ეს უნამუსობაა. განაცხადეს, თითქოს ორწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ 11 მილიონი დოლარი მომეთხოვოს. ეს სიცრუეა, ფულზე საერთოდ არ მილაპარაკია, მეტიც, მათ ჩემთვის არანაირი კონტრაქტი არ შემოუთავაზებიათ. გუშინ მთელი ღამე არ მეძინა. გუნდში საქმეები კარგად მიდიოდა, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ მათ ჩემი მწვრთნელობა არ სურდათ. მე წავალ, მაგრამ არ მინდა, ჩემი სახელი „ჩელსის“ ისტორიაში ცუდად მოსაგონარი იყოს. მერწმუნეთ, გუნდისთვის ყველაფერს ვცდილობდი, მაგრამ თუ ჩემს ნაშრომს ხაზი ერთ დღეში გადაესმებოდა, არ მეგონა. ყველაზე მეტად კი იმაზე ვწუხვარ, რომ კლუბიდან ჩემი გაშვების ამბავი „ჩელსის“ თავკაცებისგან კი არა, სხვა წყაროებიდან შევიტყვე — აი, ესლა თქვა მწვრთნელმა, რომელმაც „ჩელსის“ 26 წლიანი შესვენების შემდეგ ქვეყნის ერთ-ერთი ჯილდო მოუპოვა.

ვიალის მწვრთნელობას იტალიაშიც გამოეხმაურნენ. აპენინების ყველაზე პოპულარული სპორტული გაზეთები ხუმრობის ხასიათზე იყვნენ — ვიალის ფეხბურთში ასათვისებელი მხოლოდ კლუბის პრეზიდენტობა დარჩა, ყველა დანარჩენი ადგილი დაჭაშნიკებული აქვსო. გახდება თუ არა ვიალი კლუბის პრეზიდენტი, ამაზე საუბარი ნაადრევია, ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ პარასკევიდან იგი „ჩელსის“ მორიგი უცხოელი მწვრთნელია.

...პარასკევი 12 თებერვალი იყო. ზუსტად ერთი წლის წინ „უემბლიზე“ იტალიამ ინგლისი დაამარცხა. ამაშიც არის რაღაც კანონზომიერება.

**ლაშა გოდუაძე**

*P.S. გუშინ ჰოლანდიური „ფეიენოორდი“ და „ეინდჰოვენი“ გულიტს შეეხმიანნენ, წამოდი ჩვენთან, გუნდს უხელმძღვანელეო. ფეხბურთელობისას გულიტს ორივეგან უთამაშია.*

აფრიკის თასი '98

# მსაჯი და გამოუცდელობა

C ჯგუფი

### ანგოლა 3:3 ნამიბია

**ანგოლა:** მარიტო, ბუდუნია, ელდერ ვინსენტე, ნეტო, პაულუ სილვა (სოზა 80), პაულაუ, აკვა (ოლივეირა 21), აურელიო, მიგელ პერეირა, ლიტო, კინზინიო

**ნამიბია:** კანალილო, ტიერო (გორასევი 46), ნაუსიბი, გოგოსები, უსიბი, დე გუვია (მერერიში 46), უტონი, ჰინჯუ, შივუტი, ური ხობი, მანეტი

**0:1 ური ხობი (20), 0:2 ნაუსიბი (44), 1:2 ოლივეირა (47), 1:3 ური ხობი (49), 2:3 პაულუ სილვა (61პ), 3:3 პერეირა (83)**



ნამიბია აფრიკის თასის გათამაშებაში პირველად მონაწილეობს, მაგრამ ტურნირში მონაწილე აფრიკული ფეხბურთის ლიდერებს არაფრით ჩამოუვარდება. ნამიბიელებმა ამჯერადაც მეტად სანახაობრივი ფეხბურთი ითამაშეს და თუ პირველი მატჩი კოტ დივუართან 3:4 დათმეს, ახლა მარცხი აღარ განიცადეს. ის კი არა, ბოლოს რომ არ მოდუნებულიყვნენ, შესაძლოა, ემარჯვათ კიდეც. პირველ ათ წუთში ნამიბიელებმა ორჯერ შეარყიეს მეტოქის კარის ძელი — თავდაპირველად გოგოსებმა, რომელმაც ორი ანგოლელი მეტად ლამაზი ფინტებით ჩამოიშორა, საშინელი ძალით დაარტყა და ბურთი რომ ბადეში არ გაეხვია, მკერდს მჯილი იკრა და კინაღამ აქვითინდა. მეორედ ალვარ ური ხობმა ვერ გაიტანა, თუმცა ამან, თანაგუნდელისგან განსხვავებით, წარუმატებლობა მშვიდად აღიქვა და მალე ანგარიშიც გახსნა: მარჯვენა ფლანგიდან შეჭრილმა მანეტმა ზედ თავზე დაასვა ბურთი ური ხობს, ამან კი ერთი მოძრაობით იგი ფეხზე მოირგო და ცაციათი მარიტოს აუღებელი დაურტყა. იმის ნაცვლად, რომ გააქტიურებულიყვნენ, ანგოლელები მოდუნდნენ და ამიტომაც შივუტს ანგარიშის გაორებამდე ცოტა დააკლდა. ტაიმის მიწურულს ნაუსიბმა სხვაობა მაინც გააორმაგა, მერე კი მართლაც თვალსასეირო თამაში გაჩაღდა.

ანგოლელმა აკვამ, რომელსაც ერისკაცობაში ფაბრის მაშეკოდ იცნობენ, მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად ლაზარო ოლივეირამ ითამაშა. ტურნირის სადებიუტო მატჩში ოლივეირამ გოლი შეაგდო — ნამიბიელებს ხეირიანად არ დაესვენათ, სხვაობა რომ შემცირდა, მაგრამ წამებში იმავე ური ხობიმ სტატუს ქვო აღადგინა.

თითქოს ნამიბიელებს უპრობლემოდ უნდა ემარჯვათ, მაგრამ 61-ე წუთზე მომხდარმა გაუგებრობამ მატჩის ბედი შეატრიალა — საჯარიმოში უხეში თამაშისთვის არბიტრმა უსიბი პენალტით დააჯარიმა და პაულუ სილვამაც გაიტანა. უსამართლობამ მასპინძლები გატეხა და მათ უპირატესობა დააკარგვინა: პერეირას საჯარიმოს გარედან დარტყმული კანალილოსთვის აუღებელი გამოდგა.

მოკლედ, ნამიბიელებს მსაჯმა და საკუთარმა გამოუცდელობამ წააგებინა. სხვათა შორის, მათი მწვრთნელი ქვეყნის ერთ-ერთი დაწყებითი სკოლის დამრიგებელია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტ დივუარი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| ანგოლა | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ს. აფრიკა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ნამიბია | 2 | 0 | 1 | 1 | 6:7 | 1 |

B ჯგუფი

### ტუნისი 2:1 კონგო

**ტუნისი:** ბუმნიჯელი, ტრაბელსი, ჰიჩერი, ჩუჩანე, რუისი, ბუაზიზი (მერგენი 46), ბეია (გოდბენი 54), ჩიჰი, გაბსი (ტლემკანი 60), სლიმანი, ტაბეტი

**კონგო:** ტოკალა, კისომბე, ბანზა, ჰიტოტო (მაკუდა 46), მბუილუა, სიგბა, კიმოტო, ბოტომოტოიტო, ესელე (კიბონგე 75), ეპოტელე, ნდამა

**1:0 სლიმანი (31), 1:1 კიმოტო (36), 2:1 ტლემკანი (75)**

მეტოქეები მატჩს სხვადასხვა განწყობით შეხვდნენ — ტუნისელები პირველ შეხვედრაში დამარცხდნენ, კონგოელებმა კი ტოგოსთან იმარჯვეს. მიუხედავად იმისა, რომ ტუნისელები უქულოდ იყვნენ, შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და მეტოქეს სძლიეს, თუმცა ვეტერან ზიად ტლემკანის ბოლო წუთებში რომ ემარჯვა, ფრე გარდაუვალი იყო — კონგოელთა დაცვა, როგორც არასდროს, ისე ძლიერად მოქმედებდა.

ტუნისს პირველი საგოლე შანსი მე-15 წუთზე მიეცა — ბანზამ საჯარიმოში შეჭრილი გაბსის დიდხანს არ აცადა, მოლაპლაპე შავი ცხვირით მინდორი მცირედით დააზნევინა და პენალტიც აიკიდა. ფაუზ რუისმა დარტყმით კი დაარტყა, მაგრამ ტოკალამ რომ მოიგერია, პენალტის შემსრულებელს სული შეეხუთა და მუხლი მოეკვეთა.

მიუხედავად ამისა, ანგარიში მაინც ტუნისის ნაკრებმა გახსნა — ტარეკ ტაბეტის კუთხურს მეჰდი ბენ სლიმანი მძლავრი თავურით შეხვდა. მდევრის როლში ყოფნა არასასიამოვნოა და კონგოელებმაც მალე გაუყაიმეს — მცველმა კიმოტომ კაპიტნის სიმბას პასი შეიფერა და ბუმნიჯელის კარი დალაშქრა.

შეხვედრის ყველაზე ლოგიკური დასასრული ფრე იქნებოდა, მაგრამ 75-ე წუთზე კონგოელმა მცველებმა ხელოვნური თამაშგარეს შექმნა მოინდომეს და შედეგად ის მოიმკეს, რომ ტლემკანი ახეირეს.

### განა 1:2 ტოგო

**განა:** ადუ, ალოპტეი, სამუელ ოსეი კუფური, აკონორი (ჯუმბაჯი 86), გარგო, ნესტლი, ტეტე (ადო 88), პელე, აბუა, ჯონსონი, აბოგიე

**ტოგო:** ნიდომბე, ამეტოკიდო (ნუნუ 46), ბელეში, მესემესო, აბალო, რატი (მჯუდა 46), ნუტსუჯი, ფრენკი (ტურე მუჰამედი 71), შერიფი, ასინონი, სალუ

**0:1 ფრენკი (26), 1:1 ჯონსონი (83პ), 1:2 ტურე მუჰამედი (90)**

გათამაშებას სენსაციები არ აკლია. ახლაც, ჯგუფის აუტსაიდერად მიჩნეულმა ტოგომ ლიდერ განას აჯობა, არადა, ამას ტოგოელთა ყველაზე ოპტიმისტი გულშემატკივარიც კი ვერ იფიქრებდა.

მატჩი მოულოდნელად დაიწყო — ტოგოელთა თავბრუდამხვევმა შეტევებმა განელებს თავს რეტი დაასხა და მეტოქეც კარგა ხანი გონზე ვერ მოვიდა. სწორედ ამის გამო ტოგოელმა დოტე ფრენკმა მცველთა უყურადღებობით ისარგებლა და ადუს კარი დალაშქრა. პირველი გოლიდან მოყოლებული აფრიკის თასის ოთხგზის მფლობელთა საშინელი ზეწოლა დაიწყო, მაგრამ ტოგოელებმა, მეკარის ნიდომბეს თავკაცობით შესანიშნავად დაიცვეს თავი და სამჯერ გარდაუვალ გოლს დააღწიეს თავი. ერთხელ მათ ხარიხაც დაეხმარა, როცა აბედი პელეს შორეული დარტყმა „მოიგერია". შეხვედრის ბოლოს განელთა გაძწვავებული შეტევების შეჩერება უფრო და უფრო გართულდა და ტოგოც პენალტს ვერ გადაურჩა — სემ ჯონსონმა თითქოს ქულა გადაარჩინა, მაგრამ მსაჯმა შეხვედრას რამდენიმე წამი დაამატა, ეს კი ტურე მუჰამედისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| განა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| კონგო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ტოგო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ტუნისი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |

D ჯგუფი

### ეგვიპტე 4:0 ზამბია

**ეგვიპტე:** ალ საედი, ომარა, კამუნა, აბდელჰადი (ელ შიშინი 59), რადვანი, იუსუფი (ელ საკა 48), რამზი, ა. ჰასანი, იმამი (ოსმა 80), საბრი, ჰ. ჰასანი

**ზამბია:** პირი, მ. მალიტოლი, ჩონგო, კამვანგა, სიშონი, ლიტანა, ჩიტილა (კ. მალიტოლი 57), ტემბო, კილამბე (ჩილუმბა 24), ლოტა (ტემო 56), ბვალია

**1:0, 2:0, 3:0 ჰ. ჰასანი (34, 57, 71), 4:0 რადვანი (80)**

აფრიკის თასი ზუსტად ერთი კვირაა რაც მიმდინარეობს, მაგრამ აქამდე არცერთ გუნდს არ ჰქონია მეტოქეზე ასეთი უპირატესობა, როგორც ეგვიპტეს ზამბიასთან.

რაც შეეხება ჰასანის „ჰეთ-თრიკს", მას მეტის გატანაც შეეძლო, მაგრამ სამიც იკმარა.

### მაროკო 3:0 მოზამბიკი

**მაროკო:** ელ ბრაზი, საბერი (აბრამი 46), ელ ჰადრიუ, ნაიბეტი, როსი, მ. ჰაჯი (უაკილი 64), ჩიბა, ჩიპო, აზუზი, ალ ხატაბი (ფერტუტი 82), ბაჰჯა

**მოზამბიკი:** ლუიზინიო, ადინო, ტომასი, ჟოჟო, ბარუში (ჟოსიასი 75), მაკამო, პაულიტო, აველინო, მავო (ტიკო ტიკო 46), ნური, კონდე (დარიო 57)

**1:0 ჩიბა (39), 2:0 ალ ხატაბი (41), 3:0 ფერტუტი (82)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეგვიპტე | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| მაროკო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ზამბია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | 1 |
| მოზამბიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

**ლაშა გოდუაძე**

# იგი წავა და მოვა სხვა?

90-იანი წლების დასაწყისში განელი აბედი პელე არა მარტო აფრიკის, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელადაც ითვლებოდა. აბედიმ 1993 წელს მარსელის „ოლიმპიკში" ევროპის ჩემპიონთა თასიც მოიგო, მაგრამ როგორც შემდგომ აღმოჩნდა ეს მისი კარიერის დასასრულის დასაწყისი ყოფილა. მას შემდეგ აფრიკის სამგზის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული პელეს საქმეები ვერა და ვერ აეწყო და აი, ახლა მან საერთაშორისო ფეხბურთიდან წასვლის შესახებ განაცხადა.

გუშინ პელეს თაობაზე ზამბიელმა კალუშა ბვალიამ თქვა აფრიკაში ბევრი ძლიერი ფეხბურთელი გაზრდილა, მაგრამ მისნაირი თითო ოროლაო.

## საფრანგეთი

XVI ტური

### შატორუ 2:1 ლანსი

1:0 დალმა (44), 2:0 დუფრესნე (58), 2:1 ზიანი (88პ)

### რენი 1:1 ოსერი

1:0 ვიო (73), 1:1 ლაშე (90)

### ბორდო 3:1 მონპელიე

0:1 სანჩესი (21), 1:1 პავონი (44პ), 2:1, 3:1 ვილტორი (57, 88)

### მონაკო 2:0 ლე ავრი

1:0 ტრეზეგე (53), 2:0 იკპება (70)

### კანი 1:1 ბასტია

1:0 ჰემდანი (50), 1:1 გოელი (70)

### ლიონი 1:0 გინგამი

1:0 ბარდონი (87)

### მეცი 1:0 სტრასბური

1:0 ჯაგერი (57)

### პსჟ 0:1 ნანტი

0:1 გურვენეკი (88პ)

### ტულუზი 0:4 მარსელი

0:1 დუგარი (23), 0:2 რუა (78), 0:3 გრაველენი (80), რავალენი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 26 | 15 | 5 | 6 | 39:17 | 50 |
| მეცი | 26 | 14 | 8 | 4 | 37:20 | 50 |
| მონაკო | 26 | 15 | 4 | 7 | 41:23 | 49 |
| ლანსი | 26 | 14 | 4 | 8 | 37:28 | 46 |
| პსჟ | 26 | 13 | 5 | 8 | 37:26 | 44 |
| ლიონი | 26 | 13 | 2 | 11 | 30:29 | 41 |
| ბორდო | 26 | 10 | 10 | 6 | 35:30 | 40 |
| ოსერი | 26 | 11 | 5 | 10 | 42:35 | 38 |
| ბასტია | 26 | 9 | 10 | 7 | 26:20 | 37 |
| ნანტი | 26 | 10 | 5 | 11 | 27:30 | 35 |
| მონპელიე | 26 | 8 | 9 | 9 | 27:32 | 33 |
| ლე ავრი | 26 | 6 | 11 | 9 | 26:26 | 29 |
| ტულუზი | 26 | 7 | 7 | 12 | 20:37 | 28 |
| გინგამი | 26 | 7 | 6 | 13 | 22:31 | 27 |
| შატორუ | 26 | 7 | 5 | 14 | 25:48 | 26 |
| რენი | 26 | 6 | 7 | 13 | 27:37 | 25 |
| სტრასბური | 26 | 5 | 8 | 13 | 28:38 | 23 |
| კანი | 26 | 6 | 5 | 15 | 26:45 | 23 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სტეფან გივარში (ოსერი) | 19 |
| დავიდ ტრეზეგე (მონაკო) | 14 |
| ვიქტორ იკპება (მონაკო) | 13 |
| ლილიან ლასლანდი (ბორდო) | 11 |
| რობერ პირესი (მეცი) | 11 |
| ლორან ბლანი (მარსელი) | 10 |
| სავიე გრაველანი (მარსელი) | 10 |
| ჟოსელინ გურვენეკი (ნანტი) | 10 |

## გერმანია

XXIII ტური

### კარლსრუე 0:1 დორტმუნდი

0:1 ჰერლიხი (42)

### ვერდერი 2:2 დუისბურგი

1:0 აილტსი (5), 1:1 სკრიპნიკი (54ს.კ.), 1:2 შპისი (80), 2:2 ტოდტი (82)

### კიოლნი 1:2 ჰამბურგი

0:1 სალიჰამიჯიჩი (64), 0:2 ჰოლერბახი (80), 1:2 ტრეტშოკი (87)

## ბელგია

22-ე ტური. ანდერლეხტი — სტანდადი 2:0

## ინგლისი

თასის მეხუთე ეტაპი

შეფილდ იუნაიტედი — რედინგი 1:0

### კლუბშიც, ნაკრებშიც



ვალერი ლობანოვსკი

უკრაინის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა კიევის „დინამოს" თავკაცი ვალერი ლობანოვსკი, რომელიც პარალელურად კლუბსაც უხელმძღვანელებს.

ნაკრების ყოფილი მწვრთნელი იოჟეფ საბო 59 წლის ლობანოვსკის თანაშემწედ იმუშავებს.

თავის დროზე ლობანოვსკი კიევის „დინამოს" და საბჭოთა კავშირის ნაკრებს ერთობლივად წვრთნიდა.

კონკაკაფის „ოქროს თასის" გათამაშება

# მექსიკა მესამედ?

### აშშ 1:0 ბრაზილია

**აშშ:** კელერი, ბარნსი, ლალასი, პოპი, აგუსი, პეჯუკი, პარკსი, მური, ჯოუნსი, ვინალდა (მაკბრაიდი 81), ვეგერლე (პრეკი 60)

**ბრაზილია:** ტაფარელი, ზე მარია, ჟუნიორ ბაიანო, გონსალვეში, მაურო სილვა (დორივა 7), ედმუნდო, კონსეისაო (მარკოსი 71), ზინიო, რომარიო, სერჟიო მანუელი (ელბერი 76)

**1:0 პრეკი (65)**

### იამაიკა 0:1 მექსიკა

**იამაიკა:** ბარეტი, მალკოლმი, დიქსონი, ჰადსონი, სიმპსონი, კერჯილი, უილიამსი (გეილი 66), ბარტონი, სინკლერი, ბრაუნი (ლოუი 46), ჰოლი

**მექსიკა:** პირესი, სუარესი, დავინო, რამირესი, ბლანკო, პარდო, ერნანდესი, ლოპესი (ვილა 46), პალენსია (მორა 70; ლუნა 96), კარმონა, მედინა

**0:1 ერნანდესი (105)**

ბრაზილია კვლავ „ოქროს თასის" გარეშე დარჩება. წინა გათამაშებაში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა ოლიმპიური გუნდი გაუშვეს, რომლებიც ფინალში მექსიკასთან დამარცხდნენ, ახლა კი უკვე ძირითადმა ნაკრებმა საერთოდაც ვერ უწია ფინალს — შეცვლაზე შესული პრეკის გოლმა მარიო ზაგალოს გაცილებით ძლიერი მეტოქებისაგან უძლეველი გუნდი შოკში ჩააგდო. ბრაზილიელები და ამერიკელები რვაჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ყველა მატჩი სამხრეთამერიკელებმა მოიგეს. ამჯერად კი ნავსი გატყდა.

...1930 წლის 17 აგვისტოს ბრაზილიელებმა 4:3 სძლიეს აშშ-ს. ამის შემდეგ ამერიკელებს ბრაზილიელთა კარში გოლი რაა, ის ვერ გაეტანათ, პრეკიმ კი ეს უსიამოვნო სერია დაასრულა.

სხვათა შორის, ამერიკელმა კობი ჯოუნსმა ნაკრებში მეასედ ითამაშა და გუნდში თამაშების მხრივ ახლა მხოლოდ მარსელო ბალბოას (124 თამაში) და პოლ კალიჯურის (114) ჩამორჩება.

მეორე ნახევარფინალში „ოქროს თასის" ბოლო ორი გათამაშების გამარჯვებულმა მექსიკამ დამატებით დროში ლუის ერნანდესის კინკილა გოლით მასსავით მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე იამაიკას სძლია.

ფინალი კვირას, 15 თებერვალს, ლოს ანჯელესში შედგება.

# ბედნიერებას რა უნდა

რას ნიშნავს „რეგი ბოიზ"? „რეგი ბოიზ" ნიშნავს რეგის მომღერალ, მოცეკვავე და მოყვარულ ბიჭებს. ვინ არიან „რეგი ბოიზ"? „რეგი ბოიზ" არიან იამაიკის ნაკრების ფეხბურთელები.

ბობ მარლი რეგის სამყაროს მბრძანებელი იყო. მისგან განსხვავებით, მისი თანამემამულე ფეხბურთელები პლანეტას აუტსაიდერებად მოევლინებიან. თუ არ გჯერათ, ივნისი და ხვალეო, საფრანგეთში მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება და ყველაფერი იქ გამოჩნდება. ისე კი აუტსაიდერები აუტსაიდერებად და გულშემატკივართა ისეთი არმიით, იამაიკას რომ ჰყავს, ბარე ორი ვერ დაიკვეხნის. ვინც საფრანგეთში ჩავა, ნახავს ფერად, ექსცენტრული ხალხს, რომელთათვისაც ფეხბურთი დროსტარებაა.

ახლა სამშაბათს არ იყო, მაიამის „ორანჯ ბოულზე" ეროვნული დროშის ყვითელ, მწვანე და შავ ფერებად შეღებილ-გამოწყობილი იამაიკელები „ოქროს თასის" შეხვედრაში ბრაზილიასთან უგოლო ფრეს რომ ზეიმობდნენ? განა ისინი საგანგებოდ ამ შეხვედრისთვის არ ჩაფრინდნენ ამერიკაში რამდენიმე თვითმფრინავით? განა დანარჩენები, აშშ-ის სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრებნი, მაიამიში არ შეგროვდნენ, რათა დროშები ეფრიალებინათ და მარლის სიმღერები ემღერათ?

მათ საბედნიეროდ, იამაიკის ნაკრებმა თვით ბრაზილიას არაფერი დაუთმო. მართალი ყოფილა რეგის სხვა ვარსკვლავი, ცხადია იამაიკელი, ჯიმი კლიფი, რაც უფრო ძნელად ვიკაფავთ გზას, მით უფრო ძნელია ჩვენი წაქცევაო — სიმღერა ჰქონდა ასეთი.

— საოცარია. ჩვენ მსოფლიოს უძლიერეს გუნდს გავუწიეთ წინააღმდეგობა. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საფრანგეთში კარგი შედეგების მისაღწევად ვემზადებით — ხარობდა აშშ-ში მოღვაწე ბიზნესმენი როი უეირი, რომელიც მაიამიში საგანგებოდ კონექტიკუტიდან ჩაფრინდა.

— დღეს ჩვენ ჩინებული დრო ვატარეთ. ბრაზილიასთან რაღა ფრე გითამაშია და რაღა მოგიგია. უჰ, რა კარგი თამაში იყო — ამბობდა კინგსტონელი დესმონდ უილიამსი.

ბრაზილიასთან ფრით გადარეული ქომაგები ამბობდნენ, რომ იამაიკა კარიბეთის პირველი ინგლისურენოვანი ქვეყანაა, რომელიც მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე გავიდა. დიდ სიხარულს სადღაც მიუჩქმალია უმუშევრობითა და დანაშაულებათა საშინელი რაოდენობით გატანჯული ხალხის წუხილი.

— ჩვენი ქვეყნისთვის ჩინებული რამ ხდება. მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრამ ყველა გაგვაერთიანა, პოლიტიკური პარტიებიც კი — ეს ალან ბრაუნმა თქვა, კინგსტონელმა ბუღალტერმა.

მართლა ასე იყო. ფაქტები გნებავთ? კი ბატონო.: დეკემბერში იამაიკაზე საყოველთაო არჩევნები გაიმართა და განსხვავებით ყველა წინა არჩევნებისგან, მან კრიმინალური მდგომარეობის საგრძნობი გაუარესების გარეშე ჩაიარა. ეს მხოლოდ და მხოლოდ „რეგი ბოიზის" დამსახურება გახლდათ.

— „რეგი ბოიზის" მხარდასაჭერად ყველანი აქ ვართ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს თავს რაღაც კარგი ტრიალებს — თქვა „ამერიკან ეარლაინზის" მარკეტინგის სპეციალისტმა ვანესა ჰენრიმ — დახეთ ამ ჟრიამულს, ყველანი შთაგონებულნი ვართ.

აი, რას ამბობდა თავდამსხმელი ენდრიუ უილიამსი: — ორი წლის წინ მხოლოდ თამაში გვანიჭებდა კმაყოფილებას. ვითამაშებდით და შინ ვბრუნდებოდით. ახლა მარტო საკუთარი სიამოვნებისთვის აღარ ვთამაშობთ. დღეს ქვეყნის სასახელოდ გავდივართ მოედანზე.

„ორანჯ ბოულზე" ბრაზილიასთან შეხვედრის დროს რეგიმ სამბა დაჩრდილა. ბრაზილიელი ქომაგების კარნავალი გახუნებული ჩანდა.

სტადიონის გარეთ აღარ იკითხავთ? იამაიკელებმა ნაღდი ბარბეკიუ მოაწყვეს. მათებურად შემწვარი წიწილაო, ნამცხვარიო, წითელეტიკეტიანი ლუდიო... და რა თქმა უნდა ნონ-სტოპ რეგი.

— ერთადერთი, რაც ამ გამარჯვებაზე მეტია, ბობ მარლი გახლავთ. მას გულით უყვარდა ფეხბურთი — ამბობდა გულშემატკივარი ჯიმი შირლი.

თამაშის წინ იამაიკის სახელმწიფო ჰიმნი კიმანი მარლიმ იმღერა, ბობის ვაჟმა.

— ჩვენ ბობმა დაგვლოცა. ის იმ ქვეყნიდან გვიწევს მწვრთნელობას — თქვა კიმანიმ.



გულშემატკივრები ბობ მარლის ძეგლთან

## EURO 2000
### ჩვენი ჯგუფი

# იორდანესკუ ნამდვილად მეტოქეა

ერთი ისტორია დამთავრდა, ახლა მეორე იწყება. რუმინელი ანგელ იორდანესკუ საბერძნეთის ნაკრებს უკვე ოფიციალურად ჩაუდგა სათავეში და შემოდგომიდან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ კამპანიას ახალ გუნდში დაიწყებს. ეს იმას ნიშნავს, რომ იორდანესკუ ბერძნებს საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ უხელმძღვანელებს.

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით რუმინელი სპეციალისტი, რომელმაც ორწლიან კონტრაქტს საბოლოო ხელმოწერა გუშინ დაასვა, ათენში მუშაობის გასამრჯელოდ წელიწადში 80 მილიონ დრაჰმას ანუ 279 ათას დოლარს მიიღებს. თუ იორდანესკუმ შეძლო და ელინთა გუნდი ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა (იმედია, თუ ასეთი რამ მოხდა, მხოლოდ ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლისა და გადათამაშების შედეგად მოხდება, რადგან პირველი ადგილი ჩვენი ნაკრების გარდა არავისთვის გვემეტება), მაშინ მას პრემიად 75 მილიონ დრაჰმასაც მიართმევენ.

— ჩემი მთავარი მიზანი საბერძნეთის ნაკრების ევრო 2000-ზე გაყვანა იქნება — თქვა რუმინელმა — რუმინეთში ხუთწლიანი მუშაობა სრულიად საკმარისია, ახლა ვგრძნობ, რომ დიდი შედეგის მიღწევას სხვა გუნდთან ერთადაც შევძლებ.

შემოდგომამდე კი იორდანესკუ რუმინეთის ნაკრების სათავეში დარჩება, გუნდს საფრანგეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე ათამაშებს და მხოლოდ ამის მერე, ივლისში დაიწყებს ბერძნებზე ფიქრს.

ბერძენთა აზრით, იორდანესკუ მსოფლიოს 10 უძლიერეს მწვრთნელთა შორისაა. მან თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდი მესამედ გაიყვანა მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე.

შეგახსენებთ, რომ ანგელ იორდანესკუ და საქართველოს ნაკრების თავკაცი ვლადიმერ გუცაევი კვიპროსის „ანორთოსისში" თითქმის მთელი სეზონის მანძილზე მუშაობდნენ ერთად. იორდანესკუ მწვრთნელი იყო, გუცაევი — ასისტენტი.

# ფრთხილად, სამხრეთ ამერიკას ეთამაშებით!

ინგლისის ნაკრები მართლა ძლიერი გუნდია, მაგრამ როგორც ამ ქვეყნის გაზეთები წერენ, მაიკლ ოუენის სარეკორდო დებიუტზე ისტერიული აურზაურის ატეხვას ჯობდა ჩილესთან სათამაშოდ სერიოზულად მომზადებულიყვნენ. როგორც ჩანს ინგლისელებს ლათინოსებზე ფიქრი მეტად მართებთ და აი, რატომ: მათ, გასულ ზაფხულზე ბრაზილიასთან წაგების შემდეგ მარცხი არ ჰქონდათ ნაწნევი. მაშ ასე, ბრაზილია, ჩილე... მსოფლიოს ჩემპიონატზე კი კოლუმბიაა ჩასაფრებული.

გლენ ჰოდლს ერთი რამ გაუხარდებოდა: მისი ყველა მოთამაშე თავდაუზოგავად იბრძოდა, რაც გუნდში კონკურენციაზე მიუთითებს.

ეს იყო ამხანაგური შეხვედრა. გამარჯვებულს ქულები არ ეწერებოდა და ალბათ იმიტომაც იყო, რომ ინგლისის ნაკრებმა თამაში იმ შემადგენლობით დაასრულა, რომელშიც შვიდი ასე თუ ისე სათადარიგო ფეხბურთელი დარბოდა. მათგან ყველაზე მეტი ყურადღება მაიკლ ოუენმა მიიპყრო, შერინგემთან წყვილად მოთამაშე დებიუტანტმა თავდამსხმელმა. მისი დავალება, წინ შექმნილი სივრცეების გამოყენება გახლდათ (დუეტის წინ დაიონ დაბლინი იყო განწესებული), მაგრამ სირთულეც სწორედ ის აღმოჩნდა, რომ ჩილელებმა სივრცე ამოავსეს. მიუხედავად ამისა, პირველ ტაიმში მასპინძლების მიერ შექმნილი ერთადერთი სახიფათო მომენტი სწორედ ოუენის ფეხის შემოქმედება გახლდათ, მისი ძლიერი დარტყმა წითელ მაისურებს შორის გაძვრა, მაგრამ სტუმრების მეკარეს ნელსონ ტაპიას ლუკმა შეიქნა.

ვერ ვიტყვით, რომ ინგლისელთა ექსპერიმენტულ გუნდს იმედისმომცემი ეპიზოდები არ ჰქონდა, მაგრამ ჩილელებმა კონტრთამაში სწორედ ააწყვეს, საკუთარი თავისაც ირწმუნეს და ბურთის ფლობის უპირატესი უნარის წყალობით დიდებული მარჩელო სალასის გოლებიც გამოადნეს. სიერამ საკუთარი ნახევრიდან მშვენიერი პასით გახლიჩა მასპინძელთა დაცვა და ბურთი სალასს მიაწოდა. აქ აწ უკვე „ლაციოს" ფორვარდმა დაამტკიცა თუ რატომ ცდილობდნენ ევროპის საუკეთესო გუნდები მის ხელში ჩაგდებას.



ლაციოელმა სალასმა უემბლიზე ორჯერ იხარა

REUTERS ლონდონიდან

ჩილელთა ბურთის ფლობაზე უკვე მოგახსენეთ, ახლა ისიც დავძინოთ, რომ სამხრეთ ამერიკელებს პასები ჰქონდათ მეტისმეტად ზუსტი. ამანაც ითამაშა დიდი როლი მათ გამარჯვებაში.

და რა თქმა უნდა, სიერა-სალასის დუეტი იყო უმნიშვნელოვანესი. საბრალო სოლ კემპბელი ორმა ჩილელმა ისე გააბითურა, რომ... პენალტი სალასმა დაარტყა, მასპინძელთა მეკარე ნაიჯელ მარტინი სულ სხვა მხარეს გადაახტუნა და 3 ათას თანამემამულეს „უემბლიზე" შეკრებილი ინგლისელები დაადუმებინა.

# ოუენი ბებერი ყოფილა



დანკან ედუარდსი

„ლივერპულის" თავდამსხმელი მაიკლ ოუენი გახდა ამ საუკუნეში ყველაზე ახალგაზრდა ინგლისელი ფეხბურთელი, ვინც თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში ითამაშა. ეს ამბავი ოთხშაბათს, „უემბლიზე" მოხდა.

18 წლის და 59 დღის ოუენმა მოხსნა 18 წლის და 183 დღის დანკან ედუარდსის მიერ 1955 წლის 2 აპრილს, შოტლანდიის ნაკრებთან თამაშის დღეს დამყარებული რეკორდი.

მსოფლიოსთვის კი ოუენს გასაოცარი არაფერი ჩაუდენია. 1985 წელს, სიერა ლეონეს ნაკრებმა მოედანზე გაიყვანა ვინმე მოჰამედ კალონი, რომელიც 15 წლის, სამი თვის და ერთი დღისა იყო. იმ დღეს კალონმა აფრიკის თასის შესარჩევში გამბიის წინააღმდეგ ითამაშა. ასეთი რამ 1863 წელს დასაბამდადებულ ფეხბურთის ისტორიას არ ხსომებია.

სამაგიეროდ სპორტის დიდმა ისტორიამ იცის, ვინ იყო ჯო ფოსტერი. ჯო ფოსტერი ის იამაიკელი მაგიდის ჩოგბურთელი გახლდათ, რომელიც სკოლაში ახალმისული, რვა წლისა, თავისმა ქვეყანამ 1958 წლის აგვისტოში, ტრინიდადში, ვესტ ინდიის პირველობაზე ათამაშა. ვიმეორებთ, რვა წლისა!

მაგიდის ჩოგბურთისთვის ბავშვთა დიდ შეჯიბრებებში მონაწილეობა უცხო და ახალი არაა. მაგალითად, 12 წლის და 144 დღის კეტი პარკერმა შარშან, მანჩესტერში ინგლისის რეკორდი დაამყარა. გასაგებია რაშიც, ასაკში!

ინგლისი კი თუმც დომინიონია, მთელი ბრიტანეთი არ გახლავთ. მისი შემადგენელი ნაწილია მხოლოდ. ბრიტანეთის უბავშვესი სპორტსმენი გახლდათ სესილია კოლეჯი. კოლეჯი ლეიკ პლესიდის ზამთრის ოლიმპიადაზე ფიგურული ციგურაობის შეჯიბრებაში 11 წლის და 76 დღისა ჩაერთო.

ზოგადად, ბავშვობაში ერთმანეთს უფრო ქალები – უკცრავად, გოგონები ეჯიბრებიან. მათ საამისოდ ხელს უწყობს სპორტის ისეთი „უმცროსი" სახეობა, როგორიცაა ტანვარჯიში. ბერძენი პასკევი „ვოულა" კოუნა 1981 წელს, ბალკანეთის თამაშებში რომ გამოიყვანეს 9 წლისა და 299 დღის იყო.

ისე კი ვუნდერკინდთაგან არავის მიუღწევია იმისთვის, რასაც ფეხბურთელებმა პელემ და მარადონამ მიაღწიეს. ორმოცი წლის წინ, 17 წლის ბრაზილიელმა, პელემ ფეხბურთს თავისი გამოჩენა შვედეთში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულით ამცნო.

1978 წელს პლანეტამ აღმოაჩინა მარადონა. მაშინ 17 წლისა იყო დიდი დიეგო, როდესაც მენოტიმ მსოფლიოს პირველობის ბანაკში აყვანაზე უარი უთხრა. მარადონამ ცხარე ცრემლით იტირა, არგენტინა კი მაინც ჩემპიონი გახდა.



მაიკლ ოუენი

ახლა, ამ მცირე წერილის პირველ წინადადებას დავუბრუნდეთ. იქ წერია, რომ „ლივერპულის" ფეხბურთელი მაიკლ ოუენი გახდა მეოცე საუკუნის... დიახ, მეოცე საუკუნის, რადგან 1879 წელს, 17 წლის და 252 დღის ჯეიმს პრინსეპმა ინგლის-შოტლანდიის შეხვედრაში ითამაშა. ასე რომ, ოუენი პირველი არაა, თუმცა პირველობის შანსი ჯერ კიდევ აქვს, რადგან 1938 წელს 19 წლის და 6 დღის ტომი ლაუტონმა უელსის ნაკრებს პენალტი გაუტანა და გახდა ყველაზე ახალგაზრდა, ვინც ნაკრების ისტორიაში გოლი შეაგდო.

თუმცა გოლი და ასაკი სხვადასხვა რამაა.

ფიფას პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა უეფას პრეზიდენტს ლენარტ იუჰანსონს ხელახლა შეუტია. 82 წლის ბრაზილიელმა გარდა იმისა, რომ გაიმეორა დეკემბერში, მარსელში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრაზე ნათქვამი ჩემს შემცვლელად ჩემივე გენერალური მდივანი ზეპ ბლატერი მინდაო, ასეთი ფრაზაც თქვა: „თუ ფიფა ზოგიერთებს ჩაუვარდება ხელში, აღარ ვიცი, ლათინურ ქვეყნებს რა ეშველება."

აველანჟს იუჰანსონი ადრეც მრავალჯერ გაუკრიტიკებია, ახლა კი ეტყობა მის აღშფოთებას საზღვარი აღარ აქვს:

— მაოცებს მისი მოთხოვნა, თუ ბლატერი არჩევნებში თავის კანდიდატურას წამოაყენებს, გენერალური მდივნობიდან უნდა გადადგესო. თვითონ გადადგა? განა ის უეფას პრეზიდენტობით არ სარგებლობს? იცით, საქმე რა არის? საქმე ისაა, რომ იუჰანსონი ფიფას პრეზიდენტად ვერგასვლის შემთხვევაში უეფას პრეზიდენტის სავარძლის შენარჩუნებას ლამობს. განა ეს სამართალია?

შესაძლოა, ბრაზილიელს ისიც აცოფებს, რომ იუჰანსონს ბურკინა ფასოში, აფრიკის თასის შეხვედრების დღეებში „შავი კონტინენტის" საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტი ისა ჰაიატუც ამოუდგა მხარში.

აველანჟმა განაგრძო: შემცვლელის წინასწარ განსაზღვრა ჩემი ხასიათის კაცს არ სჩვევია. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ბლატერს სრული უფლება აქვს 7 აპრილამდე (განაცხადების შეტანის ბოლო ვადაა) თავისი კანდიდატურა წამოაყენოს.

ფიფას პრეზიდენტმა ამ დღეებში ფრანგულ „ფრანს ფუტბოლსაც" მისცა ინტერვიუ, სადაც განაცხადა, ბლატერის პრეზიდენტად არჩევა მსოფლიო ფეხბურთის სწორი მიმართულებით წაყვანას ნიშნავსო.

— მინდა ჩემმა შემცვლელმა ჩემს მიერ შეწყვეტილი მუშაობა განაგრძოს — თქვა მან.

როგორც ცნობილია, აველანჟის შემცვლელის ვინაობა 8 ივნისს, პარიზში გაირკვევა, ბრაზილიელს კი ეშინია, რომ მისი და მის თანამოაზრეთა სარბიელიდან წასვლის შემდეგ ბოლო დროს დაწინაურებული ლათინური ქვეყნები ცარიელ-ტარიელნი დარჩებიან.

# პრეზიდენტი აჯანყებისკენ მოუწოდებს

— ლათინური ქვეყნები უნდა აჯანყდნენ და ამ ბრძოლაში მათ ლიდერობა საფრანგეთმა, იტალიამ, ესპანეთმა და პორტუგალიამ უნდა გაუწიოს. გერმანია ძლიერ ამბიციურია და უეფას დახმარებით მსოფლიო ფეხბურთში ბატონობას ლამობს. ჩვენ ამას არ დავუშვებთ. დამიჯერეთ, თუ ფიფას ხელმძღვანელობა გარკვეულმა ხალხმა იგდო ხელთ, მსოფლიოში ფეხბურთის საქმე ცუდად წავა — შიშობს აველანჟი, რომელმაც საფრანგეთის მსოფლიო პირველობის საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარე მიშელ პლატინიც კიდევ ერთხელ შეაქო:

— ის დიდი, ძალიან დიდი მოთამაშე იყო, გახლდათ ანგარიშგასაწევი მწვრთნელი და ახლა ბევრ ხალხს იმით აცვიფრებს, რომ ხელმძღვანელის იშვიათ თვისებებს ამჟღავნებს.

მართალია, პლატინის ნათქვამი აქვს, რომ ფიფას პრეზიდენტის სავარძლისთვის ბრძოლას არ აპირებს, აველანჟმა თავისი არ დაიშალა:

— პლატინი ის კაცი არაა მინდა, მინდა, რომ იძახოს. მას მუდამ თავისი შეხედულება აქვს და ფეხბურთზე ყოველთვის საღად მსჯელობს. თუ ფედერაციას მისი კანდიდატურის წამოყენება მოუსურვება, რატომაც არა. ლათინურ ფეხბურთს ლიდერი სჭირდება.

შეგახსენებთ, რომ ორიოდ დღის წინ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა ხულიო გრონდონამ ალტერნატიულ იდეად არჩევნების გადატანა და პრეზიდენტად აველანჟის დატოვება წამოაყენა.

# შემატყობინეთ!

ბულგარელმა ვარსკვლავყოფილმა ხრისტო სტოიჩკოვმა განაცხადა, რომ ზაფხულზე „ბარსელონასთან" კონტრაქტის ამოწურვისთანავე კატალონიიდან წავა.

— დღეს ისეთი ვითარებაა, რომ ვგონებ 30 ივნისიდან „ბარსელონასთან" საქმეს აღარ დავიჭერ. გასათვალისწინებელია ჩემი ურთიერთობა გუნდის ახლანდელ მწვრთნელ ლუის ვან გაალთანაც. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ესპანეთიდან შორს წასვლას ვაპირებ — უთხრა სტოიჩკოვმა მშობლიურ პლოვდივში გამართულ პრეს-კონფერენციაზე მიწვეულ ჟურნალისტებს.

სამშობლოში ხრისტო კვირას, თავისი ოცდამეთორმეტე დაბადების დღის აღსანიშნავად ჩავიდა, ხუთშაბათამდე მოულხინა და ესპანეთში დაბრუნდა.

1994 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა მაინც დაიტოვა „ბარსელონაში" დარჩენის შანსი. მან თქვა, რომ კატალონიის მთავარ კლუბში მაისისთვის შესაძლოა შეიცვალოს მდგომარეობა და თუ ასე მოხდება კიდევ ერთი წლით გაიხანგრძლივებს იქ ყოფნას.

როგორც თავადაც აღიარა, ბულგარელს, თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში 68 შეხვედრაში 36 გოლი რომ აქვს გატანილი, ვან გაალთან უსიამოვნო ურთიერთობა აქვს. მან „ბარსელონას" დღევანდელ გასაჭირში ბრალი მთლიანად მწვრთნელს დასდო. უკმაყოფილება იქიდან დაიწყო, რომ ჰოლანდიელმა სტოიჩკოვს მცველად გადაკეთება დაუპირა.

— მას რომ სურს იმ როლს ვერ შევასრულებ. მე თავდამსხმელად ვარ ცნობილი და სწორედ შეტევაში მინდა თამაში. ჩვენს შორის აზრთა სხვაობა იგია, თორემ გასაგებია, რომ მწვრთნელი ისაა და ვინ სად ითამაშებს, ის წყვეტს. თქვა მან.

სტოიჩკოვს „ბარსელონას" ერთ-ერთ ვარჯიშზე ფეხი უტკენია და პლოვდივში ჩასასვლელადაც ამიტომ მოუცლია — მისი თქმით სულ მცირე 20 დღეში საუკეთესო ფორმას აღიდგენს.

# გოლიათთა დამჩოქებელი

„ალავესმა" გოლიათთა დამჩოქებლის სახელი დაიმსახურა. ეს მეორე დივიზიონის გუნდი „ბარსელონას" კამპანიაში მოხვდა — ესპანეთის თასის ნახევარფინალში გავიდა. „ალავესმა" მეოთხედფინალში თვით „დეპორტივო ლა კორუნია" მოაცილა გათამაშებას. მათი მეორე შეხვედრა 0:0 დამთავრდა, ჯამში კი 3:1 უპირატესობა „ალავესს" დარჩა. მეორე დივიზიონის ამ ბასკურ კლუბს „გიგანტთა მკვლელი" შეარქვეს, რადგან „დეპორტივომდე" პრიმერა დივიზიონის კიდევ სამი გუნდი მოინელა.

„ბარსამ" „მერიდას" მოუგო 3:0 და ჯამური 5:0 გამოუვიდა.

„მალიორკამ" ბილბაოს „ატლეტიკს" 1:0 აჯობა. სტუმრად 1:2 ჰქონდა წაგებული და გავიდა.

„სარაგოსა" თასის 1994 წლის მფლობელი, პირველი მატჩის შემდეგ „ბეტისს" 3:0-ს სჯობნიდა. საიასუხოში 2:2 ითამაშა.

„ალავესი" პირველადაა ნახევარფინალში, „მალიორკა" — მეორედ.

„ალავესთან" „დეპორტივომ" თამაშის დაწყებისთანავე მოინდომა გოლის გატანა, მაგრამ ერთი შეხედვით სუსტი მოწინააღმდეგე დაცვაში გამაგრდა და აქა-იქ მწვავე კონტრშეტევებიც გაახერხა. „დეპორტივოს" საუკეთესო შესაძლებლობა მაშინ მიეცა, როდესაც „ალავესის" მცველმა იბონ ბეგონამ მეკარისთვის ბურთის თავით დაბრუნება ისურვა და კინაღამ მცდარ კუთხეში გადააზტუნა. კიდევ, თამაშის მიწურულს ფრანის დარტყმული ვილაცამ აისხლიტა და ლამის კარში შევარდა.

დამთავრდა თუ არა შეხვედრა, „ალავესის" მშობლიურ ქალაქ ვიტორიაში ხალხი ქუჩებში გამოეფინა.

მერიდაში მასპინძლებს იმედი ჰქონდათ, რომ 0:2-ს გამოასწორებდნენ, მაგრამ ოსკარმა სერხის მეორე წუთზევე გაახსნევინა ანგარიში. შემდეგ, მეორე ტაიმის დასაწყისში რივალდო „მერიდას" კაპიტანმა მანუელ მომპარლეტმა საჯარიმოში წააქცია. მსაჯმა დამნაშავე არ გააძევა, სამაგიეროდ, რივალდომ გაიტანა პენალტი. ამის მერე „მერიდა" დაიბნა, დრაგან ჩირიჩმა კი თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე მესამე გაიტანა.

გუშინ [illegible] კენჭისყრამ „ბარსელონას" „სარაგოსა" არგუნა „ალავესს" „მალიორკა". აღსანიშნავია, რომეს ორი კლუბი წარსკლში ცხრაჯერ შეხვედრია ერთმანეთს სამეფო თასისათვის ბრძოლაში. ამ ცხრა შეხვედრიდან ორი ფინალური დაპირისპირება გახლდათ 1963 და 1984 წლებში. როგორც „სარაგოსას" მწვრთნელმა ლუის კოსტამ განაცხადა, მადრიდის „ატლეტიკოსა" და „ბეტისის" ძლევის შემდეგ მას არც „ბარსელონას" გაგდება მიაჩნია შეუძლებლად. რაც შეეხება „ალავესს", მას ჩინებული შანსი მიეცა 1980 წლის შემდეგ გახდეს მეორე ქვედალიგელი, რომელმაც ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. პირველი თამაშები 18 ან 19 თებერვალს გაიმართება, საპასუხო — 25 ან 26 თებერვალს.

## კითხვა-პასუხი



იყო დრო და მომენტი, ყველას ჯობდა კლუივერტი

*სად არის პატრიკ კლუივერტი?*

ბოლო ცნობებით ის მილანში იყო, თუმცა, რას აკეთებდა იქ არავინ იცის.

*მაშინ რატომ არის კლუივერტი მილანში?*

იმიტომ, რომ სხვაგან წასასვლელი მატარებელი ვერ აირჩია.

*როგორ მოხვდა კლუივერტი მილანში?*

შემთხვევით. მან და მისმა ძმაკაცმა უინსტონ ბოგარდმა სამხრეთში დასვენება გადაწყვიტეს, მილანში ჩასულებმა კი გაარკვიეს, რომ იქ კურორტი არ ყოფილა.

*სად არის ახლა ბოგარდი?*

ბოგარდი ბარსელონაში წავიდა, რადგან გაიგო, რომ იქ უკეთესი დასასვენებელი ადგილია.

*რატომ არ წაყვა მას კლუივერტი?*

იმიტომ, რომ არვინ დაპატიჟა. ბოგარდი ხომ მიპატიჟებით გაემგზავრა.

*ვინ მიიპატიჟა ბოგარდი?*

ლუის ვან გაალმა. მან თავის ასოცდამეშვიდე ბლოკნოტში ბოგარდის ტელეფონი იპოვა და გაახსენდა, რომ ამ ბიჭს იცნობდა.

*საიდან იცნობდა ვან გაალი ბოგარდს?*

ისინი ერთად ცხოვრობდნენ ამსტერდამში. ერთხელ გაზამ წიხლი ჩაარტყა ბოგარდს და ვან გაალსაც ასე დაამახსოვრდა. ბოგარდი სხვანაირად ვერაფრით მოხვდებოდა თვალში.

*თუ ყველანი ამსტერდამელები არიან, რატომ არ ბრუნდება კლუივერი ამსტერდამში?*

იქ შეიძლება საციხოდ გაუხდეს საქმე. თანაც, იქ შოთაა და ასე იოლად აღარ ჩაესვლება. ესეც არ იყოს და, იქ ნაცნობები აღარ დარჩა, ედგარ დევიდსი და მიშა რაიციგერიც წავიდნენ.

*სად?*

თავიდან, ალბათ, მილანში ერთ-ერთი მაინც. ახლა კი ისინიც ბარსელონაში არიან. ეს საუკეთესო დასასვენებელი ადგილია ასეთი ბიჭებისთვის.

*და სად არის კიკი მუსამპა?*

სადღაც იქვე, შორიახლოს.

*ნორდინ ვუტერი?*

ვუტერმა ნაწნავები დაიშალა და ბერად აღიკვეცა.

*რატომ?*

იმიტომ, რომ სამხრეთში ვერ წავიდა დასასვენებლად.

*ახლა რას ფიქრობს კლუივერტი?*

ძნელი სათქმელია, ფიქრობს თუ არა.

*რა დარჩენია?*

ფოჯაში ყოფილა კარგი დასასვენებელი ადგილი. თუმცა, გული ბარსელონასკენ მიუწევს, რადგან ძმაბიჭები იქ ისვენებენ.

*ვერაფერით იშოვის ბარსელონაში წასასვლელ ბილეთს?*

საეჭვოა. მგონი მაასტრიხტის ბილეთს სთავაზობენ, მაგრამ არ უნდა, სიცივეაო.

*არსენ ვენგერი თუ იცნობს კლუივერტს?*

იან რაიტი რომ მოკვდება, მერე გაიცნობს, თუ მანამდე გაბრიელ ბატისტუტა არ გაიცნო.

*და რუდ გულიტი?*

გულიტი იცნობს, თვითონაც ნამყოფია სამხრეთში, მაგრამ არ ახსოვს, რომ იცნობს.

*რა გაუკეთებია პატრიკ კლუივერტს?*

ბავშვობაში კარგად თამაშობდა ფეხბურთს. რაც სრულწლოვანი გახდა, აღარაფერს აკეთებს, აკი გითხარით, სამხრეთში დასვენებას აპირებდა-მეთქი.

*ჩვენ რაღა გველაპარაკებს?*

ალბათ ის, რომ მატარებელი არ უნდა შეგეშალოს და რახან ბავშვი ხარ, შინ უნდა დაეტიო.

# ნიუკასლი კენი დალგლიშისა

ინგლისელები ამბობენ, სქოთთა ცხოვრება მოკლე ხელების და ღრმა ჯიბეების ამბავიაო. ესე იგი, სქოთებს ჯიბიდან ფულის ამოღება არ ეხერხებათო. ასე დასცინიან სქოთთა ეროვნულ სიძუნწეს.

ჩვენ კი კენი დალგლიშზე ვილაპარაკებთ, დიდების შარავანდედით მოსილ სქოთ ვარსკვლავზე, ვისი თამაშიც ვ.ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზეც გვიხილავს.

დალგლიში ძაან მოთამაშე იყო, დიდებული ფეხბურთელი, რომელიც „სელტიკში“ ბრწყინავდა და „ლივერპულთან“ ერთად ევროპას იპყრობდა.

დალგლიში ძაან მწვრთნელად ითვლებოდა, რადგან „ლივერპულიცა“ და „ბლექბერნიც“ ჩემპიონად აქცია. თუმცა, დალგლიში ვერაფერიშვილი მწვრთნელია და ამას ყველა კარგად ვხედავთ. ლივერპულსა და ბლექბერნშიც ეს კაცი მოთამაშე-მენეჯერად ითვლებოდა და ჯიგარსა ხევდა, როგორც ფეხბურთელი. ის ყოველთვის ფეხბურთელი უფრო იყო, ვიდრე მწვრთნელი. გუნდს ფეხით უფრო ეხმარებოდა, ვიდრე თავით. აბა ვინ არ გაიხსენებს „ბლექბერნის“ თამაშს 1994-95 წლების სეზონში, რომლის მეორე წრეც მენეჯერმა დალგლიშმა მოედანზე გაატარა და პირადად მოიგო გადამწყვეტი თამაშები?

ასეა — ის ყოველთვის ფეხბურთელი იყო, როგორც საფეხბურთო მოღვაწე კი ამბიციებით გახლდათ სავსე. მას ტიტულები ჰქონდა როგორც მწვრთნელს, სინამდვილეში კი ფეხბურთელი იყო. ეს ტიტულები დალგლიშს სიამაყით ავსებდა. თანაც, ძნელია მოძებნო უფრო იღბლიანი კაცი. ამას თუ სქოთური მოხერხებულობაც დაემატება, მივხვდებით, რომ დალგლიში-მწვრთნელი არაფრითაა მეტი ვთქვათ, მის ორ თანამემამულეზე, გორდონ სტრაჩანსა და გრემ სუნესზე. მეტია მხოლოდ ტიტულებით და არა სამწვრთნელო ამბით. ყოველ შემთხვევაში, დღეს ასეა და რა იყო გუშინ, ძნელი საძებარია.

დალგლიში ფრთხილი კაცია. „ბლექბერნს“ ამბიცია არა აქვსო და ტექნიკური დირექტორის სავარძელში გადაბარგდა. საინტერესოა, ვის მეტი ამბიცია აქვს დღეს, მის „ნიუკასლს“ თუ ჰოჯსონის „ბლექბერნს“? შემდეგ ის მუქთახორობის მექაში, გლაზგოს „აიბროქსზე“ მოეწყო სუპერსკაუტად და იქვე დაუპირეს მენეჯერად დანიშნვა. ამ დროს თვალსეედიანმა კევინ კიგანმა „ნიუკასლი“ მიატოვა და დალგლიშიც „სენტ ჯეიმსზე“ გადავიდა მენეჯერად.

აბაო, ხელები მოიფშვნიტა ფეხბურთის მოყვარე საზოგადოებამ, გამორჩევით კი ჯორდი პროლეტარიატმა. ახლა მოხდება, რაც მოხდებაო, ჩვენი მარად მეორე „ნიუკასლი“ რანერ-აფობას აღარ დასჯერდება, პირდაპირ ქარლინგ ჩემპიონი გახდებაო. ბედის ირონიით და დალგლიშის ყისმათიანობით, „ნიუკასლი“ მეორეზე გავიდა, თუმცა, სამარცხვინოდ განიდევნა უეფას თასიდან მონგესაკთა მიერ.

შარშან გაზაფხულზევე ცხადი შეიქნა — „ნიუკასლის“ თამაშიდან ფიქრი გაქრა. ფიქრი აბგაში ჩადო კიგანმა და ლონდონში, ფულემის უბანში წაიღო.

საბრალო კიტ გილესპი! თავისი არაადამიანური სისწრაფით მიჰყვება ფრთას თავისი საჯარიმოდან მოწინააღმდეგის საჯარიმომდე, დაჰკიდებს და იქ კი ვინმემ უნდა ივაჟკაცოს. თუ შირერს ფეხი არა აქვს მოტეხილი (და შირერს, თითქმის ყოველთვის ფეხი აქვს მოტეხილი), მაშინ ასპრილია უნდა ახტეს, ოღონდ ძირითადად, ასპრილიას კოჭი სტკივა და ვერ თამაშობს, ამიტომ უნდა ახტეს საბრალო ჯონ ბერესფორდი და თავი დასცხოს ბურთს. არის კიდევ ერთი ვარიანტი: 81-ე წუთზე უნდა გამოვიდეს თემურ ქეცბაია და 90-ეზე მხსნელი ბურთი შეაგდოს. მაგრამ დალგლიში ფრთხილი კაცია და ამას იშვიათად აკეთებს. შუა მოედანში რობ ლიმ და დეივ ბეტიმ უნდა იტრიალონ და თავიანთი ზღვარგადასული ჯიგრით მოახერხონ წარმატებული ხმალაობა. სადღაც წინ იონ დალ ტომასონი ისეირნებს და არაფრისმთქმელი თვალების ცეცებით მოწინააღმდეგეს დააბნევს. სადღაც უკან,



დალგლიში: ვითომ ფიქრობს

ფილიპ ალბერი დააბოტებს, ხან მოიპარსავს ულვაშს, ხან მოუშვებს. კარში შეი გივენი რომ ჩაისვრის, შაკა ჰისლოპი ჩადგება. შაკა რომ ვერ ივარგებს, შეი ჩადგება და ასეა. მოკლედ, მიდის და მიბურთაობს ჯორდების გუნდი, თვიდან თვემდე და თამაშიდან თამაშამდე.

ალალბედი გოლები და საკვირველი იღბალი.

პრინციპში, დალგლიში კმაყოფილი ჩანს. პრინციპში, ის არც არის მენეჯერი. ის საშუამავლო ფირმის თავკაცს უფრო ჰგავს. ინგლისში იმთავითვე ცნობილია, დალგლიშის ახირებული სატრანსფერო პოლიტიკა. ხუმრობენ, კაცი თუ ოცდაათს არ გადასცდა, დალგლიში არ იყიდისო.

და აი ახლა, ისმინეთ საქმენი ამ კაცისა: შირერი მყავსო და „ტოტენჰემში“ ყიდის ლეს ფერდინანდს, შირერი, რა თქმა უნდა, ფეხს მოიტეხს. ამიტომ ძირითადში გამოჩნდება დალ ტომასონი და გუნდი მუშაობს წაგებაზე, თუმცა კლუბი მუშაობს მოგებაზე. ყოველთვის ასეა, როცა კარგს ყიდი და ცუდს ყიდულობ. ამ ზამთარსაც, „პარმაში“ ყიდიან ტინო ასპრილიას, ვინც შემოდგომაზე ზურგით ათრევდა გუნდს და „მილანიდან“ მოჰყავთ ანდრეას ანდერსონი. ძნელია იპოვო კაცი, ვინც ამას საფეხბურთო მხრივ გაამართლებს. ფულის ამბავში კი, იცოცხლე, ეს კაცი უფრო ფართლეულის საბითუმო ფირმის მენეჯერი უნდა იყოს, ვიდრე საფეხბურთო კლუბებისა.

და ძმაკაცების ამბავი? ხომ იცით, ვინ ჩარიცხა დალგლიშმა კლუბში — სტიაურტ პირსი, ჯონ ბარნსი და იან რაში. ეს საუკუნო ხრონწები, 80-იანი წლების ვარსკვლავები. მე პირადად არ მიხარია, როცა ბარნსს გოლები გააქვს. ის უჯიგრესი კაცი და ფეხბურთელია, მაგრამ მოედანზე დადის. დადის და თავისი კოლოსალური გამოცდილებით რაღაცეებს ახერხებს პატარა კლუბებთან. პირსიც გამოვა ათ თამაშში ერთხელ და დაარტყამს იმ თავის განთქმულ ჯარიმას. კაცი შარშანწინ მწვრთნელი იყო და წელს ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე გუნდში არ გაჩნდა? როცა იან რაში „ენფილდიდან“ გააცილეს, ეს საოცრად დრამატული, ტკივილიანი მოვლენა იყო. დღევანდელი რაში კომედიაა, ბარნსიცა და რაშიც დალგლიშის ძველი ყონაღები არიან. „ლივერპულის“ სამოსში ერთად უთელიათ მსოფლიოს მინდვრები, მაგრამ დღეს რა გამოდის აქედან? გამოდის ჩვენებური ქალაქური ამბავი, ძმაკაცი სამსახურში გავაფორმე, პენსიაზე გასვლა უჭირდაო.

ის უბედური ჯონ ბერესფორდი კი მოდის და მოქშინავს თავისი საჯარიმოდან, რათა თავი დაჰკრას ბურთს და „ნიუკასლი“ გადაარჩინოს. დალგლიშს ბავშვივით უხარია მოწინააღმდეგის კარში გატანილი ყოველი გოლი. გასაკვირი არ არის — არაფრიდან გოლები ჩნდება და კაცს აღარც გაუხარდეს?

ასეთია დალგლიშის „ნიუკასლი“, პრემიერლიგის შუაგულში გაჩიდული გუნდი, რომელიც შეგვიყვარდა და რომელიც ხელებს გვაფშვნეტინებდა. მაგრამ სად დალგლიშის მწვრთნელობა და სად რაიმე საინტერესო? ესენი ერთმანეთს მოშორებული რამეებია. აი, დალგლიშს რომ მოედანზე გასვლა შეეძლოს, საქმე უკეთესად იქნებოდა. ბარნსის და რაშის დონეზე კი უნდა შეძლოს თამაში, სულ სამი-ოთხი წლით თუ იქნება ამათზე უფროსი. დალგლიში-ფეხბურთელი ხომ ვარსკვლავი იყო. მოთამაშე-მწვრთნელობისასაც, ვითომ არა უშავდა, არაერთი სიხარული განიცადა. აქ კი, დაჯდა და ფულის კეთებას მიჰყო ხელი.

განა „ნიუკასლს“ ამბიცია დარჩა? სერ ჯონ ჰოლმაც კი მიატოვა თავისი აშენებული გუნდი.

აი, აქ კი გვახსენდება მოკლე ხელებისა და ღრმა ჯიბეების ამბავი. სქოთი თავისას აკეთებს, ის „ნიუკასლი“ კი ცოტა რომ აკლდა იქამდე, მართლა კარგი და დაუვიწყარი გუნდი გამხდარიყო, აღარ არსებობს. არის რაღაც გუნდი და მენეჯერი, რომელსაც არავინ იცის, რა ამოძრავებს.

ჩვენი ბედი კი რა ვთქვით, კაცი გუნდში გავუშვით და სუპერმარკეტში კი მოხვდა. ამ სეზონში „ნიუკასლის“ მთავარი მიღწევა ხომ მომგებიანი ყიდვა-გაყიდვაა.

პატარა „სთივენეიჯიც“ კი ძნელი დასაძლევია. მაგრამ, მაგრამ, თქვენ არ იცნობთ დალგლიშს. არ არსებობს მეორე ასეთი ყისმათიანი კაცი. ხომ გახსოვთ, შარშანაც როგორ მოიგო ჩემპიონთა ლიგის საგზური, რაც შემოსავლის გაზრდის კიდევ ერთი საშუალებაა? რაღაცას მაინც გამოსტყუებს ბედს. აგერ ნახავთ, თუ არა.

მაგრამ განა ეს ფეხბურთია?

უბედურებაა, როცა კლუბზე ლაპარაკისას ტრანსფერები და ფინანსური დავთრები უფრო საინტერესო ხდება, ვიდრე ამ კლუბის თამაში.

მაგრამ, რას გაუგებ სქოთებს? მათ ხომ მოკლე ხელები და ღრმა ჯიბეები აქვთ.

**ყველაფერი დაწერა ირაკლი გამყრელიძემ**



კიგანის დროება: ფილიპ ალბერმა მეხუთე გაუტანა „მანჩესტერს“

## ფანის ბლოკნოტიდან — ლექსები



ფანი: მე თქვენ ჯიგარს დავხევ

ინტერნეტში ბოდიალისას კაცი რას არ აღმოაჩენს. გამორჩევით კი, ფეხბურთის მოყვარული. ერთმა ასეთმა კაცმა „სოკერნეტში“ გაინავარდა და ამასწინათ საჩუქარიც მომიძღვნა, ლონდონური კლუბის „ფულემის“ სონგბუქი, ანუ ფანური სიმღერების კრებული.

აბა, ეს არის თუ არის! „ფულემი“, რომელსაც პატრონად მილიარდერი მუჰამედ ალ ფაიედი ჰყავს და დირექტორად კევინ კიგანი, მეორე დივიზიონის შუაში გაჩხერილი გუნდია. ის ლონდონის სამხრეთში ბურთაობს და ერთგული ქომაგები ჰყავს, რომელთა შორისაც კინოვარსკვლავი ჰიუ გრანტიც კი ურევია. ფანების რამბაზე სხვა დროს მოვისაუბროთ, დღეს კი გეტყვით, რომ „ფულემ სონგბუქის“ სახალხოდ გამოქვეყნება იმთავითვე მომინდა. ოღონდ, გულდასმით რომ წავიკითხე, მივხვდი, გიყმაჲ ფანთა პოეზიის სახალხო სამსჯავროზე გამოტანა მეტად საძნელო საქმე ყოფილა.

მთავარი მიზეზი ერთია: არასაგაზეთო სიტყვები და საგინებელი რითმები, ე.ი. ის, რაც ყოველ გულშემატკივარს წამოუსროლია სტადიონზე, ოღონდ, ლექსათა.

ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, ორიოდ სასიმღერო შაირი მაინც ამოვარჩიე, რომლების გასარითმადაც თავი არ მომიკლავს და შედარებით ნაკლები უზრდელობების გამო ქვემოთ გთავაზობთ. ხომ უნდა ვიცოდეთ ჩვენს შორეულ თანამოსაქმეთა სიმღერები? აი, ესენიც:

„ფულემი“ „ბრენტფორდს“ ეთამაშება:
**One man went to war... WAR!**
ერთი კაცი მიდის ომში... ომში!
**Went to war with Brentford... Shit!**
ეომება ბრენტფორდს... მძ...რს!
**One man with baseball bat!**
ხულ კეტს ურტყამს თავში
**Went to war with Brentforord!**
იმ უბედურ ბრენტფორდს!

„ფულემის“ განსაკუთრებულ ზიზღს იმსახურებს კარის მეზობელი „ჩელსი“, რომელსაც სახელი და დიდება რგებია ფულემელთაგან განსხვავებით. ამიტომაც:

**When the circus comes to town,**
როცა ქალაქში ცირკი მოგვივა,
**Rudi Gullit is a clawn...**
მთავარ ჯამბაზად რუდ გულიტია...
ან
**We all piss in Blue and white pot**
ჩვენ ყველამ ჩავაფსით ლურჯ-თეთრ
(ჩელსის ფერებია) ქოთანში,
**and you not? and you not?**
და თქვენ კი არა? და თქვენ კი არა?
ან
**Stemford bridge is falling dawn.**
დაინგრევა სტემფორდ ბრიჯი
(ჩელსის მოედანი)
**falling down, falling dawn,**
დაინგრევა, დაინგრევა,
**Poor old Chelsea,**
ეჰ, საბრალო ბერიკაცი ჩელსი!
**Build it up with black and white**
ავაშენებთ მას შავ-თეთრად
(ფულემის ფერები)
**Poor old Chelsea.**
ეჰ, საბრალო ბერიკაცი ჩელსი!

ეჰ და ეჰ, ფანთა ენის სიბილწე ხომ ცნობილია, ლექსადაც კი, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე. ფულემელებს აქვთ ერთი სიმღერა, რომელიც „იუ არ მაი სანშაინის“ ჰანგზე იმღერება (საერთოდ, ყველა სიმღერა რაღაც განთქმულ ჰანგზე, ვთქვათ, „იელოუ საბმარინზე“ იმღერება) და რომელიც სიყვარულზეა:

**Yon are my falham, my only fulham,**
შენა ხარ ჩემი, ჩემი ერთადერთი
გუნდი, ფულემი,
**Yau make me happy when skies**
**are grey,**
შენ თუ მახარებ ამ ჯანღიან ცის ქვეშ,
**You'll newer notice how much**
**I love you,**
შენ ვერც გაიგებ, რარიგ მიყვარხარ,
**Untill you've take my fullham away!**
ხანამ არ წამართმევ ჩემს
საყვარელ ფულემს!
**Da, da, da, da, OOH,**
**Da, da, da, da, OOH,**
**Der, Rer, Der, Der Clap!!!**

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „არსენალის“ მცველებმა სტივ ბოულდმა და ნაიჯელ უინტერბერნმა ლონდონურ კლუბთან ახალი კონტრაქტები გააფორმეს. ეს წყვილი 10 წელიწადზე მეტია „მეთოფეა“. „არსენალის“ ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა 35 წლის ბოულდს და 34 წლის უინტერბერნს უმაღლესი დონის ფეხბურთელები და პროფესიონალები უწოდა. უინტერბერნმა, მიმდინარე სეზონში გუნდის ყველა შეხვედრაში რომ მიიღო მონაწილეობა, განაცხადა: „ახალი ხელშეკრულება საშუალებას მაძლევს, ჩემი კარიერა ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს კლუბში დავამთავრო“. რაც შეეხება „ბლეკბერნ როვერსს“, მან 2,9 მილიონ დოლარად „სენტ ჯონსტონიდან“ მცველი კოლუმ დევიდსონი შეიძინა. დევიდსონი ახალგაზრდა მოთამაშეა, რომელსაც შოტლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებში აქვს ნათამაშევი და ინგლისური პრემიერლიგის სხვა გუნდებიც სთავაზობდნენ მათთან გადასვლას.

**უნგრულმა** „შოფოკ ბანიაშმა“ ბრაზილიური „პარანასგან“ სამი ფეხბურთელი „ისესხა“ სეზონის ბოლომდე. მათი სახელებია: გუგუ, ტატო და რექისი.

**საუდეთის** ბრაზილიელმა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ, ვინც ოთხი წლის წინ ბრაზილია მეოთხედ გახადა მსოფლიოს ჩემპიონი, 22 თებერვალს გერმანელებთან ამხანაგურად სათამაშოდ ერთწლიანი შესვენების შემდეგ ნაკრებში კვლავ გამოიძახა ნახევარმცველი ფეიდ ანვარი, რომელიც ამჟამად „ალ ჩაბაბში“ თამაშობს. სხვათა შორის, ანვარს ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზეც უთამაშია.

**ირლანდიელებს** იამაიკასთან ამხანაგური თამაშის გამართვა ლონდონში სურდათ, რადგან მატჩის დღეს, 21 მარტს, მათი უპირველესი სტადიონი „ლენსდაუნ როუდი“ რაგბში ხუთი ერის პირველობის მატჩს მასპინძლობს ირლანდიელებსა და უელსს შორის. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ირლანდიელების თხოვნა არ დააკმაყოფილა და მატჩი იქნებ აღარც შედგეს.

**შოტლანდიის** კლუბ „ჰიბერნიანის“ მქვრთნელად დაინიშნა „მოზერველის“ თავკაცი და „აბერდინის“ ყოფილი ნახევარმცველი ალექს მაკლიში. „ჰიბერნიანმა“, რომელსაც 23 მატჩიდან 4 მოგებით ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ადგილზეა, 2 თებერვალს მწვრთნელი ჯიმ დაფი გაათავისუფლა.

**ჰოლანდიის** „ეინდჰოვენმა“ შესაძლოა მწვრთნელი გამოიცვალოს. კლუბის თავკაც დიკ ადვოკაატს მართალია კონტრაქტი 1999 წლის ივლისში უმთავრდება, მაგრამ მოსალოდნელია, „გლაზგო რეინჯერსის“ წინადადებას დასთანხმდეს და სქოთური კლუბი გაწვრთნას. რაც შეეხება ადვოკაატის შესაძლო შემცვლელს, იგი „ეინდჰოვენის“ ყოფილი ფეხბურთელი, ბელგიელი ერიკ გერეტსია, რომელმაც გასულ სეზონში „ლიერსი“ ბელგიის ჩემპიონი გახადა, ახლა კი „ბრიუგეს“ წვრთნის და გუნდი 15 ქულით უსწრებს მდევარს. გერეტსაც, ადვოკაატის დარად, კონტრაქტი 1999 წლის ივლისში უმთავრდება. „ბრიუგეს“ დირექტორმა ანტონ ვენჰოვმა განაცხადა, ეინდჰოვენელები უკვე შეგვეხმიანნენ და მთხოვეს, გერეტსს ჰოლანდიაში მუშაობის უფლება მივცეთო.

**ბრაზილიაში** პელეს წყალობით კლუბებს შანსი მიეცათ, გაკოტრებას გადაურჩნენ — მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულმა პელემ იმდენი უჩიჩინა ბრაზილიის პრეზიდენტს ფერნანდო ენრიკე კარდოზოს, გუნდებს მიეხედოთო, რომ ქვეყნის თავკაცმაც ყურად იღო და უკვე შემუშავდა კანონი, რომლის ძალითაც გუნდებს სააქციო საზოგადოებად გადაკეთების უფლება მიეცათ. ამავდროულად მათ შეეძლებათ თავიანთი მოსახელე გუნდებს შორის მინი ჩემპიონატებიც მოაწყონ.

**ინგლისის** პრემიერლიგის კლუბმა „უიმბლდონმა“, რომელსაც საკუთარი სტადიონი არ გააჩნია, მაგრამ მის შეხვედრებს მუდმივად ესწრება კლუბის 15 ათასი გულშემატკივარი, გადაწყვიტა, ირლანდიის ქალაქ დუბლინში გადაბარგდეს. ლონდონელებმა, რომელნიც ჯერჯერობით „კრისტალ პალასის“ სტადიონ „სელჰარსტ პარკს“ არიან შეხიზნულნი, დუბლინში გადაბარგება კი მოიწადინეს, მაგრამ ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელმა ბერნარდ ობრაიენმა განაცხადა, ამას არ დავუშვებთ და თუ საჭიროა, ყველა სასამართლოში ვიბრძოლებთ, მათ შორის ევროკავშირისაშიცაო. ობრაიენმა ისიც დასძინა, „უიმბლდონის“ განზრახვის საპროტესტოდ პრემიერლიგის ყველა გუნდს და ფეხბურთის ასოციაციას ხუთფურცლიანი წერილი გავუგზავნეო.

**რუმინეთის** ყველაზე ტიტულოვანი გუნდის, ბუქარესტის „სტიაუას“ პრეზიდენტი მარსელ პუშკაში გადააყენეს. პუშკაში, რომელიც „სტიაუაში“ 70-იან წლებში თამაშობდა, პრეზიდენტად გასულ წელს დაინიშნა, მაგრამ შემდეგ მან გუნდის სააქციო საზოგადოებად გადაქცევა მოინდომა, „სტიაუას“ კურატორმა რუმინეთის არმიამ კი ეს არ დაუშვა და გართულებების თავიდან აცილების მიზნით პუშკაში გაათავისუფლა. ისე, პრეზიდენტს ფეხბურთის ფედერაციაც ემტერებოდა, რადგან მან ქვეყნის ფეხბურთის მამებს კორუფციაში დასდო ბრალი.

**თურქეთის** თასის მეოთხედფინალის განმეორებითი მატჩები გაიმართა სამშაბათს და ოთხშაბათს. ოთხი წყვილიდან სამმა ნახევარფინალისტთა ვინაობა გაარკვია, ტრაბზონში „ტრაბზონსპორის“ და „ფენერბაჰჩეს“ შეხვედრა კი შეწყდა მას შემდეგ, რაც სტუმრები 1:0 იგებდნენ. მასპინძელთა გულშემატკივრებმა „ფენერბაჰჩეს“ ფეხბურთელებს ქვები და სკამის ნატეხები დაუშინეს, კლუბის მწვრთნელს, ხორვატ ოტო ბარიჩს კი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა დასჭირდა მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი სტუმართმოყვარე ტრაბზონელის ქვა მოხვდა თავში. პირველი შეხვედრა „ფენერბაჰჩემ“ 2:1 მოიგო, განმეორებითი მატჩი როდის შედგება, ცნობილი დღესდღეობით არ არის. სხვა შეხვედრები ასე დასრულდა: გაზიანთეპი — გალათასარაი 1:0 (პირველი მატჩი 0:2), ისტამბული — ბეშიქთაში 0:2 (0:2), ქოჩაელი — ბურსა 1:1 (2:1).

**რუმინელთა** მწვრთნელმა ანგელ იორადანესკუმ გადაწყვიტა, ნაკრებს არგენტინაში გაჰყვეს მასპინძლებთან ამხანაგურ მატჩში სათამაშოდ. რუმინელები, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებთან საპაექროდ მხოლოდ რუმინეთის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები მიდიან, იორდანესკუც არ აპირებდა წასვლას, მაგრამ ახლა აზრი შეიცვალა. არგენტინა — რუმინეთის შეხვედრა 19 თებერვალს გაიმართება მენდოსაში.

**რუმინელი** თავდამსხმელი ჯიკა კრაიოვიანუ, რომლის თაობაზეც ხმები დადიოდა სეზონის ბოლოს „სოსიედადის“ დატოვებას აპირებსო, კვლავ გუნდში დარჩება. 30 წლის ფორვარდმა ესპანურ კლუბთან კიდევ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი.

**კოლუმბიელი** თავდამსხმელი ჰამილტონ რიკარდი, რომელსაც ნაკრებში ნათამაშევ 17 მატჩში ხუთი გოლი გაუტანია, ამიერიდან ინგლისის პირველი დივიზიონის ერთ-ერთ ლიდერ „მიდლსბროში“ ითამაშებს. 24 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც „დეპორტივო კალის“ შემადგენლობაში ნათამაშევ 160 მატჩში 77 გოლი გაუტანია, გასულ სეზონში ასოციაციის და ლიგის თასის ფინალებში ძლეულ „მიდლსბროსთან“ ოთხწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. ინგლისელებს კოლუმბიელის გადაბირება სამი მილიონი დოლარი დაუჯდათ.

**ბელგიის ჩემპიონატის აუტსაიდერ „ანტვერპენს“ ქვეყნის თასის გათამაშების მეოთხედფინალში „მუსკრონთან“ 0:5 დამარცხებისთვის გულშემატკივრებმა ქვები დაუშინეს. ფანების თავდასხმის შედეგად კლუბის რამდენიმე მოთამაშე და სხვა პიროვნება დაშავდა. პოლიციამ ხუთი ხულიგნის დაკავება შეძლო.**

**აშშ-ის** საუკეთესო მოთამაშედ ცნეს 24 წლის მცველი ედი პოპი, რომელიც ქვეყნის ნაკრების ფეხბურთელიცაა. პოპი, რომელიც აშშ-ს მეჯორ ლიგის ორგზის ჩემპიონ „ვაშინგტონ იუნაიტედში“ ბურთაობს, პირველ ადგილზე 169 სპორტულმა ჟურნალისტმა დაასახელა. გამარჯვებულს მცირედით ჩამორჩა ბუნდესლიგის „ვოლფსბურგში“ [illegible] კლაუდიო რეინა, მესამე კი პრემიერლიგის „ლესტერის“ მეკარე კეისი კელერი იყო.



# მარადჟამს მებრძოლი და დამაშვრალი



**ირაკლი კიზირია ახლაც ძველებური ენთუზიაზმით მოირგებს ხოლმე მორაგბის კვართს ვეტერანთა შეხვედრებისას**

უკვე ცნობილი ამბავია: ქართველები ყოველგვარ სიახლეს ინტერესით ვეკიდებით და ყველაფერს, რაც ჩვენს ხასიათსა და ზნეს მოერგება, მალე ვგუობთ. ეს სპორტზეც ითქმის. არაერთი სახეობა, ჩვენში ახალგამოჩენილი, უმალვე შეგვისისხლხორცებია და საერთაშორისო სარბიელზე მის ფუძემდებელს ღირსეულად შევპაექრებივართ.

რაგბმა 50-იანი წლების მიწურულსღა შემოაღწია საბჭოთა კავშირში, მაშინ, როცა მთელ ევროპას უკვე დაეგემოვნებინა ეს ბურთაობა. აბა უქართველებოდ ახალი და ხეირიანი საქმე როგორ იქნებაო, იფიქრა იმ დროს მოსკოველმა სტუდენტმა გივი მრელაშვილმა და ანატოლი სოროკინსა და სხვა ჩრდილოელ უცხო ხილთა მოტრფიალეთ მხარში ამოუდგა, რაგბის საიდუმლოს ეზიარა და თავადაც დაიწყო თამაში. რუსეთის მოყინულ მინდვრებზე სირბილი რომ მობეზრდა, მზიურ სამშობლოს მოაშურა გივიმ და გადაწყვიტა, უცხოეთში ნაშოვნი ცოდნა და გამოცდილება თანამემამულეთათვის გაეზიარებინა. თბილისში ჩამოსულ მრელაშვილს ფრანგი ემიგრანტი ჟაკ ასპეკიანი დახვდა. ასპეკიანს სამშობლოში უკვე მოესწრო რაგბის შესწავლა და პირველი ქართული სარაგბო გუნდის ჩამოყალიბებასაც შედგომოდა. მრელაშვილი ამ დროს ამოუდგა მხარში ასპეკიანს და ორივემ იტვირთეს იმ მძიმე უღლის გაწევა, რომლის დაღიც დღემდე ეტყობა ქართულ რაგბს.

რაგბის თამაშს მორაგბენი ჭირდება. ასპეკიანმა და მრელაშვილმა თბილისში ჯანმაგარ და სიახლისმოყვარულ ჭაბუკებს დაუწყეს ძებნა. შეკრების ეს ხალხი და გუნდიც დააარსეს. ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და ამგვარად მოიკიდა რაგბმა ფეხი თბილისში.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ირაკლი კიზირია ბავშვობიდან ეთაყვანებოდა სპორტს. ჯერ ფეხბურთს მისდევდა, შემდეგ ჰოკეიმ გაიტაცა და ზამთარში ბაკურიანში უწევდა წასვლა შაიბის გასაგორებლად, მაგრამ გამორჩეულად მაინც ხელბურთი უყვარდა. მაშინდელ პოლიტექნიკურ ინსტიტუტს ხელბურთელთა საუცხოო გუნდი ჰყავდა — ჯემალ აბაიშვილს გვერდს უმშვენებდნენ ჯანო ბაგრატიონი, გუდა ზარდალიშვილი, ირაკლი კიზირია... ერთ დღესაც „გეპეის“ II კურსის სტუდენტი თავისი ინსტიტუტის მორაგბეთა გუნდის ვარჯიშს შეესწრო. ოვალური ბურთის ხელის შევლება ისე მოუნდა, ველარ მოითმინა და ღონიერ მორაგბეებში გაერია. ეს დღე იყო და ეს, მას შემდეგ ირაკლი კიზირიას სპორტის სხვა სახეობისკენ არც გაუხედავს. ხელბურთის, ფეხბურთის, ჰოკეის ქომაგად კი დარჩა, მაგრამ პირველ საქმედ და ცხოვრების მიზნად კი რაგბი და სარაგბო საქმეში წარმატების მიღწევა დაისახა.

„მაშინ მორაგბეებს ალმაცერად გვიცქეროდნენ“, იგონებს ბატონი ირაკლი. „სპორტის ქომაგებს ეხამუშებოდათ, როცა მორაგბენი ფეხბურთის მოედანს შევესეოდით ხოლმე და ბურთაობას გავაჩაღებდით. ხულიგნების თამაშიაო რაგბი — გაიძახოდნენ უმეცარი თბილისელები და ყველა ფეხბურთს ქომაგობდა, რაგბის საზიანოდ. მაგრამ მალე გაირკვა, რომ ასე არ იყო“.

ირაკლი კიზირიამ მალე დაიმკვიდრა ადგილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის მორაგბეთა შორის და წამყვანი მოთამაშეც გახდა. გუნდს მწვრთნელიც შესაშური ჰყავდა — ოთარ დოლიძემ მალე აუღო ალღო რაგბს და შესანიშნავი გუნდიც შექმნა, სადაც ირაკლი კიზირიას გარდა ნოდარ ყიფიანი, გოგი ტონია, ტარიელ ნებიერიძე, ზაურ მგელაძე, მიკა კვინიხიძე და ოვალური ბურთის სხვა ოსტატები ბრწყინავდნენ. იმ დროისთვის, 1962 წელს, თბილისში უკვე მომრავლებულიყო გუნდები და პირველობის გამართვაც შესაძლებელი გახდა. მაშინ ამ სახეობას პროფკავშირები მფარველობდნენ და პირველი საშინაო ტურნირებიც მათი ეგიდით ჩატარდა. 1963 წელს პროფკავშირებმა საკავშირო ჩემპიონატიც გამართა. მოსკოვის, ლენინგრადის, რიგის, ოდესისა და თბილისის გუნდებმა თბილისში მოიყარეს თავი. თბილისელმა მორაგბეებმა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ სახელით იასპარეზეს. „განთიადმა“ ტოლი არ დაუდო თავისზე გამოცდილ მეტოქეებს და მე-3 ადგილი დაიკავა. ეს იყო ირაკლი კიზირიას პირველი სარაგბო წარმატება, ქართული რაგბის პირველი გამარჯვება.

მალე ირაკლი კიზირია თბილისის „დინამოში“ გადავიდა. აქაც უმალ მოიკიდა ფეხი უბადლო ტალანტმა. განუმეორებელმა ათმა ნომერმა ტექნიკური და უზადო თამაშით ქვეყანა აალაპარაკა. გამორჩეული სტილი ჰქონდა ბატონ ირაკლის და ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო. მის ოსტატობას ვერც საბჭოთა რაგბის ფუძემდებელმა სოროკინმა აუარა გვერდი და მაშინდელ სპორტულ პრესაში დაწერა: „რაგბი ჩვენთვის შედარებით ახალი ხილია, ევროპაში კი მას კარგა ხანია თამაშობენ. ირაკლი კიზირიას დიდი შანსი აქვს გვერდში ამოუდგეს ევროპაში ცნობილ რაგბისტებს. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, მას კონტინენტის ნებისმიერ საუკეთესო გუნდში მივუჩენდი ადგილს“.

ეს სიტყვები 1964 წელს ითქვა, როცა ირაკლი კიზირიას სარაგბო კარიერა ორიოდ წელიწადს ძლივს ითვლიდა...

ახლა თავად „ევროპული სტილის“ მორაგბეს მოვუსმინოთ:

„1966 წელს საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატი ჩატარდა, პროფკავშირების პირველობის დარად ისიც თბილისში გაიმართა, რაც მრელაშვილის დამსახურება იყო. თბილისის „დინამოსა“ და „ლოკომოტივს“ ეწვივნენ მოსკოვის ბაუმანის სახელობის ტექნიკური სასწავლებლის, ლენინგრადის, კიევისა და მოსკოვის გუნდები. „დინამომ“ საუცხოოდ იასპარეზა, ერთადერთი თამაში წავაგეთ მოსკოველ სტუდენტებთან 3:5 და მეორე ადგილი დავიკავეთ. ჩინებული გუნდი იყო: ნუგზარ ენდელაძე, რომა ლვინიაშვილი, მურიკო თოფურიძე, მიკა კვინიხიძე... ამგვარი სპორტსმენების გვერდით ბურთაობა მართლაც ბედნიერება იყო.

**— ბატონო ირაკლი, ამბობენ, მორაგბენი სპორტის სხვა სახეობების მიმდევართაგან გამორჩეული ხალხიაო. არათუ ამბობენ, ამაში თავადაც ბევრჯერ დავრწმუნებულვარ. არაერთი მორაგბისთვის მკითხავს და თქვენი აზრიც მაინტერესებს — რა არის ამ განსაკუთრებულობის მიზეზი?**

— მორაგბეებს რატომღაც ხულიგნებს გვიწოდებდნენ. ისინი, ვისაც ხულიგნებად მივაჩნდით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას შეგვხვედრია და თავიანთი ნათქვამი თავადვე შერცხვენია. რის ხულიგნები, თქვენზე ჯიგრიანი, განათლებული და გამტანი ხალხი არ გვეგულება, ბოდიში ბიჭებოო — სინანულით უთქვამთ. ეს ასეა, სხვა რას გეტყოდათ, არ ვიცი, მე ჩემსას გეტყვით: ჯერ ერთი, ჩემი თაობის რაგბი, ფაქტობრივად, სტუდენტური რაგბი იყო, ბავშვთა სკოლები მაშინ არ არსებობდა, ამიტომ რაგბში უკვე ჩამოყალიბებული კაცები, სტუდენტები მოდიოდნენ. ეს ხალხი განათლებული, მცოდნე, საზოგადოებაში გამოსული იყო და ცხოვრების წესებსაც მეტ-ნაკლებად იცნობდა. ამიტომ მიმაჩნია, რომ მაშინდელი მორაგბეები განსაკუთრებით ერუდირებულნი იყვნენ. მათ ერთმანეთის გატანაც და მეგობრობაც სხვაგვარი იცოდნენ. ამის მიზეზსაც მოგახსენებთ: წარმატება და წარუმატებლობა სპორტის არც ერთ სახეობაში არ არის დამოკიდებული ისე გუნდზე, როგორც რაგბში. აქ რა დონის ინდივიდუალისტიც უნდა გყავდეს, ერთი კაცი მატჩს ვერ მოიგებს, გუნდი მუდამ შეკრულია, ყველა თავის საქმეს აკეთებს — საგუნდო და საერთო საქმეს. ამან მორაგბეებს გამტანობა და მეგობრობა ასწავლა და ეს იქცა მათი ცხოვრების წესად. ერთიც: ამბობენ, მორაგბენი [illegible] და [illegible], აბა, სხვაგვარად როგორ იქნება. ვარჯიში ისე არ ჩაივლის, მორაგბემ ტრავმა არ მიიღოს, არ დაიჟეჟოს, არ დაიმტვრეს ან სისხლი არ დაედინოს. თანაგუნდელებთან ვარჯიშზე რომ ასეთ დღეში ხარ, წარმოიდგინეთ, მეტოქესთან, მით უმეტეს, უცხოტომელთან პაექრობისას რამხელა ამტანობა და ძალისხმევა ჭირდება მორაგბეს.

**— დღევანდელ მორაგბეებსაც თუ გამოყვათ წინამორბედთა საუკეთესო თვისებები?**

— ერთი რამ მახარებს. თითქოს წესად იქცა, ერთხელ თუ რაგბი ითამაშე, ველარ შეეშვები, ბოლომდე უერთგულებ მას და თამაშსაც რომ თავი დაანებო, რაღაც უჩინარი ძალა ანდამატივით გიზიდავს სტადიონისკენ. ჩემი შემდგომი და ახლანდელი თაობაც ასეა. ფაქტობრივად, საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე მაყურებელთა უმეტესობა ყოფილი მორაგბენი ვართ. ბიჭებს ყველა ტრადიციული თვისება გამოჰყვათ, მეტიც, ძველებისგან განსხვავებით, მათ ამ თვისებათა შენარჩუნება უარეს პირობებში მოუწიათ, ჩვენზე მეტი გაჭირვება და სიდუხჭირე ნახეს, აფხაზეთშიც ვაჟკაცურად იომეს, ბევრმა თავიც შესწირა სამშობლოს, მაგრამ სულით არ დაცემულა. ბიჭებმა ზნე შეინარჩუნეს და ახლაც თამამად აგოგმანებენ ოვალურ ბურთს.

**— რაგბის დიდოსტატი ვის გამოარჩევდით დღევანდელი მორაგბეებიდან?**

— ლევან ცაბაძეს, გია რაფავას, დიმა ობოლაძეს, მერაბ ბესელიას, შოთა მოდებაძეს... ყველას ვერ ვიხსენებ. ეს ბიჭებიცა და სხვებიც მართლაც ჯიგრიან რაგბს თამაშობენ და ნიჭითა და ოსტატობით ბევრ სახელგანთქმულ უცხოელ სპორტსმენს არ ჩამოუვარდებიან.

ირაკლი კიზირიას ყველა სიკეთესთან ერთად ღმერთისგან ერთგულების ნიჭი დაჰყვა. ეს სპორტშიც გამოჩნდა. ბოლომდე უერთგულა თბილისის „დინამოს“, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოეთის არაერთი გუნდი ეპატიჟებოდა: იწვევდნენ და ფუფუნებასა და ხელის გულზე ტარებასაც პირდებოდნენ, მაგრამ ვერ გადაიბირეს, ვერ დაახარბეს... მხოლოდ ერთი წლით დატოვა „დინამო“ და მალე უკანვე დაუბრუნდა. ეს მაშინ, როცა თბილისის „ლოკომოტივს“ გაუჭირდა. აბა, ლოკომოტიველ ძმებს როგორ არ გაექომაგებოდნენ დინამოელი ვაჟკაცები — ირაკლი კიზირია, ვალენტი რაფავა, გენო ლადუა და ზაურ მგელაძე პირველსავე დაძახებაზე მხარში დაუდგნენ ბიჭებს. ეს 1967 წელს მოხდა. მაშინ „ლოკომოტივმა“ პროფკავშირების საკავშირო ჩემპიონატზე მე-2 ადგ[illegible] დაიკავა და „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზეც იმარჯვა.

ერთ რამეზე წყდება გული ბატონ ირაკლის: რაგბს ჩვენში არ ეთმობა სათანადო ყურადღება, მავანთ რაგბი დიდად არ ეპიტნავებათ, არადა, ჩვენი მორაგბეები, თუ ხელშეწყობა ექნებათ, ხვალ-ზეგ მსოფლიოს გააოცებენო, სინანულით მითხრა.

კვიცი გვარზე ხტისო. ბატონი ირაკლის შვილებიც მამის კვალს გაყვნენ: ჯაბამ და თორნიკემ სპორტის მრავალ სახეობას მოუსინჯეს კბილი, მაგრამ ბოლოს ყველა ერთად მოიყირჭეს. ორივე უმცროსი კიზირია რაგბს შეეჭიდა. მამის მაგალითს თუ დავუჯერებთ, ორივეს შესწევს ძალა, რომ დიდი რაგბი ითამაშოს, ჰოდა, ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

წელან ბატონ ირაკლის ერთგულებაზე მოგახსენეთ და ეს არამხოლოდ სპორტსმენ ირაკლი კიზირიას თვისებაა. 33 წლისა დაოჯახდა ბატონი ირაკლი, სამი წელი კიდევ დაყო სარაგბო მოედანზე, მერე კი ახლებური ცხოვრება დაიწყო. პროფესიით ინჟინერ-მშენებელმა თავის საქმეს მიჰყო ხელი. ახლა სიამაყით აცხადებს, რაგბი რომ არც ყოფილიყო, თავმოსაწონებლად ისიც მეყოფა, რომ ჩემი თავკაცობით საქართველოში სამი სოფელი აშენდაო. აბა, იმაზე ქველი რაღა უნდა იყოს, თუ არ უბინაოსთვის ბინის აშენებაა. ამბობს, ცხოვრებაში უსაქმოდ არასდროს ვყოფილვარ, მუდამ საქმეს ვაკეთებდი, ეს ორიოდე კვირაა, შინ ვზივარ და უმოქმედობით ლამის გავგიჟდეო.

ბოლო ხანს მარნეულის რაიონის გამგებლის მოადგილედ მუშაობდა ირაკლი კიზირია, რა თქმა უნდა, ჩვეული მუყაითობითა და ნამუსით უძღვებოდა საქმეს, მაგრამ რატომღაც ამ თანამდებობას ჩამოაცილეს და ამჟამად უმუშევარია. არადა, გონიერი კაცი უქმად როგორ გააჩერებს ისეთ ენერგიულ და ნიჭიერ ადამიანს, როგორიც ირაკლი კიზირიაა.

კაცურად უცხოვრია და ცხოვრობს ბატონი [illegible]რაკლი, ქართული რაგბის ბერმუხა, დღევანდე[illegible] [illegible]ობის მორაგბეთათვის თითით საჩვენებელი კაცი და ცოცხალი ლეგენდა. რაც გააჩნდა, საქვეყნო საქმეს შესწირა — რაგბსა და საქართველოს მშენებლობას, იმხის, კვლავაც ბევრი დამრჩა გასაცემიო. ჩვენც იმის იმედად დავრჩებით, რომ გამოჩნდება ხალხი, ვინც დაასაქმებს კიზირიას მოჭირნახულე მარჯვენას.

**ლევან ჯავახიშვილი**

# ლიდერს ჩემპიონიც ვერ აჩერებს

ვერის ბაღი
საქართველოს მე-7 ჩემპიონატი.
12 თებერვალი

**დინამო 2 104:74 მერანი**

**დინამო 2:** გრძელიშვილი (16), ნოზაძე (7), მეგრელაძე (8), ფხუტური (19), მანველიშვილი (14); ვეფხვაძე (10), მშვილდაძე (4), ხევცურიანი (21), უჩუმბეგაშვილი (5)
**მერანი:** ფაჩულია (17), მარხვაშვილი (7), კეიდია (7), სანიკიძე (14), ჩავლეიშვილი (8); ფანჯიკიძე (2), ჩაჩუა (3), ნათობიძე (8), მარკოიშვილი (4), გეგეშიძე (2), ღვინიაშვილი (2)

**თსუ 108:70 კოლხა**

**თსუ:** ყლენტი (14), გელაშვილი (13), წოწელია (18), ცხვედიანი (14), ნოჟარაძე (13); არსიაშვილი (9), ნიკოლაძე (19), ტატულიშვილი, ქარჩავა (8)
**კოლხა:** თოდუა (2), ქარუმიძე (4), უგრეხელიძე (22), არველაძე (10), ცქიტიშვილი (9); ბერიშვილი (5), ძიძიგური, კვაჭაძე (3), ვაშაკიძე, ქვილითაია (15)

**სტუ 84:77 მაკაბი**

**სტუ:** დ. ბერიშვილი (3), ი. ბერიშვილი (34), სპარსიაშვილი (19), ნოზაძე (11), სუხიშვილი (11); ხარაძე (4), გიგაშვილი (2), ლასარეიშვილი, მაჩაიძე
**მაკაბი:** ენდელაძე (7), ანდღულაძე (25), ფერიაშვილი (19), შველიძე (5), ახალკაცი (18); გოგლიძე, ცაცებაშვილი (3)

სტუ-ს უეჭველად უნდა დაემარცხებინა უშუალო მეტოქე, რათა რვა საუკეთესოში მოხვედრის შანსი დარჩენოდა. მისი საქმე გააიოლა იმანაც, რომ „მაკაბი" ამ მატჩში თავისი ორი წამყვანი კალათბურთელის — ხუხაშვილისა და ტალაბაძის გარეშე გამოვიდა. სტუდენტებმა შეასრულეს პროგრამა-მინიმუმი: უკეთესი სხვაობით მოუგეს მაკაბელებს და ამ ორ გუნდს ერთნაირი ქულები თუ აღმოაჩნდა, პლეი-ოფის შეხვედრებს სტუ ითამაშებს.

13 თებერვალი

**დინამო 94:84 შევარდენი**

**დინამო:** მაისურაძე (8), ნათაძე (4), შანიძე (16), ბეჟანიშვილი (14), ნინიაშვილი (16); ჩიქოვანი (11), თორთლაძე (18), ბერია (5), კილაძე (2)
**შევარდენი:** ორჯონიკიძე (15), კაზანჯიანი (4), ცაგარეიშვილი (3), გიგაური (45), ლვინეფაძე (6); ჩარგეიშვილი (7), არსიაშვილი (4)

ლევან მოსეშვილმა ხოშტარია და შენგელია დაასვენა და მორიგი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, თუმცა შევარდენელთაგან ძალზე კარგად ითამაშა ჩინებულ ფორმაში მყოფმა გიგაურმა.

**სდასუ 127:105 ასკ**

**სდასუ:** ჩერქეზიშვილი (12), ჩხეიძე (11), სანაძე (21), ოთიურიძე (34), დერიუგინი (2); მგალობლიშვილი (15), მუშკუდიანი (21), აბულაძე (7), ახობაძე (2), ნაცვლიშვილი (12), ოქრუაშვილი
**ასკ:** დ. მოისწრაფიშვილი (15), ჭყონია (7), ჩხაიძე (1), თაბუაშვილი (9), მინაშვილი (8); ქართველიშვილი (18), პაპასკირი (19), ნუცუბიძე (12)

არმიელები ამ ჩემპიონატს კარგად ატარებენ, მაგრამ მათ პირველობის მეექვსე გუნდისთვის შეუფერლად სუსტი დაცვა ჰყავთ. ამ მატჩშიც სდასუ-ს გამოცდილმა მოთამაშეებმა სწრაფად მოძებნეს მეტოქის სუსტი ადგილები და უკვე პირველი ნახევარი მოიგეს დიდი ანგარიშით 61:45, მეორე ტაიმის შუაწელს კი სხვაობამ 30 ქულას მიაღწია. აქ თამაზ ოქრუაშვილმა ოთიურიძის გარდა ძირითადის ყველა მოთამაშე დაასვენა და არმიელებმა რამდენადმე შემცირეს სხვაობა — ხუთი წუთით ადრე თხუთმეტ ქულას აგებდნენ 88:103. ოქრუაშვილმა არ გარისკა, მოედანზე დააბრუნა სანაძე, ჩერქეზიშვილი, ჩხეიძე და მათ სრულიად აუღელვებლად მიიყვანეს მატჩი გამარჯვებამდე.

**აზოტი 93:80 ვითა**

**აზოტი:** გაბისონია (14), გოგობერიშვილი (19), ბოისა (25), ბერუაშვილი (5), ჯაფარიძე (25); კიკვიძე (1), გოგოლაძე (4)
**ვითა:** მიქაძე (5), აბრამიძე (13), ორმოცაძე (5), ჩუბინიძე (15), კორძაძე (11); კოკოლიშვილი (15), გაგნიძე (8), ტუღუში

ჩემპიონი ერთპიროვნული ლიდერის წინააღმდეგ — რა თქმა უნდა, მატჩმა ინტერესი გამოიწვია.

დაუმარცხებელმა რუსთაველებმა ისე დაიწყეს თამაში, როგორც ლიდერს ეკადრება. ჯაფარიძემ და გაბისონიამ უმალ ოთხი ქულით დააწინაურეს თავიანთი გუნდი, რასაც მალე კორძაძემ ამდენივეთი უპასუხა. მეექვსე წუთისთვის აბრამიძის ზუსტი საჯარიმოს შემდეგ „ვითა" წინ იყო, მაგრამ ჯაფარიძემ ჯერ გარღვევით და მერე ზუსტი სამქულიანით კვლავ რუსთაველებს მოუპოვა უპირატესობა. მერვე წუთზე დავითულიანის გასვლამ ისევ ჩემპიონი დააწინაურა და როგორც შემდეგ აღმოჩნდა, უკანასკნელადაც. გაბისონიამ, როგორც ყოველთვის, დროულად ჩააგდო სამქულიანი, შემდეგ გოგობერიშვილის ჩინებული გარღვევა და რუსთაველებმა გაიღალეს. მეთორმეტე წუთზე ბოისას ტყორცნის შემდეგ სხვაობა 10 ქულაა. გაგნიძისა და ჩუბინიძის კარგი თამაშის წყალობით ვითელებმა შეამცირეს სხვაობა, ტაიმის ბოლო კი რუსთაველებმა პირწმინდად მოიგეს: ბოისას სამქულიანები, ჯაფარიძისა და გოგობერიშვილის გასვლები ლიდერთა პირველი ტაიმისთვის საკმაოდ უჩვეულო ანგარიშს აფიქსირებს — 48:28 „აზოტის" სასარგებლოდ.


ვლადიმერ ბოისა ვითელთა გარემოცვაში

მეორე ტაიმის დასაწყისში „ვითამ" გააფთრებით შეუტია. რუსთაველები ჩინებულად თამაშობენ დაცვაში და ზედიზედ ოთხჯერ (!) სუფთად უფარებენ მეტოქეს, თუმცა ბოლოს ჩუბინიძე მაინც ათავსებს კალათში. ჯაფარიძე უმალ პასუხობს და კვლავ საუცხოოდ ისვრის შორიდან ბოისა. „აზოტის" შეჩერება შეუძლებელი ხდება და სხვაობა კატასტროფულად იზრდება. მეორე ტაიმის მერვე წუთზე კვლავ ბოისას ზუსტი ტყორცნა და სხვაობა უკვე 26 ქულაა 65:39. გულშემატკივრები იმედგაცრუებულები არიან — დაძაბულ თამაშს ელოდნენ. რუსთაველები ოდნავ მოეშვნენ და ვითელებმაც უიმედო მატჩის შემობრუნება სცადეს. ორჯერ ზედიზედ შედეგიანად ასრულებს გარღვევებს გაგნიძე, წაუვიდა სროლები კოკოლიშვილსაც და სხვაობა ნელ-ნელა მცირდება: მეთორმეტე წუთისთვის 19 ქულა, კიდევ სამ წუთში, კვლავ გაგნიძის გარღვევის შემდეგ — 14, ხოლო მატჩის დასასრულამდე ოთხი წუთით ადრე აბრამიძეს 10 ქულამდე დაჰყავს სხვაობა 63:73. კიდევ ერთ წუთში ვითელებმა ერთი ქულაც ჩამოიკლეს, მაგრამ აქ ისევ ბოისამ გაიბრწყინა — ერთ შეტევაში სამი ქულა მოუტანა თავის გუნდს. „აზოტმა" კვლავ იგდო ხელთ მატჩის სადავეები და გაბისონია, ჯაფარიძე და გოგობერიშვილი ისევ ზრდიან სხვაობას. ვითელებმა ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ ცხადია, დღესდღეობით რუსთაველებს უფრო ძლიერი გუნდი ჰყავთ. „აზოტი" ჩემპიონატში ზედიზედ 23-ე მატჩს იგებს.

**გია აგლაძე**

მდგომარეობა 14 თებერვლისათვის

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 23 | 23 | 0 | 2399:1808 | 46 |
| დინამო | 23 | 19 | 4 | 2294:1811 | 42 |
| ვითა | 22 | 18 | 4 | 2010:1831 | 40 |
| სდასუ | 22 | 16 | 6 | 2131:1692 | 38 |
| თსუ | 22 | 16 | 6 | 1089:1818 | 38 |
| ასკ | 23 | 12 | 11 | 1985:2199 | 35 |
| შევარდენი | 22 | 10 | 12 | 19081956 | 32 |
| მაკაბი | 22 | 8 | 14 | 1806:1901 | 30 |
| სტუ | 21 | 7 | 14 | 1733:1877 | 28 |
| დინამო 2 | 21 | 7 | 14 | 1627:1872 | 28 |
| კოლხა | 21 | 1 | 20 | 1634:1960 | 22 |
| მერანი | 21 | 0 | 21 | 1410:2149 | 21 |
| რიონი | 17 | 2 | 15 | 1162:1652 | 19 |

დღეს ერთმანეთს ხვდებიან

13.00 სტუ — მერანი
14.30 დინამო 2 — თსუ
15.00 მაკაბი — კოლხა

## ევროლიგა

**E ჯგუფი**

სპლიტი (ხორვატია) — ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი) 60:53, ტელეკომი (ანკარა, თურქეთი) — ეფეს პილზენი (სტამბოლი, თურქეთი) 69:83, პორტუ (პორტუგალია) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) 99:82

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეფეს პილზენი | 15 | 11 | 4 | 1113:1035 | 26 |
| ოლიმპიაკოსი | 15 | 11 | 4 | 1112:1040 | 26 |
| მაკაბი | 15 | 9 | 6 | 11581123 | 24 |
| ტელეკომი | 15 | 6 | 9 | 1071:1121 | 21 |
| სპლიტი | 15 | 5 | 10 | 1116:1165 | 20 |
| პორტუ | 15 | 1 | 14 | 1030:1267 | 16 |

**F ჯგუფი**

ლიმოჟი (საფრანგეთი) — პაოკი (სალონიკი, საბერძნეთი) 77:75, რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — ბენეტონი (ტრევიზო, იტალია) 82:54, ცსკა (მოსკოვი, რუსეთი) — ესტუდიანტესი (მადრიდი, ესპანეთი) 74:68

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 15 | 11 | 4 | 1120:1023 | 26 |
| ცსკა | 15 | 9 | 6 | 1176:1076 | 24 |
| პაოკი | 15 | 8 | 7 | 1056:1024 | 23 |
| რეალი | 15 | 7 | 8 | 11281102 | 22 |
| ესტუდიანტესი | 15 | 7 | 8 | 1103:1129 | 22 |
| ლიმოჟი | 15 | 6 | 9 | 997:1131 | 21 |

**G ჯგუფი**

პსჟ (პარიზი, საფრანგეთი) — პოორტეზი (საფრანგეთი) 70:51, ოლიმპია (ლიუბლიანა, სლოვენია) — კინდერი (ბოლონია, იტალია) 76:60, ალბა (ბერლინი, გერმანია) — ბარსელონა (ესპანეთი) 81:78

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 15 | 13 | 2 | 1046:973 | 28 |
| ბარსელონა | 15 | 8 | 7 | 1195:1178 | 23 |
| ალბე | 15 | 8 | 7 | 1082:1088 | 23 |
| ოლიმპია | 15 | 7 | 8 | 1067:1060 | 22 |
| პსჟ | 15 | 7 | 8 | 985:976 | 22 |
| პოორტეზი | 15 | 6 | 9 | 10681096 | 21 |

**H ჯგუფი**

ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — ციბონა (ზაგრები, ხორვატია) 83:88, ულკერ გენჩლიკი (სტამბოლი, თურქეთი) — აეკი (ათენი, საბერძნეთი) 63:70, პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლავია) — ტიმსისტემი (ბოლონია, იტალია) 75:66

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკი | 15 | 11 | 4 | 1063:999 | 26 |
| ციბონა | 15 | 9 | 6 | 1154:1106 | 24 |
| ტიმსისტემი | 15 | 9 | 6 | 1127:1166 | 24 |
| ულკერი | 15 | 5 | 10 | 1115:1151 | 20 |
| პარტიზანი | 15 | 5 | 10 | 1162:1195 | 20 |
| ჰაპოელი | 15 | 2 | 13 | 1030:1164 | 17 |

## ევროთასი

გაიმართა პირველი
მერვედფინალური შეხვედრები:

ვილერბანი (საფრანგეთი) — ხუვენტუდი (ბადალონა, ესპანეთი) 82:74
სამარა (რუსეთი) — ტოპო (ჰელსინკი, ფინეთი) 77:74
ბურსა (თურქეთი) — ჟალგირისი (კაუნასი, ლიტვა) 66:62
შლიონსკი (ვროცლავი, პოლონეთი) — ზაგრები (ხორვატია) 76:60
ოსტენდე (ბელგია) — სტეფანელი (მილანი, იტალია) 68:80
ავტოდორი (სარატოვი, რუსეთი) — ტატამი (რონდორფი, გერმანია) 71:50
ბეობანკა (ბელგრადი, იუგოსლავია) — კანტუ (იტალია) 88:58
ჰაპოელი (ეილატი, ისრაელი) — პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) 80:78
საპასუხო მატჩები 17 თებერვალს გაიმართება.

რეგულარული ჩემპიონატი

# პენი კინაღამ გააპანღურეს

NBA

11 თებერვალი

**გოლდენ სტ. 99:105 ლეიკერსი**

**გოლდენ სტეიტი:** სმიტი (25), დელკი (22)
**ლეიკერსი:** ონილი (33+10 მოხსნა), ვან ექსელი (19+14 პასი)

ლეიკერსის სუპერცენტრ შაკილ ონილს ამ დღეს თურმე ჩვეულებრივზე 12 ჰამბურგერით მეტი მოუვიდა და მატჩისწინა პერიოდი ვარჯიშის ნაცვლად საპირფარეშოში გაატარა, თამაშში კი მხოლოდ მეორე მეოთხედიდან ჩაერთო. დარჩენილ დროში 17-დან 8 საჯარიმოს აცილების მიუხედავად, შაკი მოედანზე მაინც საუკეთესო იყო: ყველაზე მეტი ქულაც მიითვალა, ყველაზე მეტი მოხსნაც და გაჭირვებულ „მეომრებს" არ მისცა ნება, მისი გუნდი სეზონში მეორედ გაენაწყენებინათ.

**კლიპერსი 104:110 ვაშინგტონი**

**კლიპერსი:** როჯერსი (34), ლ. მიურეი (28)
**ვაშინგტონი:** სტრიკლენდი (32+13 პასი), ჩინი (28)

**სან ანტონიო 105:106 სიეტლი**

**სან ანტონიო:** დანკანი (26), რობინსონი (20+10 მოხსნა)
**სიეტლი:** ბეიკერი (24+10 მოხსნა), შრემპფი (21)

თავ-თავიანთი დივიზიონების ლიდერთა შეხვედრის ბედი მატჩის დამთავრებამდე 1,9 წამით ადრე გადაწყდა, როდესაც ფარისკენ ზურგით მდგარი ვინ ბეიკერი სანანტონიოელთა ცენტრს — დევიდ რობინსონს ცრუ მოძრაობებით დაუსხლტა, ნახტომში ხუთი მეტრიდან ნასროლი ბურთი კალათში ჩაუშვა და მასპინძელთა 17 405 გულშემატკივარს ხმა ჩააკმენდინა. სიეტლელებს, რომლებსაც დღეს კიდევ ერთი მძიმე მატჩი ელით სტუმრად ლეიკერსთან, თურმე შეხვედრამდე მაისურები მოპარეს და სათადარიგო ფორმა მატჩის დაწყებამდე მხოლოდ ერთი საათით ადრე ჩამოუვიდათ.

**დეტროიტი 95:83 მილუოკი**

**დეტროიტი:** ჰილი (21)
**მილუოკი:** რობინსონი (25)

**მინესოტა 89:96 ორლანდო**

**მინესოტა:** გარნეტი (29+12 მოხსნა)
**ორლანდო:** ანდერსონი (28+11 მოხსნა)


მინესოტა — ორლანდო:
ჩეროკი პარკსმა (44)
ორლანდოელ საიკლის დააფარა

ორლანდოელები შეხვედრას კარგ ხასიათზე ვერ შეხვდნენ: მათ პატრონებს კვირის დასაწყისში თურმე დიდი გაცვლის მოკვარახჭინება უცდიათ, რომლის შედეგადაც ანფერნი ჰარდევეი ნიუ ჯერსიში აღმოჩნდებოდა, თავად კი დეიმონ სტუდემაიერსა და უოლტ უილიამსს მიიღებდნენ ტორონტოდან. ტრანსფერს წინ თავად ჰარდევეი აღუდგა, ნიუ ჯერსიში თამაში არ მსურს, კარიერა ორლანდოში მინდა დავასრულოო, მერე კი მას თანაგუნდელებიც ამოუდგნენ მხარში, შაკილი რომ გაუშვით, ეგეც საკმარისია, კიდევ ერთ შეცდომას ნუ დავუშვებთო. გაცვლაზე მოლაპარაკებები მაინც მიმდინარეობს, აი, შეხვედრას კი რაც შეეხება, მასში ნიკ ანდერსონმა გამოიჩინა თავი, რომელმაც პირადი სეზონის რეკორდი — 28 ქულა დაამყარა და ახალ, შავ მაისურებში გამოწყობილ მინესოტელებს პირველი მარცხი აწვნია

**მაიამი 101:110 ინდიანა**

**მაიამი:** ჰარდევეი (32), მურნინგი (21+15 მოხსნა)
**ინდიანა:** მილერი (30), ა. დევისი (19)

ცენტრალური დივიზიონის ლიდერმა ინდიანამ ატლანტის დივიზიონის ლიდერ მაიამის სტუმრადაც აჯობა, რასაც პირველ რიგში უნდა უმადლოდეს რეჯი მილერს, რომელსაც ამ დღეს არც სამქულიანი აუცილებია (4) და არც საჯარიმო სროლა (10).

**ფილადელფია 91:90 დალასი**

**ფილადელფია:** აივერსონი (27)
**დალასი:** სკოტი (24)

მეოთხე მეოთხედის წინ ალან აივერსონი მხოლოდ 9 დაკარგული ბურთით გამოირჩეოდა თანაგუნდელებისგან, მერე კი ერთბაშად 16 ქულაც მიითვალა და მატჩის დამთავრებამდე 3 წამით ადრე გამარჯვების მომტანი სამქულიანიც ჩააგდო, რამაც ფილადელფიელებს 7-მატჩიანი უხეირო სერია შეაწყვეტინა. დალასელმა ფინლიმ იმ სამ წამში ჩაგდება მაინც მოასწრო, მაგრამ მსაჯმა არ ჩაუთვალა, სირენა რომ გაისმა, ბურთი ჰაერში კი არ იყო, ხელში გეჭირაო.

**შარლოტი 90:92 ჩიკაგო**

**შარლოტი:** რაისი (29)
**ჩიკაგო:** ჯორდანი (29), პიპენი (23)

12 თებერვალი

**ფინიქსი 110:115 პორტლენდი**

**ფინიქსი:** რობინსონი (31+15 მოხსნა), მენინგი (28+9 მოხსნა)
**პორტლენდი:** ტრენტი (27), საბონისი (14+13 მოხსნა +6 პასი)

ექს-პორტლენდელმა კლიფ რობინსონმა თავისი ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა, ისევე როგორც ბლეიზერსელმა გარი ტრენტმა, ოღონდ ამას თავისიანებმა უკეთ აუბეს მხარი. აიზია რაიდერს შეხვედრა მწვრთნელთან დავის გამო გამოატოვებინეს, ფინიქსელებს კი ერთთვიანი შესვენების შემდეგ სედრიკ სებალოსი დაუბრუნდათ, რომელმაც მოედანზე მხოლოდ 3 წუთი დაჰყო.

**საკრამენტო 87:84 დენვერი**

**საკრამენტო:** რიჩმონდი (27)
**დენვერი:** გოლდუაირი (16)

**იუტა 118:100 ბოსტონი**

**იუტა:** მელოუნი (31+12 მოხსნა)
**ბოსტონი:** მერსერი (24)

იუტამ პირველი ტაიმის 18-ქულიანი ჩამორჩენა მწვრთნელის ჯერი სლოუნის გაგდების შემდეგ 18-ქულიან უპირატესობად აქცია.

**ტორონტო 94:103 კლივლენდი**

**ტორონტო:** კრისტი (26)
**კლივლენდი:** პერსონი (28), ილგაუსკასი (24+14 მოხსნა)

მატჩის წინ ცნობილი გახდა, რომ „ტორონტო რეპტორზი" ამავე ქალაქის ჰოკეის გუნდის — „მეიპლ ლივზის" პატრონის საკუთრება გახდა, თუმცა მაჩანჩალა კლუბს ეს ერთი ცვლილება ნაღდად ვერ უშველის, მით უმეტეს, რომ ტორონტოს ცენტრმა, მარკუს კემბიმ პირველ მეოთხედში მორიგი ტრავმა მიიღო.

**ვანკუვერი 103:112 ჰიუსტონი**

**ვანკუვერი:** აბდურ-რაჰიმი (16)
**ჰიუსტონი:** დრექსლერი (25+10 პასი), მელოუნი (24)

**ირაკლი ფირაშვილი**

## აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 31 | 18 | 63,3 |
| ნიუ ჯერსი | 28 | 21 | 57,1 |
| ნიუ იორკი | 26 | 21 | 55,3 |
| ვაშინგტონი | 27 | 24 | 52,9 |
| ორლანდო | 24 | 26 | 48,0 |
| ბოსტონი | 22 | 27 | 44,[illegible] |
| ფილადელფია | 15 | 31 | 32,6 |

ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ინდიანა | 35 | 13 | 72,9 |
| ჩიკაგო | 36 | 15 | 70,6 |
| ატლანტა | 30 | 20 | 60,0 |
| შარლოტი | 29 | 20 | 59,2 |
| კლივლენდი | 28 | 21 | 57,1 |
| მილუოკი | 24 | 25 | 49,0 |
| დეტროიტი | 23 | 25 | 47,9 |
| ტორონტო | 11 | 38 | 22,4 |

## დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| სან ანტონიო | 34 | 15 | 69,5 |
| იუტა | 33 | 15 | 68,8 |
| მინესოტა | 26 | 21 | 55,3 |
| ჰიუსტონი | 24 | 24 | 50,0 |
| ვანკუვერი | 13 | 37 | 26,0 |
| დალასი | 9 | 40 | 18,4 |
| დენვერი | 5 | 43 | 10,4 |

წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიეტლი | 38 | 11 | 77,6 |
| ლეიკერსი | 35 | 12 | 74,5 |
| ფინიქსი | 32 | 16 | 66,7 |
| პორტლენდი | 28 | 20 | 58,3 |
| საკრამენტო | 21 | 29 | 42,0 |
| კლიპერსი | 11 | 39 | 22,0 |
| გოლდენ სტეიტი | 8 | 39 | 17,0 |

დასაწყისი პირველ გვერდზე

# კანდელაკმა იმედი დაკარგა

**— გიორგი, შენგან მართლაც გამიკვირდა, საქართველოდან წასვლაზე რომ საუბრობ.**

— მოდი, ცოტა შორიდან დავიწყებ. ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ რომ ვთქვი, კრივიდან მივდივარ-მეთქი, კრივის ფედერაციის ხელმძღვანელთა და თითო-ოროლა ჟურნალისტის გარდა არავინ შეშფოთებულა, ვისაც ქართული სპორტის პატრონი ჰქვია, არც შემხმიანებია, არ უთქვამს, გიორგი, დაბრუნდი, ხელს


აი, ეს ბავშვები არ ეთმობა გიორგი კანდელაკს

შეგიწყობთ და სავარჯიშო პირობებს შეგიქმნითო. ბოლოს აზრი შევიცვალე — ოჯახის წევრების, ფედერაციის თავკაცებისა და ჩემი მწვრთნელის თხოვნას დავყევი, წავედი უნგრეთში და მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი. ეს ტიტული მარტო საჩემოდ არ მდომებია, ვფიქრე, საქართველოს დღემდე მსოფლიოს ჩემპიონი არ ჰყოლია, ახლა კი ჩემი გამარჯვება ჩვენში კრივის პოპულარობას გაზრდის და, შესაბამისად, ხელისუფლებაც მეტ ყურადღებას მიაქცევს ამ სახეობას-მეთქი. კი, ბატონო, უნგრეთიდან დაბრუნების შემდეგ იყო შეხვედრები, დაპირებები. ეს წელიც კარგად დაიწყო: ბაკურიანში დაახლოებით 20 კაცი გავემგზავრეთ, ძალიან კარგი შეკრება იყო, ოღონდ — ერთ-ერთი ეტაპთაგანი საევროპოჩემპიონატო სამზადისისა. შემდეგი შეკრება თბილისში უნდა გაგვევლო. შევიკრიბეთ კიდეც. სასტუმრო „ვაკეში" დავბინავდით, მაგრამ მეორე დღეს გამოგვიცხადეს, ფული არ არის, მზადება რომ გააგრძელოთო და შინ გაგვისტუმრეს. ერთი შეკრება არ წყვეტს ყველაფერს, მაგრამ ვერც 16 თებერვალს ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე მივდივართ, არადა, დაგეგმილი გვქონდა იქ ასპარეზობა. როგორც ვატყობ, ევროპის ჩემპიონატამდე, მაისამდე, შესაძლოა, ერთი შეკრებაც აღარ გვქონდეს.

**— მაშინ შენივე „ვარიანტული მეთოდით" მოგიწევს მინსკში თავის გამოჩენა — ევროპის ჩემპიონატამდე ერთი თვე წაივარჯიშო, ჩახვიდე და ჩემპიონი გახდე.**

— მსოფლიოს ჩემპიონატი მართლაც ასე მოვიგე, თვენახევარი წავივარჯიშე, მხოლოდ ფინეთის ტურნირზე ჩავატარე ორი შეხვედრა. მაგრამ ყოველთვის ხომ არ გაგიმართლებს, უცხოელები, ჩემი კონკურენტები, ცხრა-ათი თვე ემზადებიან ჩემთან საჩხუბრად, სხვა საზრუნავ-საფიქრალი არა აქვთ, მე კი თითო-ოროლა შეკრება და ტურნირი გამიხდა სანატრელი. თანაც, ჩემი მთავარი ევროპელი კონკურენტი — ვლასოვი ბელარუსია, ევროპის ჩემპიონატი მის სამშობლოში ტარდება და მინსკში არავინ გამამარჯვებინებს, თუ ვლასოვს ათი თავით არ ვაჯობე. შესაბამისად, გაათკეცებული ყურადღება და მომზადება მჭირდება, იქ რომ გავიმარჯვო. ამიტომ გადავწყვიტე, მინსკში არ წავიდე, უფრო სწორად, წავალ ბიჭების საქომაგოდ, მაგრამ რინგზე არ გამოვალ. ვატყობ, საქართველოში კრივი ცოტა ვინმეს თუ სჭირდება, მათ კი ნუგეშად ჩემი მსოფლიოს ჩემპიონობაც ეყოფათ.

**— თუ წასვლაა, რომელ ქვეყანაში წახვალ?**

— ახლა გადაჭრით არ ვიტყვი, ხვალვე ქუდს დავიხურავ და უცხოეთს მივაშურებ-მეთქი, მაგრამ უკვე იმედი აღარ მაქვს, რომ საქართველოში კრივს პატრონი გამოუჩნდება. კრივის ფედერაციის ხელმძღვანელები ახალგაზრდა, მონდომებული პროფესიონალები არიან, მაგრამ უსახსრობის გამო ყველაფერზე ხელი არ მიუწვდებათ. ერთი იმედიღა დამრჩენია: იცი, რა ხანია, ვარიანში კრივის კომპლექსს ვაშენებ, მშვენიერი ბავშვები მეზრდებიან და ვისაც ჩემი საკრივო კარიერა არ აინტერესებს, იქნებ ისინი ან სხვები საქვეყნო საქმის საკეთებლად მაინც ამომიდგნენ მხარში. გადაჭრით ვიტყვი — თუ ეს კომპლექსი აშენდა, მაშინ აღარსად წავალ, თუ არადა, აქ რაღა დამრჩენია, დავკრავ ფეხს და გავიქცევი.

**— მაინც სად?**

— მიწვევები, იცოცხლე, ბევრი მაქვს. ამერიკელები, გერმანელები, იაპონელები და ნორვეგიელები პროფესიულ კრივში მეპატიჟებიან. თავ-თავიანთი ნაკრების წევრობას მთავაზობენ რუსეთის, თურქეთისა და საბერძნეთის კრივის მესვეურნი. რა თქმა უნდა, ყველა წინადადება ერთმანეთზე უკეთესია და ასარჩევად მექნება საქმე, თუკი წავედი.

**— ადრე, შენი იაპონიაში ყოფნისას, სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ექვთიმიშვილმა გაგიხერხა ამერიკაში, პროფესიულ კრივში გადასვლა. ტოკიოში აქაო ამერიკელი პრომოუტერებიც ჩამოვიდნენ, მაგრამ უარით გაისტუმრე. ეს საქციელი იმით ამიხსენი, უცხოეთში დიდხანს ვერ ვძლებ, გული შინისკენ მომიწევს, იქ ვერ ვიცხოვრებ და ამიტომაც გავაწბილე ამერიკელებიო. რა, ლას ვეგასში ვერ გაძლებდი და ნორვეგიასა და რუსეთში ყოფნას შეეგუები? ვარიანი ხომ არც ამ ქვეყანათა რუკაზეა?**

— მაშინ მართლაც ამ ჭკუაზე ვიყავი, ამიტომ არ წავყევი ამერიკელებს ვინ დამიფასა... ახლა კი სხვაგვარად ვფიქრობ. ვიმეორებ, იმას უკვე შევეგუე, რომ ჩემი საკრივო კარიერა არავის აინტერესებს, ქომაგთა და ჩემს მეგობართა გარდა, მათ კი მორალური მხარდაჭერის მეტი რა შეუძლიათ. გული იმაზე უფრო მწყდება, რომ საზოგადო საქმეშიც ერთი-ორი კაცი თუ მიდგას გვერდში. დიდი მადლობელი ვარ „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" პრეზიდენტის, ბატონ თემურ ჭყონიასი. ამ კაცმა ჩემი შარშანდელი საკრივო წარმატებაც დამიფასა, საქვეყნო საქმეში შემწეობა და თანამშრომლობა აღმითქვა. მადლობა მინდა ვუთხრა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, ბატონ ვალერი ვაშაკიძეს. ჩემს სკოლაში 40 ლტოლვილი ბავშვი ვარჯიშობს და ისიც მეხმარება.

**— გიორგი, ვიცი, რომ არც მსოფლიოს ჩემპიონობისთვის შეპირებული პრემია აგიღიათ შენ და შენს მწვრთნელებს. ესეც ხომ არ არის შენი გულგატეხილობის მიზეზი?**

— ტკიცინა და ფერადი ქაღალდებისთვის არასდროს მიკრივია. ყურადღება და ადამიანური მოპყრობა ყველაფერს მირჩევნია. ფული რომ მინდოდა, იაპონიაში წავედი, პროფესიულ ჭიდაობაში ვცადე ბედი და იქ ნაშოვნი თანხებით დავიწყე ვარიანის კრივის კომპლექსის მშენებლობა. არც მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიჩხუბე ფულისთვის, მაგრამ ქართველ სპორტსმენებს, შარშანდელი რაც გვეკუთვნის, რასაკვირველია, უნდა მოგვცენ. ჩვენ ხომ არაფერი გვითხოვია, აკი წლის დასაწყისში თავად დააწესეს ეს პრემია თავგამოჩენილ სპორტსმენთათვის...

*აქ დავასრულეთ მე და გიორგი კანდელაკმა საუბარი. ერთი კითხვაც მიღრღნიდა გულს, მაგრამ მოვერიდე, ვიცოდი, არ მიპასუხებდა, თანაც, პასუხი თავადაც ვიცოდი: არაერთგზის დამიწერია, რომ გიორგის დედა, ქალბატონი ეთერი, მძიმედ არის ავად, მაგრამ ოპერაციის მეშვეობით მისი განკურნება შესაძლებელია, გიორგიმ კი დღემდე ვერ მოუყარა თავი საკმაოდ სოლიდურ თანხას. რა დასამალი და დასამალია, თუ მას სპორტდეპარტამენტის თავკაცთაგან შეპირებული პრემიის მიღება იმიტომაც ეჩქარება, რომ დედას ოპერაცია გაუკეთოს. აბა, კაცს, რომ ამდენი პრობლემა აქვს, მართლაც რა ეკრივება და რა ევროპისჩემპიონება?*

**ლევან ჯავახიშვილი**

# ნაყაჩაღარი მათემატიკოსის წინაააღმდეგ


ლენოქს ლუისი

28 მარტს ატლანტიკ-სიტიში საბჭოს ქამრისთვის რომ ჭიდილი გაიმართება, კარგა ხნის გამოცხადებული ამბავია. ბრიტანელ-კანადელ-იამაიკელი ჩემპიონი ლენოქს ლუისი ნიუორკელ ქრადგალებილ ზანგს შენონ ბრიგსს შეერკინება.

გასაკვირი არ არის, რომ ამ ბრძოლის სარეკლამო კამპანია უკვე დაიწყო.

26 წლის ბრიგსი (30-1) ერთ დროს ტაისონის მემკვიდრედაც ითვლებოდა, მაგრამ მერე ცხოვრება აერია და კრივს გასულ ნოემბერს ჯორჯ ფორმენის დამარცხებით დაუბრუნდა. ის გამარჯვება, ქულებით რომ მოიპოვა ბრიგსმა, სადავო შეიქნა. მედია აცხადებდა, ბებერმა ჯორჯმა ჯიგარი დაუხია ბრიგსსო. და საერთოდაც, საკრივო მედიას ათვალწუნებული ჰყავს საბჭოს პრეტენდენტი. ყველამ იცის, რომ ბრიგსი ბრაუნსვილში დაიბადა, ნიუ იორკის უბანძეს უბანში, სადაც დაირწა რკინის მაიკის აკვანი. უსახლკარო, ქუჩის ბიჭი, ქურდი, პლანის მწეველი... რას აღარ უხსენებენ ბრაუნსვილელ ტყიურს. მედია დასცინის მის ხასიათს, ქცევებს, ნამუსს და ღირსებას.

„მწერლები ძალლივით მათრევენ თავიანთ სტატიებში" — ამბობს ბრიგსი — „ეს გულს მტკენს. მე კარგად [illegible] და ღირსეულად ვცხოვრობ. ორი შვილი [illegible] და მათ მომავალზე ვფიქრობ. თუ ასე გაგრძელდა, არც ერთ გაზეთს არ დაველაპარაკები".

მაგრამ ბრიგსი მაინც დაელაპარაკება მეგაზეთეებს. ეს სარეკლამო კამპანიაში შედის და თანაც ინტერვიუ ფული ღირს. ლუისთან ჩხუბისთვის ბრიგსი მილიონნახევარ დოლარს მიიღებს. მას მიაჩნია, რომ აჯობებს ჩემპიონს, რადგან ლუისი ძალზე მშრალი, მათემატიკურად მოკრივე კაცია.

ამასობაში ლუისი გამარჯვებულივით დაიბლინძება და საკუთარ თავს რომელიმე მონარქივით „ჩვენობით" ახსენიებს. ის დიდი წარმოდგენისა არ გახლავთ ბრიგსზე, ფორმენს ძლივს აჯობა და ჩემთან რას უნდა გახდეს. ლუისს (32-1) უფრო თავის კბილა ხალხთან ჭიდილი უნდა, ევანდერ ჰოლიფილდთან, ან ტაისონთან. მაგრამ, ასოციაციის და ფედერაციის ჩემპიონმა ჰოლიფილდმა უარი მითხრა, რადგან ჩემთან შეხვედრამდე რამდენიმე მილიონის შოვნა კიდევ უნდაო, თვლის ლუისი. მას ჰგონია, რომ წლის ბოლოსკენ მისი და ჰოლიფილდის შუღლის ქადები გაირკვევა. ბრიგსი კი აბა რა მოსატანია? სასიხარულო ის არის მხოლოდ, რომ ლუისი 4,5 მილიონ დოლარს მიიღებს.


შენონ ბრიგსი



# მაკლარენ ინტერვიუებოდ[illegible]

ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ რონ დენისი
ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲘ ადრიან ნიუი
ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1-ᲨᲘ: 1966, მონაკოს დიდი პრიზი
460 რბოლა, 107 გამარჯვება, 86 პოული, 71 სწრაფი წრე, 2147,5 ქულა
ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ: 1974, 1984, 1985, 1988, 1989, 1990, 1991
ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ: 1974 ემერსონ ფიტიპალდი; 1976 ჯეიმს ჰანტი; 1984 ნიკი ლაუდა; 1985, 1986, 1989 ალენ პროსტი; 1988, 1990, 1991 აირტონ სენა
ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲡᲛᲔᲜᲘ ᲔᲠᲗ ᲡᲔᲖᲝᲜᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲗᲐ ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ: 1988, 15 პირველი ადგილი
ᲨᲐᲡᲘ: მაკლარენ MP4-13; ᲫᲠᲐᲕᲘ: მერსედეს-ილმორ V10
ᲡᲐᲑᲣᲠᲐᲕᲔᲑᲘ: „ბრიჯსტოუნი"

## ᲛᲘᲙᲐ ᲰᲐᲙᲘᲜᲔᲜᲘ
(ფინეთი)



დაიბადა 1968 წლის 28 სექტემბერს ჰელსინკში (ფინეთი).

სიმაღლე 179 სმ, წონა 72 კგ.

დებიუტი ფორმულა 1-ში: 1991, აშშ-ის დიდი პრიზი, „ლოტუსი".

96 რბოლა, 1 გამარჯვება, 1 პოული, 1 სწრაფი წრე, 118 ქულა.

## ᲓᲔᲕᲘᲓ ᲙᲣᲚᲰᲐᲠᲓᲘ
(დიდი ბრიტანეთი)



დაიბადა 1971 წლის 27 მარტს თუინჰოლმში (შოტლანდია).

სიმაღლე 182 სმ, წონა 70 კგ.

დებიუტი ფორმულა 1-ში: 1994, ესპანეთის დიდი პრიზი, „უილიამსი".

58 რბოლა, 3 გამარჯვება, 5 პოული, 5 სწრაფი წრე, 117 ქულა.

# მალული იმედი

„მაკლარენს", მოწინავე გუნდთაგან, ახალი ბოლიდის მომზადება გაუჭიანურდა და, შესაბამისად, ტესტების დაწყებაც დაუგვიანდა. თუმცა ამ გუნდისთვის ეს პირველი შემთხვევა როდია: 1988 წელს „მაკლარენ MP4-4" პრაქტიკულად ტესტირების გარეშე, რომ იტყვიან, საამქროდან პირდაპირ ფრონტის ხაზზე მოხვდა. მიუხედავად ამისა, გუნდის პილოტებმა აირტონ სენამ და ალენ პროსტმა 16 რბოლაში 15-ჯერ გაიმარჯვეს, რაც ფორმულისთვის უნიკალური რეკორდი გახლავთ. ახალი ბოლიდი „მაკლარენ MP4-13" ადრიან ნიუის ქმნილებაა. ადრე იგი „უილიამსში" მუშაობდა და აკი ბოლო წლებში „უილიამსის" ახალი ძოდელებიც აგვიახებდნენ ტრასებზე გამოჩენას. ნიუი ფორმულაში საუკეთესო აეროდინამიკოსად ითვლება და დიდ დროს ანდომებს ამ აუცილებელი კომპონენტის დახვეწას. მისი ხელი შარშან, სეზონის მეორე ნახევარში, აშკარად დაეტყო „მაკლარენს", რომელიც ზოგიერთ ტრასაზე უსწრაფესი გახლდათ. წლეულს აეროდინამიკას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალი ტექნიკური მოთხოვნების გამო. იმედია, ნიუის ქმნილება ამ თვალსაზრისით საუკეთესო იქნება.

მაშ ასე, შარშანდელი წარმატებებით წახალისებული „მაკლარენი" ახალ სეზონს უფრო იმედიანად ეგებება. ორი გამოცდილი და სწრაფი პილოტი, „მერსედესის" მძლავრი ძრავი, აეროდინამიკურად სრულყოფილი სწრაფი შასი მართლაც საიმედო კომბინაცია გახლავთ. ამასთან, რონ დენისმა კიდევ ერთი საინტერესო ნაბიჯიც გადადგა: „გუდიარის" საბურავები „ბრიჯსტოუნით" შეცვალა, ამათ კი შარშან შესაშური გამძლეობა გამოიჩინეს, რაც მეტად მნიშვნელოვანი გახლავთ რბოლის ტაქტიკის წარსამართად, გარდა ამისა, „გუდიარი" ფორმულა 1-ს ტოვებს, ასე რომ, წლეულს მიღებული გამოცდილება გუნდს სამომავლოდ ერთობ წაადგება და უპირატესობასაც მიანიჭებს მეტოქეებთან შედარებით, რომელთაც სეზონის დამთავრების შემდეგ მოუწევთ ახალი საბურავების მოსინჯვა და მათთან შეგუება.

გუნდის შეფი რონ დენისი ჯერჯერობით მაინც ფრთხილობს, მაგრამ მის სიტყვებში იმედიც აშკარაა: „სხვათა მსგავსად არ ვაპირებ მომავალი სეზონის პროგნოზირებას, ვერც შუმახერს დავეთანხმები იმაში, რომ ჩვენ ყველაფერი გაგვაჩნია ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. რადგან უკანასკნელებმა გამოვიყვანეთ ახალი ბოლიდი ტრასაზე, საშუალება მოგვეცა გვენახა სხვა მოწინავე გუნდების პრეზენტაცია და ამასთან არ გაგვემეორებინა მათი შეცდომები. კმაყოფილი ვარ, რომ ჩვენმა ქმნილებამ პირველივე ცდაზე უპრობლემოდ გაიარა ახალი, უფრო მომთხოვნი ტესტი. წლეულის ბოლიდების ბევრი პარამეტრი შეიცვალა. განსხვავებულია საბურავები, მანქანის სიგანე, აეროდინამიკა. ამიტომაც ნაადრევად და დროის უაზრო ფლანგვად მიმაჩნია პროგნოზებზე საუბარი, უმთავრესია დაწყებული საქმის გაგრძელება და ბოლომდე მიყვანა. თუმცა, მაინც ვფიქრობ, რომ არ მოგვიწევს პოდიუმამდე მიფორთხება, რადგან გვყავს ორი შესანიშნავი პილოტი, რომლებიც ახალგაზრდები კი აღარ არიან, მაგრამ არც ბებრები ეთქმით, ისინი ახლა საუკეთესო ასაკისანი არიან და მშვენივრად იციან, რა არის რბოლაში გამარჯვება.

გუნდის ხელმძღვანელს დევიდ კულჰარდიც უამს მხარს და ჯერჯერობით უარს ამბობს, იმსჯელოს გუნდის სიძლიერეზე, თუმცა მაინც ფიქრობს წარმატებებზე: „სხვებს ჩვენი დიდი იმედი აქვთ, თუმცა ისინი საქმეში ბოლომდე ჩახედულნი როდი არიან. მე არ ვფიქრობ ჩემპიონობაზე, მაგრამ იმედი მაქვს, მოვიგო უფრო მეტი რბოლა, ვიდრე შარშან. ამის პოტენციალი კი ნამდვილად გაგვაჩნია" — განუცხადა შოტლანდიელმა ჟურნალისტებს

ამ ორს არც კონსტრუქტორი ადრიან ნიუი ჩამორჩა და თქვა: „არასოდეს ველი რაიმე არაჩვეულებრივს ბოლიდისაგან, მაგრამ ჩვენი მიზანი ჩემპიონობაა. სხვა შედეგი უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება".

მაშ ასე, „მაკლარენი" ტესტებს შეუდგა და გუნდის წევრები, სიფრთხილის მიუხედავად, ფიქრობენ, რომ იოლად თავს არავის დააჩაგვრინებენ.

სამი-ოთხი წლის განმავლობაში გუნდი კრიზისს განიცდიდა, ხან ძრავი უმტყუნებდა ხოლმე, ხანაც სხვა კონსტრუქცია, 1993 წელს მხოლოდ სენას ოსტატობამ შეაძლებინა გუნდს გამარჯვებების მოპოვება, მაგრამ „მაკლარენმა" იპოვა ძალა, დაეძლია წინააღმდეგობები, შეიძინა „მერსედესის" ძრავი, დახვეწა კონსტრუქცია, გადაიბარა კონსტრუქტორი, რომლის მონაწილეობით შექმნილმა ბოლიდებმა ბოლო წლებში მსოფლიოს ჩემპიონის 6 გუ-


კონსტრუქტორი ადრიან ნიუი

ნდური და პირადი ტიტულები მოიპოვეს 8 შესაძლებლიდან და შარშან აკი შედეგმაც არ დააყოვნა: მისი პილოტები 3 გამარჯვებით მოწინავეთა შორის იყვნენ, ყოველივე ამის ლოგიკური გაგრძელება წელს უფრო მეტი გამარჯვება და კონსტრუქტორთა პირველობაზე უკეთესი ადგილის [illegible]ება უნდა გახდეს, მით უმეტეს, რომ შარშანდელ [illegible]ზე დამონტაჟებულმა შასის ახალმა კომპონენტებმა 8000-კილომეტრიანი გამოცდა გაიარეს ტრასებზე, ხოლო ახალი ბოლიდის აეროდინამიკის დახვეწას 12 000 კაც-საათი მოანდომეს აეროდინამიკურ გვირაბში. ასე რომ, მაკლარენელებისგან წლეულს უფრო მეტ წარმატებებს და პირველობისთვის ბრძოლას უნდა ველოდოთ.

**ალეკო ჩაგუჩიანი**

# მე მოთამაშე ტურისტი ვარ



ბორის ბეკერი

ბორის ბეკერი, 80-90-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი, დიდებას 1985-ში ეზიარა, როდესაც 17 წლისამ თავისი პირველი უიმბლდონი მოიგო. ამას კიდევ ხუთი დიდი სლემის ტურნირის ჩემპიონობა, კლასიფიკაციაში პირველი ადგილი და მხოლოდ საპრიზოებით 25 მილიონი დოლარი მოჰყვა, ბორისი კი გერმანიის ეროვნულ გმირად და მთელი მსოფლიოს ჩოგბურთის მოყვარულთა კერპად იქცა. ეს ინტერვიუ გასულ კვირაში გამართული ხორვატიის ღია პირველობის დროსაა აღებული, რომელიც წელს ბორისისთვის პირველი ტურნირი გახლდათ.

— ორი-სამი წლის წინ ჩვენ ავსტრალიაში ვისაუბრებდით, სეზონის პირველი დიდი სლემის ტურნირის შემდეგ. დიდ პირველობებზე რატომ აღარ გამოდიხართ?

— უარი იმიტომ არ მითქვამს, რომ ენერგია შემომაკლდა, უბრალოდ, მთელი სეზონის მაღალ დონეზე ჩატარება აღარ შემიძლია. ამასთან, ჩემი შვილი, ნოა, უკვე ოთხი წლისაა, მალე სკოლაში უნდა წავიდეს და წელიწადში 11 თვე მოგზაურობა სულაც არ მიზიდავს. ამიერიდან სლემის ტურნირებზე მონაწილეობაზე ან ATP-ის ქულებისათვის ასპარეზობაზე აღარც კი ვფიქრობ, მე უფრო ჩოგბურთის მოთამაშე ტურისტი გავხდი.

— ოჯახს დიდი ადგილი უჭირავს თქვენს ცხოვრებაში?

— ოჯახი, ისევე, როგორც ბევრი სხვისთვის, ჩემთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანია ამქვეყნად. მე უკვე დიდი ხანია, ვთამაშობ, პრიორიტეტების შეცვლის დროც მომივიდა.

— ძნელი თქვენთვის ამის გაკეთება?

— არა, ოჯახს ტურნირების მოგებაზე გაცილებით დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ.

— მიუხედავად იმისა, რომ ბევრ პირველობაზე გაგიმარჯვიათ, ATP-ის კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე შედარებით მცირე ხანი იყავით. რომელია უფრო მნიშვნელოვანი, უიმბლდონის სამჯერ მოგება, თუ ორი წლის განმავლობაში პირველი ჩოგნობა?

— პირველ ჩოგნად ყოფნას დიდი სლემის ტურნირის მოგება მირჩევნია. რა თქმა უნდა, კარგია, როდესაც პირველი ნომერი ხარ, მაგრამ სლემი მაინც განსაკუთრებული რამ არის, ამაში ბევრი ჩოგბურთელი დამეთანხმებოდა.

— პეტერ კორდამ თავისი პირველი დიდი სლემის ტურნირი ორი კვირის წინ, 30 წლისამ მოიგო, ეს გამოწვევად არ იქცა თქვენთვის?

— ყველა, ვისაც დიდი სლემის ტურნირი ერთხელ მაინც მოუგია, ამის გაკეთებას კიდევ შეეცდება, თუ, რა თქმა უნდა, ჩოგბურთი მართლა უყვარს. არიან მოთამაშეები, რომლებმაც ეს 34-35 წლის ასაკში მოახერხეს, ამის გაკეთება შეუძლებელი რომ არ არის, პეტერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა. მოგების სურვილი ასაკზე არ არის დამოკიდებული, უბრალოდ, გარემოებები მიშლიან ხელს.

— რა გარემოებები? შეიძლება ეს სურვილი იმიტომ აღარა გაქვთ, რომ ოჯახს უთმობთ დიდ დროს, თუ კიდევ არსებობს რაიმე მიზეზი?

— თამაში იმიტომ არ ვიუარე, რომ აღარ შემეძლო. როცა ეს გადაწყვეტილება მივიღე, მერვედ ვიყავი განთესილი უიმბლდონზე და ცენტრალურ კორტზე ვთამაშობდი.

— თქვენ რამდენიმე მწვრთნელი გამოიცვალეთ, შეგიძლიათ, ერთმანეთს შეადაროთ ნიკ ბოლეტიერი, ნიკი პილიჩი და ბობ ბრეტი?

— ჩემი კარიერა უკვე 15 წელი გრძელდება, ასე რომ, რამდენიმე მწვრთნელის გამოცვლა ბუნებრივი და საჭირო იყო. ნიკი პილიჩი ჩემი მეგობარია, მწვრთნელის როლს ერთი ხანობა კი ასრულებდა, მაგრამ ნაღდი მწვრთნელი არც არასოდეს ყოფილა. ბოლეტიერი ძალზე დამეხმარა, ოღონდ იმიტომ, რომ მეც მზად ვიყავი მისი დახმარების მისაღებად. საერთოდ, მოთამაშე მწვრთნელზე გაცილებით მნიშვნელოვანია, ბოლოს და ბოლოს იგი თავად ირჩევს მასწავლებელს საკუთარი თამაშის გასაუმჯობესებლად.

— ბევრი ძლიერი ჩოგბურთელი ამბობს, რომ თქვენთან შეხვედრისა ძალიან ეშინია.

— ამაზე სხვებმა უნდა ისაუბრონ, მე უბრალოდ, იმას ვაკეთებ კორტზე, რაც საჭიროა.

— ეს თვისება გერმანელი სპორტსმენებისთვისაა დამახასიათებელი?

— შესანიშნავი ათლეტები ხორვატიაშიც მოიძებნება. ამ თვისებას ეროვნებასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

— ისევ გერმანიაში ცხოვრობთ? ამბობენ, რომ ბარბარა ფელტუსთან ქორწინებამ (ბარბარა ფერადკანიანია) თქვენს ქვეყანაში გარკვეული პრობლემები შეგიქმნათ.

— ისევ გერმანიაში ვცხოვრობ და ჭორები ჩემი სხვაგან გადასვლის შესახებ სიმართლეს ნამდვილად არ შეეფერება. პრობლემები მართლაც მქონდა, მაგრამ მაშინ, როდესაც უიმბლდონის პირველად მოგების შემდეგ უეცრად ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. ჩემზე ჭკუას კარგავდნენ, პოპულარობის ატანა მეტად ძნელი იყო, მაგრამ ახლა ყველაფერი მოგვარდა, შესანიშნავად ვცხოვრობ, გერმანიაში ყველა პატივს მცემს.

— თქვენი ან თქვენი ოჯახის გამო არასოდეს შეგშინებიათ?

— საუბედუროდ, შერეკილები ყველგან მოიძებნება, მაგრამ ეს მარტო ჩემი კი არა, ყველას პრობლემაა.

— რისი გეშინიათ ყველაზე მეტად?

— საშიშარს რა გამოლევს, მაგრამ ამ თემაზე საუბარი ნამდვილად არ მსურს.

— ხორვატიაში ჩამოსვლის არ შეგეშინდათ?

— რა თქმა უნდა, არა. ხორვატიაში მაშინ ვითამაშე, როცა ომი ჯერაც არ იყო დამთავრებული, ახლა რად უნდა შემეშინდეს?

— გერმანიის კანცლერთან ან პრეზიდენტთან თუ გითამაშიათ?

— კი, და წავაგე კიდეც. რა თქმა უნდა, მთელი შესაძლებლობები არ გამომიყენებია.

— ხორვატიის პრეზიდენტს — ფრანიო ტუჯმანს თუ ეთამაშებოდით? იგი ჩოგბურთის დიდი მოყვარული ყოფილა.

— თუკი ჩვენს გეგმებს შევათავსებდით, დიდი სიამოვნებით.

— თქვენი შვილი ჩოგბურთელი გამოვა?

— ის ცოტას უკვე თამაშობს და, სამწუხაროდ, ნიჭიც აღმოაჩნდა. ნაღდად არ მინდა, ჩემსავით პროფესიონალი ჩოგბურთელი გახდეს, მერე მასთან ერთად მოგზაურობა მომიწევს.

— როგორ ურიგდებით იმას, რომ ყველა გერმანელი ჩოგბურთელის კერპი ხართ?

— როცა ბევრისთვის მისაბაძად ვიქეცი, მე ჯერ კიდევ ჩემს კერპს ვეძებდი. ჩოგბურთელებში ბიორნ ბორგსა და ჯონ მაკინროის ვცემ თაყვანს, მათზე უამრავი რამ მაქვს წაკითხული, ისევე, როგორც ახლა ჩემზე კითხულობენ. პოპულარობაზე უარი არასოდეს მითქვამს, მაგრამ მასთან შეჩვევა ძალზე ძნელი იყო. საბედნიეროდ, შესანიშნავი ოჯახი მაქვს, რომელიც ყოველთვის მხარში მედგა.

— როდესაც ახალი ჩოგბურთელების აღმასვლას უყურებთ ATP-ის კლასიფიკაციაში, არასოდეს გწყინთ, რომ მათსავით ფულის, დიდებისა და გამარჯვებების სურვილი აღარ გაგაჩნიათ?

— მე არ ვთვლი, რომ ეს სურვილი საერთოდ აღარა მაქვს, სამწუხაროდ, იგი ჩემში ჯერ არ მომკვდარა. ჩემს ირგვლივ ახლაც ბევრი ფული ტრიალებს, მაგრამ ამავე დროს მიხარია, რომ 18 წლის აღარა ვარ. მე პროფესიონალი 15 წლისა გავხდი.

— მაშინ იფიქრებდით, რომ ყველაფერ ამას მიაღწევდით?

— არა. მჯეროდა, რომ კარგი მოთამაშე ვიყავი, მაგრამ თუ ასეთი კარგი, ნაღდად არ ვიცოდი. 17 წლისამ უიმბლდონი რომ მოვიგე, მაშინღა დავრწმუნდი, რომ ბევრი რამ შემეძლო, მაგრამ ამ ასაკში ხალხს ჩოგბურთზე მეტად სხვა რამეები აინტერესებს. ახლა პირველი წარმატებები დაახლოებით 19-20 წლის ასაკში მოდის. ბევრი კარგი ახალგაზრდა ჩოგბურთელია, მაგრამ დიდ გამარჯვებებს მხოლოდ ერთეულები აღწევენ.

— თქვენი აზრით, ჩოგბურთი შეიცვალა?

— არა, ბევრი ექსპერტი ლაპარაკობს მოწოდების გაზრდილ სიჩქარეებზე, მაგრამ თავადაც ნახეთ, რომ ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ორი ტიპიური უკანახაზელი გავიდა. 20 წლის წინაც ასე იყო: ზოგი ძლიერად აწოდებდა, ზოგი ბადესთან თამაშობდა კარგად, ზოგი — უკანა ხაზზე. ჩოგბურთი ძალზე კომპლექსური სპორტია, წარმატების მისაღწევად ყველაფერი უნდა გეხერხებოდეს, მარტო სირბილი და მოწოდება არაფერში გამოგადგება.

— ჩოგბურთელისთვის ხასიათის სიმტკიცეს დიდი მნიშვნელობა აქვს?

— რა თქმა უნდა, მაგრამ იგი მხოლოდ მაშინ გამოგადგება, როდესაც სირბილი და დარტყმაც გეხერხება. თუმცა, საუკეთესო რომ იყო, ხასიათის სიმტკიცე აუცილებელია.

— თქვენ იგი ვარჯიშით გამოიმუშავეთ?

— არა, მაგრამ ვარჯიშით ყველაფრის მიღწევა შეიძლება. ვარჯიშით ფიზიკურად ძლიერდები და ხასიათიც გეწრთობა. თუ გინდა, რამეს მიაღწიო, ამისთვის დიდი შრომაა საჭირო. ზოგი დღეში ორ საათს ვარჯიშობს, ზოგი — რვას, ძნელი სათქმელია, ვის რამდენი ესაჭიროება. ეს კონკრეტულ ადამიანზეა დამოკიდებული.

— რა გეგმები გაქვთ?

— ამჟამად გერმანიის დევისის თასის გუნდს ვწვრთნი. შემდეგი თამაში სამხრეთ აფრიკასთან გველის, ამ წლის აპრილში. მე რაღაც მოთამაშე-მწვრთნელის მაგვარი ფუნქციები მაკისრია. საბედნიეროდ, ჩვენ ახლა ნიკოლას კიფერი გვყავს, შესანიშნავი ჩოგბურთელი, რომელიც აუცილებლად ითამაშებს, გვყავს კიდევ ერთი ახალგაზრდა, რომელსაც პროგრესისათვის წინ კიდევ ორი თვე აქვს. თუ რაიმე შეიცვლება, შეიძლება, მეც ვიასპარეზო, ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელის რანგში იქ ვიქნები.

— მაგრამ ამ ჩოგბურთელებში თქვენ ჯერაც უველაზე დიდი ვარსკვლავი ხართ.

— არა, მე არ ვარ ვარსკვლავი, ასეთად სხვებს მივაჩნივარ. მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, რომელიც ჩვეულებრივ ცხოვრებას ეწევა. მე პატივს ვცემ ჩემს ჩოგბურთელებს და ისინი პატივს მცემენ მე.

ესაუბრა იგორ ალბორგეტი



# არაკაცობა ვის შერჩენია?

დამნაშავე საკადრისად დაისაჯა. ინგლისის ნაკრების სათადარიგო, ხოლო ევროპის ჩემპიონი კლუბი „ბათის“ ძირითადი ბურჯი, 26 წლის კევინ იეიტსი ნახევარი წლითაა დისკვალიფიცირებული და ფინანსურადაც ფრიად ზარალშია: ერთი, რომ კლუბს უჯამაგიროდ დაუტოვებია და მეორეც, ნაკრებში გამოძახებისთვის სარგო 2 ათას გირვანქასაც მოისაკლისებს.

კევინს თუმც ვერ დაუმტკიცდა, მაგრამ მაინც დაბრალდა მეტოქის ყურზე კბენა და ნიყარისა და ბიბილოს ნაწილთა მოკვნეტა. მეტოქე „ლონდონ სკოტიშის“ ავსტრალიელი ფლანკერი საიმონ ფენი იყო. თამაში ბათში გაიმართა 10 იანვარს და თასის IV წრისა იყო.

სკანდალი თავიდანვე აგორდა. საკითხი გამოიძიეს მედიამ, იეიტსის კლუბმა, გარეშე კრიმინალმა ექსპერტებმა და ინგლისის



რაგბის კავშირმაც. ყურზე მიკბინესო, თავად ფენმა განაცხადა. ისიც თქვა, ვიცი, უკადრისი საქმე ვინ ჩაიდინაო, მაგრამ ცდომილის ვინაობა არ გაუმხელია. სამაგიეროდ, „სკოტიში“ გაცხარდა, „ბათის“ მთელი წინა ხაზის ვაჟკაცობაში შეეჭვდა, ცნობილ მოთამაშეებს ბრალი ბითუმად დადო, მეტოქე კლუბს დამნაშავის დადგენა, მისი მინიმუმ 12 თვით მოკვეთა და ფულით დაჯარიმება მოთხოვა.

„ბათმა“ იეიტსს გამოძიების დასრულებამდე აყარა პატივი. ბურჯი სამჯერ დაკითხეს, მაგრამ სამივეჯერ კატეგორიულ უარზე დადგა. მას ბევრი კოლეგა გაექომაგა. ნაკრების მწვრთნელი კლაივ ვუდვორდიც დაუდგა თავდებად. გამოჩნდა ვერსია, ფენს ყურზე კი არ უკბინეს, ჭრილობა რამე მჭრელმა საგანმა მიაყენაო.

საქმეში ვექილები ჩაერივნენ. „ბათს“ ევროპის თასის ფინალი რომ ელოდა, იურისტთა შემწეობით საქმის გარჩევა ორი კვირით გადაადებინა. რაგბს სახელი გაუტყდაო, კავშირმა კლუბს განაჩენის გამოტანის უფლება ჩამოართვა და თავად შეკრიბა სამ-კაცა სამსჯავრო.

ამას მსჯელობა გაუგრძელდა. გაირჩა 650 თაბახი. დაიკითხნენ მოწმეები და დაზარალებული. მრავალჯერ იხილეს ოთხი სხვადასხვა ვიდეო. სამხილი ხელშესაკიდი მაინც ვერ იყო, რაკი გუნდის ყველა წევრი იეიტსის უდანაშაულობას ქადაგებდა.

**ყური მოგიკვნეტია, ბიჭო, და რაღად ცრუობდი. მთელ რაგბსაც რომ ჩირქი მოცხე. მერე სპორტის სიწმინდისათვის მომეცადინე გუნდელებმაც რომ გაგყიდეს!**

მსაჯულები ბოლოს ანონიმურად შეიკრიბნენ. გავიდა ერთი კვირა და კავშირმა ზემოთმოტანილი განაჩენი გამოაქვეყნა. იეიტსმა უმალ აპელაცია შეიტანა. მას როდის განიხილავენ, უცნობია. „სკოტიში“ კმაყოფილი დარჩა და იმედოვნებს, რომ იეიტსი თავისას ვერ გაიტანს.

მაინც რის საფუძველზე დაადანაშაულეს იეიტსი? ბურჯი 8 ნომერმა დან ლაილმა „ჩაუშვა“. ამ უეცარ ამერიკელს გუნდის მწვრთნელ ენდი რობინსონისთვის თავიდან უთქვამს, ჩაქცეული შერკინების შემდეგ რომ წამოვდექით, იეიტსს პირზე სისხლი შევამჩნიე და როცა ვკითხე, ხომ არ გიკბენია, კვერი დამიკრაო. მერე და მერე ლაილმა ეს ჩვენება მრავალგზის გადათქვა, მაგრამ გამოძიება მას ჩაეჭიდა და ...

კოლა მაჭარაშვილი



# პოლ კეიარდის ნავს მისდევენ



კურსის შერჩევაში ვინ მართალია, ვინ არა, გამოჩნდება სამხრეთი ამერიკის კიდურა პუნქტთან, ჰორნის კონცხი რომ ქვია. პოლ კეიარდის მოწინავე ნავ „ლენგვიჯს“ იქამდე გასაცური 800 მილი ღა რჩება. „მეჩმა“ და „ინოვეიშენმა“ ქარის ძებნაში სამხრეთით ერთობ გაუტიეს და ლიდერს ოდნავ წამოეწივნენ, მაგრამ შემდგომსავე 24 საათში სტატუს-ქვო აღდგა.

**ვიტბრედის VII გარსაქვეყნო ნაოსნობა ვოლვოს თასზე**

V სტადია. ოკლენდი (ზელანდია) — სან-სებასტიანი (ბრაზილია)

1 - 23 თებერვალი (6 670 მილი); პოზიციები გრინვიჩის დროით 06:00 საათზე

| იახტა | დროშა | ქ | სკიპერი | 11-II | 12-II | 13-II |
|---|---|---|---|---|---|---|
| ი-ეფ ლენგვიჯ | შვედეთი | 372 | პოლ კეიარდი (აშშ) | 3678.6 | 3302.9 | 2949.3 |
| სვიდიშ მეჩ | შვედეთი | 313 | გუნარ კრანცი | +37.8 | +27.8 | +47.6 |
| ტოშიბა | აშშ | 299 | პოლ სტენდბრიჯი (ბრიტ) | +73.3 | +104.9 | +92.9 |
| მერიტ კაპ | მონაკო | 333 | გრანტ დოლტონი (ზელ) | +71.8 | +116 | +107.5 |
| ინოვეიშენ კვერნერ | ნორვეგია | 307 | კნუტ ფროსტადი | +122.7 | +110.8 | +117.6 |
| ბრიუნელსანერჯი | ჰოლანდია | 96 | როი პაინერი | +180.5 | +190.5 | +212.1 |
| ჩესი რეისინგ | აშშ | 294 | დიი სმითი | +134.7 | +164.6 | +214.1 |
| სილკ კატ | ბრიტანეთი | 258 | ლორი სმითი | +293.5 | +468.2 | +613.5 |
| ი-ეფ ედუკეიშენ | შვედეთი | 100 | ქ-ნი კრისტინ გიუ (საფრ) | +881.3 | +1053.9 | +1180.7 |

მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები

დამცავი ჟალუზები

მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო აზვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29